საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 დეკემბერი ორშაბათი 2013
№289 (14 205) ფასი 80 თეთრი

# რატომ არ იპარსავს წვერს გურამ კაშია

ქართველი კაპიტნის საოცარი სტატისტიკა



4

# ვის გაუღიმა ფორტუნამ?




კენჭისყრაში მოგებულები და წაგებულები

ლიონელ მესი მუნდიალის ოფიციალური ბურთის, „ბრაზუკას“ წარდგენისას, მის არგენტინას პარასკევს ძალიან გაუმართლა

8

# ჭიდაობა და ერისიონი

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში



11

კონსტანტინე ხაბალაშვილი (მარჯვნივ) საქართველოს ჩემპიონია

# სისხლიანი შეტაკება ბრაზილიაში

„ატლეტიკო პარანენსესა“ და „ვასკო და გამას“ შორის ბრაზილიის სერია A-ს ბოლო ტურის მატჩი (5:1, რასაც სახელგანთქმული „ვასკოს“ გავარდნა მოჰყვა) დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში შეწყვეტილი იყო ტრიბუნებზე მომხდარი სისხლიანი გარჩევების გამო. მართალია, ფანებს შორის ჩხუბს მსხვერპლი არ მოჰყოლია (ყოველ შემთხვევაში, გვიან ღამემდე ამაზე არაფერს იტყობინებოდნენ), თუმცა კი ბევრი დაშავდა, ხოლო ერთ-ერთი იმდენად მძიმედ, რომ მოედანზე ვერტმფრენის დასმა გახდა საჭირო მავანი ქომაგის ჰოსპიტალში გადასაყვანად...

მოკლედ, ბრაზილია ფიფას აქამდეც ბევრ თავსატეხს უჩენდა მოუმზადებელი სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის გამო და აგერ, ამ ბოლო შეხლა-შემოხლის გამოც ვერ იქნებიან მშვიდად მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში.

პაატა გელაშვილი



# გამოხედვამ არ მოგატყუოთ: პეპის გუნდთან თამაში საშიშია



იუნაიტედი ღრმა კრიზისშია

რომამ მოგება გაიხსენა

რეალი III დივიზიონის გუნდს ვერ უგებს

ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა

5-10

შაბათობით!
მაღალპოლიგრაფიული ფერადი ჟურნალი
week

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა. XVI ტურის წინათქმა

ნინა ტურში უამინდობის გამო კალენდარში გარკვეული ცვლილებები რომ მოხდა, ამ ყველაფერმა გავლენა მომდევნო ტურზეც იქონია. კალენდრის მიხედვით, დღეს მხოლოდ ორი მატჩი უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, ყველა გუნდს მეტ-ნაკლებად თანაბარი პირობები რომ ჰქონოდა, „დილა"-"ზესტაფონის" გარდა, ყველა დანარჩენი შეხვედრა დღეს გაიმართება. ოღონდ, ახლაც იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ უამინდობამ კვლავ არ შეგვიშალოს ხელი...

ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ბოლო წლებში ქართველი სინოპტიკოსები იშვიათად სცდებიან. ისინი დღეიდან საქართველოში ამინდის მკვეთრ გაუარესებას პროგნოზირებენ და ერთხელაც თუ დაათოვა ჩვენს სტადიონებს, მერე იმას უნდა ველოდოთ, როდის გადნება თოვლი და როდისთვის მოიყვანენ მოედნებს წესრიგში...

ასეა თუ ისე, გუშინ დაწყებული ტური დღეს „როგორმე" უნდა დავასრულოთ: ისე, როგორც წლის ბოლომდე დარჩენილი ორი ტური...

| 09.12. ქობულეთი. ჩელე არენა | 14:00 |
|---|---|
| **გურია** | |
| ურთიერთშეხვედრები: 24: +7 =2 -15 (29:54) | |
| **ტორპედო** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| დინამო (თბ)-გურია | 3:1 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |
| გურია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 3:0 (სჩ) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| ტორპედო-ჩიხურა | 1:2 (სჩ) |

| 09.12. თბილისი. მ. მესხი | 14:00 |
|---|---|
| **სპარტაკი** | |
| ურთიერთშეხვედრები: 16: +1 =3 -12 (9:24) | |
| **მეტალურგი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი-დინამო | 0:4 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი- ვიტ ჯორჯია | 3:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დილა | 0:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| მეტალურგი-ტორპედო | 2:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:0 (სჩ) |

| 09.12. ქუთაისი. ტორპედო | 14:00 |
|---|---|
| **ჩიხურა** | |
| ურთიერთშეხვედრები: 3: +1 =0 -2 (3:4) | |
| **მერანი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 3:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| ტორპედო-ჩიხურა | 1:2 (სჩ) |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ზუგდიდი-მერანი | 0:0 (სჩ) |
| მერანი-გურია | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 (სჩ) |
| დილა-მერანი | 3:0 (სჩ) |

| 09.12. მცხეთა. მცხეთა პარკი | 14:00 |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | |
| ურთიერთშეხვედრები: 52: +25 =16 -11 (67:41) | |
| **სიონი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 3:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| გურია-ვიტ ჯორჯია | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 3:1 (სჩ) |
| სიონი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |
| დილა-სიონი | 0:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-სიონი | 0:0 (სჩ) |

| 09.12. განმუხური | 14:00 |
|---|---|
| **ზუგდიდი** | |
| ურთიერთშეხვედრები 23: +2=6 -15 (13:43) | |
| **დინამო (თბ)** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| სიონი-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-მერანი | 0:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| ჩიხურა-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| გურია-ზუგდიდი | 1:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:1 (სჩ) |
| სპარტაკი-დინამო (თბ) | 0:4 (სჩ) |
| დინამო (თბ)-დილა | 1:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-დინამო (თბ) | 1:2 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:0 (სჩ) |

# თანაბარი პირობები



პირველ წრეში თბილისის დინამომ ზუგდიდს 3:0 მოუგო ფოტო:www.fcdinamo.ge

### სულ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 15 | 11 | 3 | 1 | 37 | 12 | 36 |
| 2 | ჩიხურა | 15 | 9 | 3 | 3 | 32 | 21 | 30 |
| 3 | დილა | 16 | 7 | 5 | 4 | 23 | 15 | 26 |
| 4 | გურია | 15 | 8 | 0 | 7 | 17 | 21 | 24 |
| 5 | მეტალურგი | 15 | 6 | 5 | 4 | 20 | 19 | 23 |
| 6 | ზესტაფონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 15 | 22 |
| 7 | ტორპედო | 15 | 6 | 4 | 5 | 18 | 15 | 22 |
| 8 | სიონი | 15 | 6 | 4 | 5 | 19 | 18 | 22 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 3 | 7 | 19 | 23 | 18 |
| 10 | მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 14 | 30 | 13 |
| 11 | სპარტაკი | 15 | 3 | 1 | 11 | 11 | 24 | 10 |
| 12 | ზუგდიდი | 15 | 1 | 5 | 9 | 5 | 20 | 8 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 8 | 7 | 1 | 0 | 23 | 7 | 22 |
| 2 | ჩიხურა | 7 | 6 | 0 | 1 | 18 | 6 | 18 |
| 3 | გურია | 7 | 6 | 0 | 1 | 12 | 5 | 18 |
| 4 | დილა | 8 | 5 | 2 | 1 | 17 | 6 | 17 |
| 5 | მეტალურგი | 8 | 4 | 4 | 0 | 11 | 3 | 16 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 0 | 3 | 12 | 8 | 12 |
| 7 | ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 9 | 6 | 12 |
| 8 | ზესტაფონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10 | 8 | 12 |
| 9 | მერანი | 8 | 4 | 0 | 4 | 11 | 12 | 12 |
| 10 | სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11 | 12 | 11 |
| 11 | სპარტაკი | 7 | 3 | 0 | 4 | 5 | 9 | 9 |
| 12 | ზუგდიდი | 7 | 1 | 4 | 2 | 4 | 8 | 7 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 7 | 4 | 2 | 1 | 14 | 5 | 14 |
| 2 | ჩიხურა | 8 | 3 | 3 | 2 | 14 | 15 | 12 |
| 3 | სიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 8 | 6 | 11 |
| 4 | ზესტაფონი | 8 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 10 |
| 5 | ტორპედო | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 9 | 10 |
| 6 | დილა | 8 | 2 | 3 | 3 | 6 | 9 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 16 | 7 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 8 | 1 | 3 | 4 | 7 | 15 | 6 |
| 9 | გურია | 8 | 2 | 0 | 6 | 5 | 16 | 6 |
| 10 | სპარტაკი | 8 | 0 | 1 | 7 | 6 | 15 | 1 |
| 11 | ზუგდიდი | 8 | 0 | 1 | 7 | 1 | 12 | 1 |
| 12 | მერანი | 7 | 0 | 1 | 6 | 3 | 18 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 11 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 8 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 7 |

## ჩიხურა-მერანი
**პირველი წრე: 2:3**

საჩხერელთა წაუგებელი სერია უკვე ექვსამდე გაიზარდა და საერთოდაც, ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ **სოსო ფრუიძის** გუნდი ზედა ექვსეულში მოხვდება. ეს კი არა, დღესდღეობით სწორედ „ჩიხურა" რჩება ჩემპიონატის გამოკვეთილ ფავორიტის, თბილისის „დინამოს" უახლოეს მდევრად.

„მერანის" მდგომარეობა კი კვლავაც არასახარბიელოა. ისე, წინა ტურებში „მერანის" უშუალო კონკურენტებმაც („სპარტაკი" და „ზუგდიდი") წააგეს, თორემ სიტუაცია ბევრად უფრო რთული იქნებოდა.

მოკლედ, ყველა წინაპირობაა იმისთვის, რომ ამ წყვილში გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსი მასპინძლებს მივანიჭოთ, მით უფრო, რომ პირველ წრეში მარცხის გამო „ჩიხურას" რევანშიც მართებს. საერთოდაც, საჩხერელთა გუნდს „მერანთან" ხანმოკლე ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში უარყოფითი ბალანსი აქვს.

...პირველი წრის ის უხვგოლიანი შეხვედრა იმითიც იყო საინტერესო, რომ „მერანის" 19 წლის ნახევარმცველმა **ბექა ციკოლიამ** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩში შეძლო ასევე სადებიუტო გოლის გატანა.

## სპარტაკი-მეტალურგი
**პირველი წრე: 0:1**

დისკვალიფიკაცია: **ლაშა ჩაფიძე** (სპარტაკი)

ახლახან იყო, „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** რომ დაიჩივლა - არბიტრები მაინცდამაინც ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდებიანო. ისე, რაც მართალია, მართალია - ამ სეზონში „სპარტაკი" რამდენჯერმე მართლაც უსამართლოდ დაზარალდა. მსაჯების ერთ-ერთი ასეთი საკამათო გადაწყვეტილება სწორედაც რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში მოხდა. მასპინძლები **გიორგი ბერიაშვილის** ერთადერთი გოლის წყალობით იგებდნენ, როცა მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე „სპარტაკის" მარჯვენა გარემარბმა **თორნიკე თუხარელმა** მშვენივრად ისარგებლა „მეტალურგის" მცველის... პასით და გოლიც გაიტანა, მაგრამ დამხმარე მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლიც გაუქმდა!

თუმცა მხოლოდ „სპარტაკი" როდია უკმაყოფილო არბიტრების, ხშირ შემთხვევაში, არაობიექტური გადაწყვეტილების გამო. „მეტალურგის" სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებსაც (რუსთაველ ქომაგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) არანაკლები პრეტენზიები აქვთ მსაჯების მიმართ. თანაც, რაც ყველაზე უცნაურია, „მეტალურგის" საშინაო მატჩებზე მართლაც არაერთხელ გვინახავს, როგორ ცდებიან მსაჯები მაინცდამაინც, მასპინძელთა გუნდის საწინააღმდეგოდ...

## ვიტ ჯორჯია-სიონი
**პირველი წრე: 1:1**

დისკვალიფიკაცია: **შოთა დავლაშელიძე** (ვიტ ჯორჯია)

წინა ტურში „ვეტერინარებმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და სახიფათო ზონას გვარიანად დაშორდნენ. თუმცა **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდულ გუნდს მოდუნების უფლება ნამდვილად არა აქვს - დღეს ფორმააკრეფილ „სიონს" ხვდება, წლის ბოლომდე დარჩენილი ორი შეხვედრა კი „დინამოსა" და „ტორპედოსთან" აქვს.

რაც შეეხება **ლადო ბურდულის** „სიონს", კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი უკვე თვე-ნახევარია წაუგებლად თამაშობს და პირველად, ბოლო წლების განმავლობაში, ზედა ექვსეულში მოხვედრის სამართლიანი ამბიციაც აქვს.

ერთი შეხედვით, „სიონს" ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს, ეს ამბიცია არც უნდა გაჰკვირვებოდა ვინმეს. თუმცა მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ქვემოქართლელთა ბოლოდროინდელი წარმატებული სერია, მეტ-ნაკლებად, მაინც მოულოდნელი იყო.

ნუ გამოვრიცხავთ მოვლენების ისეთ განვითარებასაც, რომ ზამთრის პაუზას „სიონი" სწორედაც რომ პირველ ექვსეულში შეხვდეს.

## ზუგდიდი-დინამო (თბ)
**პირველი წრე: 0:3**

დისკვალიფიკაცია: **ნიკა აფაქიძე** (ზუგდიდი) - **გიორგი მერებაშვილი** (დინამო თბ)

სხვა შემთხვევაში, ამ მატჩის მოკლე წინათქმას ასე დავიწყებდით - თბილისის „დინამოს" „ზუგდიდთან", ტრადიციულად, რთული გასვლითი მატჩი ელოდება, მაგრამ ფეხბურთელების უკეთესი ფიზიკური მომზადებისა და გამოცდილების ხარჯზე, ფავორიტი მაინც მოქმედი ჩემპიონია-თქო...

ალბათ, ახლაც ასეთი სიტუაციაა, უბრალოდ, გამოკვეთილი აუტსაიდერისა და ერთპიროვნული ლიდერის დაპირისპირებას სხვა დატვირთვაც დაემატა - თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში დღეს პირველი მატჩი უნდა ჩაატაროს **მალხაზ ჟვანიამ.**

ისე, მართლაც საინტერესოა, რას შეცვლის ის თავისი ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ისიც საინტერესოა, რა განლაგებას მიანიჭებს უპირატესობას ახალი თავკაცი. და საერთოდაც, საწყის ეტაპზე ჟვანია განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რომ იქნება, ფაქტია.

სხვათა შორის, ამ სეზონში (III ტური) ჟვანიას უკვე დამარცხებული ჰყავს „ზუგდიდი", ოღონდ, ჯერ კიდევ მარტვილის „მერანის" მთავარი მწვრთნელის რანგში...

## გურია-ტორპედო
**პირველი წრე: 0:1**

დისკვალიფიკაცია: **ნიკა ფირცხალავა, ნიკა ჭანტურია** (ორივე ტორპედო)

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „გურიას" პოზიციები საკმაოდ შესუსტდა. ლანჩხუთელები სულ მცირედით ასწრებენ ერთდროულად... ხუთ კონკურენტს! თანაც, **რომან პოკორას** გუნდს წლის ბოლომდე ერთი-მეორეზე რთული მატჩები დარჩათ ჩასატარებელი - „ტორპედოსთან", „მეტალურგთან" და „ზესტაფონთან".

ამ სამი მატჩის შედეგზე, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. უფრო ზუსტად, სწორედ მაშინ გამოჩნდება, რეალურად რა მიზნები უნდა დაისახოს ლანჩხუთელთა გუნდმა ზამთრის შესვენების შემდეგ.

ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ, წინა ტურში „ტორპედომ" შეძლო და ასე ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. არადა, ეს მართლაც კოშმარული სერია კიდევ რომ გაგრძელებულიყო, **ჟერარდ სარაგოსას** ახალგაზრდული გუნდის პირველ ექვსეულში მოხვედრას უკვე რეალური საფრთხე დაემუქრებოდა. ახლა კი ქუთათურთა გუნდი მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება VI ადგილზე მყოფ „ზესტაფონს" და დანარჩენი, უკვე ახალგაზრდა ფეხბურთელების მარიფათზეა დამოკიდებული.

**გია ტუხაშვილი**

### I ლიგა. 8 [illegible] გადადებული მატჩი

05.12. თბილისი. ბენდელა. 300 მაყურებელი

**სასკო-საბურთალო 1:0**

1:0 გ. რეხვიაშვილი (67)

სასკო: ლ. ბრაჭული, ე. საჯაია, ა. ინწკირველი, გ. სეფიაშვილი (51. ე. ეგიაზარიანი), ზ. ელიავა, გ. ბერიშვილი, დ. დილმელაშვილი, გ. ქუცურუა (82. დ. ლომაია), გ. სარჯველაძე, გ. არახამია, რ. ჯიქია (63. გ. რეხვიაშვილი).

სათადარიგოები: ლ. მაჭავარიანი, შ. ფირუზაშვილი, გ. მაჩაიძე, ა. ნონოსი.

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

საბურთალო: ო. გოშაძე, გ. მარგველაშვილი (89. დ. ნონონავა), რ. კაკიაშვილი, გ. ხარაიშვილი (82. ბ. გვარაძე), ჯ. ტაბიძე, გ. თევზაძე, ვ. მამუჩაშვილი, გ. ნივილაშვილი, რ. გოცირიძე, ლ. ლარკი, ა. ვიანე (64. ი. რუხაძე).

სათადარიგოები: ა. არველაძე, ლ. კუპატაძე, ლ. ქოხონელიძე, გ. აბელაშვილი.

მწვრთნელი: თემურ შალამბერიძე

გაფრთხილება: გ. სეფიაშვილი, გ. რეხვიაშვილი - რ. კაკიაშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

### I წრის საბოლოო ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 13 | 10 | 1 | 2 | 26-8 | 31 |
| 2. სამტრედია | 13 | 10 | 1 | 2 | 25-13 | 31 |
| 3. მაჭახელა | 13 | 9 | 3 | 1 | 23-6 | 30 |
| 4. ჭიათურა | 13 | 8 | 1 | 4 | 19-14 | 25 |
| 5. სასკო | 13 | 7 | 1 | 5 | 23-12 | 22 |
| 6. სამგურალი | 13 | 6 | 3 | 4 | 25-23 | 21 |
| 7. ბეთლემი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-17 | 19 |
| 8. საბურთალო | 13 | 5 | 2 | 6 | 20-16 | 17 |
| 9. დილა2 | 13 | 5 | 2 | 6 | 19-24 | 17 |
| 10. ლოკომოტივი | 13 | 4 | 1 | 8 | 18-23 | 13 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 13 | 3 | 3 | 7 | 15-29 | 12 |
| 12. სტუ | 13 | 3 | 1 | 9 | 22-30 | 10 |
| 13. ბახმარო | 13 | 0 | 6 | 7 | 11-30 | 6 |
| 14. სულორი | 13 | 1 | 2 | 10 | 7-26 | 5 |

### დუბლების ჩემპიონატი

XV ტური

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-ჩიხურა | 3:0 |
| მეტალურგი-დილა | 2:0 |
| დინამო (თბ)-გურია | 6:0 |
| სიონი-ზუგდიდი | 0:1 |
| მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| ტორპედო-სპარტაკი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 15 | 13 | 0 | 2 | 39-18 | 39 |
| 2. დინამო (თბ) | 15 | 10 | 1 | 4 | 36-19 | 31 |
| 3. მერანი | 15 | 8 | 4 | 3 | 20-12 | 28 |
| 4. ზუგდიდი | 15 | 8 | 2 | 5 | 25-22 | 26 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 15 | 6 | 4 | 5 | 21-27 | 22 |
| 6. ტორპედო | 15 | 6 | 3 | 6 | 29-20 | 21 |
| 7. ჩიხურა | 15 | 5 | 4 | 6 | 22-19 | 19 |
| 8. ზესტაფონი | 15 | 5 | 2 | 8 | 22-25 | 17 |
| 9. დილა | 15 | 5 | 2 | 8 | 23-29 | 17 |
| 10. სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-28 | 15 |
| 11. სპარტაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 18-34 | 12 |
| 12. გურია | 15 | 2 | 2 | 11 | 17-36 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

08.12. გორი. თ. ბურჯანაძე. 1 500 მაყურებელი

**დილა 3**

**ზესტაფონი 1**

0:1 კაჭკაჭიშვილი (23), 1:1 ქვილითაია (58), 2:1 ლონლაძე (62), 3:1 ქვილითაია (89. სადალაშვილის პასით)

| დილა 5-2-2-1 | ზესტაფონი 4-1-4-1 |
|---|---|
| რევიშვილი | კვასხვაძე |
| ლონლაძე | თორ. გრიგალაშვილი |
| კახაძე | თედ. გრიგალაშვილი |
| ხიზანეიშვილი | კაჭკაჭიშვილი |
| თომაშვილი | გაგოშიძე |
| გ. გურული | აჯურუ |
| მაისურაძე | ჭანტურიშვილი |
| ბოლქვაძე | ჭანაოშაძე |
| დოლიძე | ს. გურული |
| გორელიშვილი | ზარიძაძე |
| მოდებაძე | ლომია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. სოლოლაშვილი | გ. გეგუჩაძე |

**დილა**

46. გურული - **ქვილითაია**
72. გორელიშვილი - **სადალაშვილი**
89. მოდებაძე - **გოგინაშვილი**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, დიასამიძე, ფილიევი, აფხაზავა

**ზესტაფონი**

61. ჭანკოტაძე - **სარდალიშვილი**
70. აჯურუ - **ადამია**
86. გურული - **კუტალია**

*სათადარიგოები:* მეშველიანი, ენდელაძე, რეკრუკი, კვერნაძე

*გაფრთხილებები:* თედ. გრიგალაშვილი (6), ბოლქვაძე (49), ხიზანეიშვილი (52), ქვილითაია (65), აჯურუ (65), ჭანტურიშვილი (83)

*არბიტრი:* ა. კრიჭაშვილი

# როგორ შეიცვალა დილა...



ირაკლი მოდებაძე ზესტაფონელთა გარემოცვაში — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**რამაზ სოლოლაშვილმა** „დილა" რთულ მდგომარეობაში ჩაიბარა, მაგრამ ვითარება ნელ-ნელა გამოასწორა და ბოლოხანს ნაუგებლადაც ათამაშებს. არადა, უკანასკნელ მატჩებში გორელებს მძიმე ბრძოლები გადახდათ - „დინამო", „ტორპედო", „მეტალურგი" და ბოლოს „ზესტაფონი".

გუშინ გორში ქომაგმა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ორი ტაიმი იხილა. „დილა"-„ზესტაფონი" თითქმის არასოდეს ყოფილა ინტრიგის გარეშე. მატჩი ამჯერადაც დაძაბული გამოდგა, მით უფრო, ამას ხელი სატურნირო ცხრილში მეზობლობამაც შეუწყო.

პირველი ტაიმი „ზესტაფონის" კარნახით წარიმართა, თუ არ ჩავთვლით სადებიუტო ხუთ წუთს. დროის ამ მონაკვეთში „დილამ" ორჯერ შექმნა ხიფათი **როინ კვასხვაძის** კართან, ოღონდ - უშედეგოდ. ამის შემდეგ **გია გეგუჩაძის** შეგირდებმა მეტად გააზრებული თამაშით, დინამიურად გადაიბარეს მეტოქისგან ბურთზე კონტროლის „უფლება", რაც მნიშვნელოვანწილად ნახევარმცველების წყალობით მოხდა.

შესვენებამდე, „დილა" მოედნის ცენტრში ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. გორელებს უჭირდათ მეტოქის ნახევარზე იერიშების წარმართვა. მათი კომბინაციები შუა ხაზთანვე ანყდებოდა ზესტაფონურ ბარიერს. როგორც გეგუჩაძის ხელწერას შეეფერება, სტუმრები ყველაზე დიდ ყურადღებას ბურთის ფლობას აქცევდნენ. ყველაზე სახიფათო, რაც შესვენებამდე „დილამ" შექმნა, **გიორგი გურულის** ფლანგურ ჩაწოდებას მოყოლილი **ირაკლი მოდებაძის** სახიფათო თავური იყო - კვასხვაძემ საკმაოდ ძნელად მოსაგერიებელი ბურთის უკუგდება შეძლო. აქ სტუმრები აშკარად კი გადარჩნენ, მაგრამ ერთ წუთში მაინც ვერ ასცდნენ გოლს - **გიორგი კაჭკაჭიშვილმა** ანგარიში ახლო მანძილიდან გახსნა.

მეორე ტაიმში „ზესტაფონის" თავდაჯერება სადღაც დაიკარგა. ამასობაში კი, სოლოლაშვილმა თავდასხმა **გიორგი ქვილითაიათი** გააძლიერა - თამაშიდან მარცხენა მცველი „მოხსნა", იქ **გულვერდ თომაშვილი** გადანია და გუნდი 4-4-2-ზე გადაანყო.

მოედანზე ვითარება უმალ შეიცვალა. ქვილითაია შესანიშნავად ჩაერთო თამაშში. სტუმართა მცველებს ორ ცენტრალურ თავდამსხმელთან პაექრობა გაუჭირდათ, „დილამ" კი, აქტიურობის ხარჯზე, კიდევ უფრო გააძლიერა დაწოლა კვასხვაძის კარზე.

იმერლებისთვის განგაშის ზარებს 58-ე წუთზე ქვილითაიამ შემოჰკრა - საჯარიმოს მისადგომებთან მიღებული ბურთი ნამში დაამუშავა და ძლიერად გაგზავნა კარისკენ. გოლკიპერი უძლური აღმოჩნდა - 1:1.

იქვე, კარგი მომენტი ჰქონდა კვახაძესაც, მაგრამ გოლად ვერ აქცია. ცოტა ხანში კი **თემურ ლონლაძე** კარგად გამოეხმაურა ფლანგურ ჩაწოდებას და თავისიანები თავურით დააწინაურა. მოგეხსენებათ, თემურს არა ერთი წელი აქვს ზესტაფონურ კლუბში გატარებული და გოლის აღნიშვნისგანაც ამიტომ შეიკავა თავი.

„დილამ" გამარჯვების მოახლოება იგრძნო და გაათმაგებული ჟინით გააგრძელა იერიშები. **ოთარ ხიზანეიშვილმა** შორიდან სტანდარტული იმდენად სახიფათოდ შეასრულა, კვასხვაძემ ძლივს გადაარჩინა „ზესტაფონი".

ისე კი, ერთხანს მასპინძელი მცველებიც გაერთნენ შეტევებში და ორჯერ მწვავე კონტრშეტევაც გაეპარათ, ოღონდ - უშედეგოდ. იქით მხარეს, უკვე ფინიშის სწორზე, ქვილითაიამ ძალიან კარგი მომენტი შეუქმნა მოდებაძეს, თუმცა გორელთა ბომბარდირმა ამჯერადაც ვერაფერი შემატა თავის აქტივს.

მატჩის გმირმა ქვილითაიამ კი 89-ე წუთზე საბოლოო წერტილი დასვა. მის გოლში დიდი წვლილი მიუძღვის **ნიკა სადალაშვილს**, რომელმაც მარცხენა ფლანგზე მოპოვებული ბურთი დიდ მანძილზე ატარა და თანაგუნდელს ცარიელი კარის წინ საგოლედ „ჩააბარა" - 3:1.

სადალაშვილი ძალიან ცოტა დროს ატარებს მინდორზე და ამ ფონზე, ბოლო ორ მატჩში ერთი გოლი და ერთიც საგოლე პასი მისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● დილა

## გიორგი ქვილითაია:
# გადავეწყვეთ და მოვიგეთ



გიორგი ქვილითაია

**გუშინ** ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება გაიმართა - გორის „დილამ" შინ „ზესტაფონს" უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. მატჩის გმირი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია გახდა, ვინც მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და დუბლი შეასრულა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელ ალექსანდრე ჩივაძეს არაერთხელ უთქვამს - ქვილითაია მეტ სათამაშო პრაქტიკას იმსახურებსო. „დილაში" ხომ ფორვარდს მეტწილად შეცვლებზე უწევს თამაში.

ქვილითაიას გუშინვე შევეხმიანეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- მთლიანობაში როგორი თამაში გამოვიდა? რა ფაქტორი აღმოჩნდა გადამწყვეტი?**

- უნდა ითქვას, რომ „ზესტაფონმა" პირველ ტაიმში კარგად ითამაშა და გავჯობა კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში სხვა სქემაზე გადავეწყვეთ - ხუთი მცველით აღარ ვითამაშეთ, უკეთესად წაგვივიდა საქმე და ძალიან საჭირო 3 ქულაც მოვიპოვეთ.

**- შეცვლაზე რომ შედიოდით, რა დავალება მოგცათ „დილას" თავკაცმა რამაზ სოლოლაშვილმა?**

- წინ ბურთი უნდა „დამეჭირა", გუნდი „ამომეყვანა". თავიდან, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, არ წამივიდა თამაში, ერთი-ორი არაზუსტი პასი გავაკეთე, თუმცა საგანგაშო არაფერი მომხდარა, მერე გოლი გავიტანე, „გავიხსენი" და მთელი გუნდიც უკეთესად ათამაშდა, რადგან თავდაჯერებულობა მოგვემატა, უპირატესობა ჩვენს მხარეს გადმოვიდა.

**- თქვენ და ირაკლი მოდებაძე ერთი სტილის თავდამსხმელები ხართ. სოლოლაშვილმა გვითხრა კიდეც - ამ ფაქტორის გამო ვერ ვახერხებთ ქვილითაიასთვის მეტი სათამაშო დროის მიცემას, მოდებაძე გამოცდილია და ახლა ისეთ ვითარებაში ვართ, ვერ გავრისკავთო.**

- მოდებაძე მართლაც ძალიან გამოცდილი და ძლიერი ფორვარდია. „ზესტაფონთან" მეორე ტაიმში ორი თავდამსხმელით ვითამაშეთ და ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა. მოდებაძე, რა თქმა უნდა, ჩემზე ბევრად გამოცდილია, მე კი პირველ სეზონს ვთამაშობ საქართველოს უმაღლეს ლიგაში. მწვრთნელს მადლობას ვუხდი ნდობისთვის.

**- როგორც „დილას" ყველა ფეხბურთელს, კლუბთან კონტრაქტი თქვენც წლის ბოლოს გიმთავრდებათ. რას აპირებთ პირველი ეტაპის შემდეგ. „დილა" არ გთავაზობთ კონტრაქტის გაგრძელებას?**

- კონკრეტული შემოთავაზებები ჯერ არ მაქვს. „დილას" ალბათ ისევ ექნება დაფინანსება. გორში ძალიან უყვართ ფეხბურთი და წარმოუდგენელია, ამ ქალაქს კარგი გუნდი არ ჰყავდეს. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა გორელ გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი.

**- „დილაში" უნგრეთიდან მიხვედით. ისევ უცხოეთისკენ ხომ არ მიგიწევთ გული?**

- არის რაღაც ვარიანტები, თუმცა წინასწარ ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

**- ახალგაზრდულ ნაკრებზეც გკითხავთ. შოტლანდიასთან სტუმრად 1:1 რომ ითამაშეთ, მატჩის ბოლოს ძალიან კარგი მომენტი გქონიათ...**

- ორი მცველი „პოდსებიათი" ჩამოვიცილე და ჩემ წინ მეკარე და ერთი მცველი დარჩნენ, შორეულ კუთხეში დავარტყი და ბურთი მცველმა გამოიტანა.

**დავით თავართქილაძე**

● ტრავმები



ლაშა პარუნაშვილი



არჩილ ტვილდიანი

# პარუნაშვილს და ტვილდიანს მკურნალობა გაუგრძელდათ

18 ნოემბერს, გორში, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სლოვაკეთს უმასპინძლა 1:3 დამარცხდა. მოედანზე ბოლნისის „სიონის" საყრდენი ნახევარმცველი **ლაშა პარუნაშვილი** იყო. თუმცა ამ შეხვედრის შემდეგ მას „სიონში" აღარ უთამაშია. არადა, ის გუნდის ერთ-ერთი შეუცვლელი ფეხბურთელი იყო - მიმდინარე სეზონში პარუნაშვილმა ბოლნისელთა ძირითადში 10 შეხვედრა ჩაატარა.

როგორც 20 წლის ფეხბურთელმა გვითხრა, სლოვაკეთთან შეხვედრის შემდეგ ავადმყოფობს და ჯერაც ვერ მომჯობინდა.

*„სლოვაკეთთან მატჩამდეც მაღალი ტემპერატურა მქონდა. აღმოჩნდა, რომ ვირუსი მქონდა. ახლა ვმკურნალობ და ვარჯიშს მალე დავიწყებ. მაგრამ ჯერ არ ვიცი, მოედანს როდის დავუბრუნდები"*, - გვითხრა პარუნაშვილმა.

„სიონის" ძირითადის მოთამაშეა ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთი წევრი **არჩილ ტვილდიანიც**. მან ძირითად შემადგენლობაში 7-ჯერ ითამაშა. მაგრამ გუნდს ისიც ველარ ეხმარება - 20 წლის მარჯვენა მცველი 10 ოქტომბერს, პოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრისას დაშავდა და მას მერე არა თუ არ უთამაშია, არც უვარჯიშია.

*„უკვე ორი თვე გავიდა და დღემდე თბილისის „დინამოს" ექიმთან ვმკურნალობ. როგორც მან მითხრა, ეს პროცესი დეკემბრის ბოლოს დასრულდება. არადა, უკვე უბრალო ვარჯიშზე გასვლაც მომენატრა. უფეხბურთოდ ცხოვრება ძნელია. მაგრამ იანვრიდან მოსამზადებელ ეტაპს დავიწყებთ და ამ დროისთვის, სრული დატვირთვით ვარჯიშს მოვახერხებ"*, - გვითხრა ტვილდიანმა.

ორივე ფეხბურთელი „სიონში" იჯარით თამაშობს. მათი ტრანსფერები თბილისის „დინამოს" ეკუთვნის. მას მერე, რაც „დინამო" **მალხაზ ჟვანიამ** ჩაიბარა და გაცხადდა, რომ „დინამო" ახალგაზრდული გუნდის შექმნას დაიწყებს, არ არის გამორიცხული, ამ გუნდში პარუნაშვილი და ტვილდიანიც მოიაზრებოდნენ.

*„ამ საკითხზე „დინამოდან" ჯერ არავინ შემხმიანებია და არც ვიცი, მალხაზ ჟვანიას ჩვენთან დაკავშირებით რა გეგმები აქვს"*, - ამბობს ტვილდიანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ


ალექსი ბენაშვილი

# ალექსი ბენაშვილი: მე კიდევ ვითამაშებ!

რამდენიმე დღის წინ, „ლელოში“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ზესტაფონის“ ყოფილ ფეხბურთელზე, 24 წლის ალექსი ბენაშვილზე ვწერდით. 24 წლის ნიჭიერი მარჯვენა მცველი, რომელსაც ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია (19 წლისა „ზესტაფონის“ ძირითადი შემადგენლობის ლამის შეუცვლელი წევრი გახდა), გუნდში ბოლოს 2013 წლის 4 მაისს, საჩხერის „ჩიხურასთან“ შეხვედრისას გამოჩნდა.

მას შემდეგ 6 თვე გავიდა, მაგრამ ბენაშვილის კვალს ვერსად მივაგენით. მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა სინანულით გვითხრა ის, რაც დავწერეთ - თითქოს, ბენაშვილმა კარიერა დაასრულა.

ამ წერილს ბენაშვილი თავად გამოეხმაურა და გვითხრა, რომ უგუნდოდაა, თუმცა ფეხბურთიდან არ წასულა:

- „ზესტაფონიდან“ წამოსვლის შემდეგ მართლა უგუნდოდ დავრჩი და შესაძლოა, ამის გამო იფიქრეს, რომ ფეხბურთს თავი დავანებე, მაგრამ ასე არ არის. 9 წელი უმაღლეს ლიგაში იმიტომ არ მითამაშია, კარიერა 24 წლისამ რომ დავამთავრო. როგორც გითხარით, უგუნდოდ ვარ, მაგრამ შესაძლოა, ზამთარში უკრაინაში წავიდე.

**- რომელ გუნდში?**

- ლაპარაკია პირველი ლიგის გუნდებზე, მაგრამ სანამ ყველაფერი არ გადაწყდება, მანამდე კლუბს არ გავამხელ. დეკემბრამდე ტონუსს შევინარჩუნებ, რათა მოსამზადებელ ეტაპს მოშვებული არ შევხვდე. ისედაც, უვარჯიშებლად ვერ გავძლებ.

**- ტრავმა აღარ გაწუხებთ?**

- მადლობა ღმერთს, ჯანმრთელად ვარ და 35-ე სკოლაში დღეში ორჯერ ვვარჯიშობ. უთამაშებლად ფორმის შენარჩუნება ძნელია. თამაში და მოედანზე გასვლა მენატრება. მაგრამ კონდიციებს პირველივე მოსამზადებელ ეტაპზე აღვიდგენ. ეს პრობლემა არ არის.

**- უგუნდოდ რატომ დარჩით?**

- საქართველოში დაინტერესდნენ, მაგრამ გეცოდინებათ, „ზესტაფონიდან“ როგორ წამოვედი, გათავისუფლების ფურცელი გვიან ავიღე, ცალკე ტრავმაც მაწუხებდა და როცა მოვმჯობინდი, უკვე დაგვიანებული იყო - ყველა გუნდი დაკომპლექტებული აღმოჩნდა. ახლა თავისუფალი აგენტი გავხდი, ჩემში ერთი თეთრიც არ არის გადასახდელი და გუნდს მოვძებნი.

**- იყო ლაპარაკი, თითქოს თბილისის „დინამო“ გიწვევდათ.**

- მე არავინ დამლაპარაკებია. არც ვიცი, ინტერესი რამდენად რეალური იყო და ახლა ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. ყოველ დილით, როგორც კი ვიღვიძებ, ფეხბურთში დაბრუნებაზე ვფიქრობ. შრომისმოყვარეობა არასოდეს მაკლდა და ამიტომაც მჯერა, რომ დიდი ფეხბურთში დავბრუნდები და ჩემს სიტყვას კიდევ ვიტყვი.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონის უქმეები

# რატომ არ იპარსავს წვერს გურამ კაშია

## ამისულაშვილი საგოლე პასით დაგვემშვიდობა

ქართველები ლიდერთა გუნდებში - ასეთი რამ იშვიათად ხდება. ასე რომ, დავტკბეთ ჰოლანდიის ჩემპიონატში არნემის „ვიტესის“ ლიდერობით. აქვე მოგიყვებით, თუ რატომ არ იპარსავს წვერს „ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშია და რა მონაცემით სჯობს რუსეთში ყველას ალეკო ამისულაშვილი, რომელიც გაზაფხულამდე საგოლე პასით დაგვემშვიდობა.

### 16 ტური შეუცვლელად!

დასავლეთ ევროპის ყველაზე „ქართული“ კლუბი, არნემის „ვიტესი“ არა მარტო ინარჩუნებს ერთპიროვნულ ლიდერობას, არამედ ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდს არნახულად არცხვენს - „ვიტესმა“ „ფილიპს არენაზე“ „ეინდჰოვენს“ 6:2 მოუგო! გრანდის რბევაში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა ქართველმა, კაპიტანმა **გურამ კაშიამ** (90 წუთი მეორე ტაიმში გააფრთხილეს). **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი** სათადარიგოები იყვნენ. „ვიტესი“ 33 ქულით პირველია და 2 ქულით უსწრებს „აიაქსს“.

„ეინდჰოვენთან“ თამაშის წინ, გურამ კაშიამ goal.com-ს აუხსნა, თუ რატომ არ იპარსავს წვერს: „სანამ არ წავაგებთ, მანამდე არ გავიპარსავ. უკვე დიდი ხანია, მაქვს წვერი და ცოტა არ იყოს, მაწუხებს კიდევაც, თუმცა იმედი მაქვს, რომ არც „ეინდჰოვენთან“ მატჩის შემდეგ მომიწევს გაპარსვა“, - არც მოუწია.

### მეკარეთა პირველი მხსნელი

რუსული პრემიერლიგა გამოსაზამთრებლად დაგვემშვიდობა. **ჯანო ანანიძეს** კლუბებს შორის მოლაპარაკების გამო, „სპარტაკთან“ თამაშის უფლება არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ჯანო „როსტოვში“ იჯარით თამაშობს, მაგრამ „სპარტაკის“ საკუთრებაა.

**ალექსანდრე ამისულაშვილის** „კრილია სოვეტოვმა“ სტუმრად 2:1 მოუგო „ვოლგას“. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და აქტივში საგოლე პასიც ჩაიწერა. „კრილია“ 0:1-ს აგებდა, როცა ქართველი მცველის 40-მეტრიანი პასით **ლუის კაბალიერომ** დათოვლილ მოედანზე ანგარიში გაათანაბრა. „ჩემპიონატმა“ ამისულაშვილის გარჯა 6 ბალით შეაფასა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენებური რუსეთის პრემიერლიგაში პირველია მეტოქის დარტყმების დაბლოკვის მიხედვით (19).

**საბა კვირკველიას** „რუბინი“ „ლოკომოტივს“ ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ჩვენებურმა საიმედოდ ითამაშა (6,5 ბალი). აუტსაიდერი „ანჟის“ მატჩი „ყუბანთან“ ანალოგიური ანგარიშით მორჩა. **გია გრიგალავამ** (5,5 ბალი) შეუცვლელად ითამაშა.

### დაუმარცხებელი და მოუგებელიც

თურქეთის ჩემპიონატში **შოთა არველაძის** „ქასიმფაშამ“ მაინც არ წააგო.


გურამ კაშია (№37) თანაგუნდელებთან ერთად პსვ-ის რბევას ზეიმობს

არადა, ბოლო 15 წუთი 9 კაცით ითამაშა სტუმრად „ანთალიასთან“ - 1:1.

„პირველ ტაიმში ტემპი გვაკლდა, მეორეში კი გამოვასწორეთ თამაში. 9 კაცით როცა დავრჩით, მას მერე ფეხბურთი ფაქტობრივად არ ყოფილა. მოედანზე დარჩენილებმა გმირულად იბრძოლეს, რისთვისაც მე მათი მადლობელი ვარ. თავაუღებელმა ვარჯიშებმა შედეგი გამოიღო“, - განაცხადა არველაძემ.

შეგახსენებთ, რომ „ქასიმფაშას“ 29 სექტემბრის შემდეგ ჩემპიონატში არ წაუგია, თუმცა სუპერლიგაში ზედიზედ მესამე 1:1 ითამაშა. არველაძის გუნდი ისევ მეორე ადგილზეა, თუმცა დღეს მისი გადასწრება „ბეშიქთაშს“ შეუძლია.

### აზერბაიჯანშიც ქართველი ლიდერია

აზერბაიჯანის პრემიერლიგის მე-16 ტურში **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერი“ შინ „ხაზარს“ დაუზავდა - 0:0. ცხადაძემ სამი ქართველი სასტარტოში დააყენა: **გიორგი ლომაია, ლაშა სალუქვაძე** და **ალექსანდრე იაშვილი** (მეორე ტაიმში შეცვალეს). მეორე ტაიმში ლომაიამ მეტოქის ძალიან სახიფათო თავური მოიგერია. არ უთამაშია **ბაჩანა ცხადაძეს**, რომელიც ტრავმირებულია. „ინტერი“ 24 ქულით მე-4 ადგილზე რჩება.

ტურის ცენტრალურ მატჩში „ყარაბახმა“ „ნეფთჩის“ უმასპინძლა. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა **ნიკოლოზ გელაშვილი**. ქართველი მეორე ტაიმში გამოვიდა, როცა უკვე 3:1 იყო „ყარაბახის“ სასარგებლოდ, თამაში ასეც მორჩა. „ყარაბახი“ 33 ქულით ლიდერობს, „გაბალას“ 32 ქულა აქვს, „ნეფთჩის“ - 31.

### იტალიაშიც ქართველები ლიდერობენ

ბუნდესლიგაში, „აინტრახტი“-“ჰერტა“ (0:2), როგორც მოსალოდნელი იყო, უქართველოდ წარიმართა - ბერლინელი **ლევან კობიაშვილი** სათადარიგო იყო.

II ბუნდესლიგაში **ლევან ყენიას** „ფორტუნა“ დღეს თამაშობს სტუმრად „კაიზერსლაუტერნთან“, ქართველი ტრავმირებულია. III ბუნდესლიგაში **ლუკას ჰუფნაგელი** (უნტერჰახინგი) სათადარიგო იყო ლიდერ „ჰაიდენჰაიმთან“ 0:3 წაგებულ მატჩში.

სერია B-ში „ემპოლი“ სტუმრად „კროტონეს“ დაუზავდა - 1:1. **ლევან მჭედლიძემ** „ემპოლის“ რიგებში ბოლო 15 წუთი ითამაშა, ხოლო **ირაკლი შეყილაძე** განაცხადშიც არ ყოფილა. ქართველთა გუნდი 32 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

**ავთო ებრალიძის** „ჟილ ვისენტე“ „სპორტინგს“ შეხვდა და 0:2 დამარცხდა, ჩვენებური 67-ე წუთზე შეცვალეს.

### დვალიშვილი არ ათამაშეს

კვიპროსის ჩემპიონატში **შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისმა“ 1:0 მოუგო „არისს“, ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა.

დანიაში „ორჰუსი“ „მიდტიულანდს“ ეწვია და 0:3 წააგო. დამარცხებულთა რიგებში მხოლოდ ერთმა ქართველმა ითამაშა - **დავით დევდარიანმა** (90 წუთი), **დავით სხირტლაძე** სათადარიგო იყო, **მათე ვაწაძეს** ტრავმა აქვს.

პოლონეთის ჩემპიონატის მე-20 ტურში „იაგელონია“ სტუმრად „პოგონს“ დაუზავდა - 1:1. სტუმართა რიგებში **გიორგი ფოფხაძემ** შეუცვლელად ითამაშა, **ნიკა ძალამიძე** კი ტრავმირებულია.

პოლონეთში „ლეგია“ სტუმრად „ლეხიასთან“ 0:2 დამარცხდა, **ლადო დვალიშვილი** სათადარიგო იყო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები


გიორგი მაკარიძე

# მაკარიძე ოსერში

ფრანგული ლიგა 2-ის გუნდის, „ოსერის“ ოფიციალური საიტის ცნობით, კლუბში სინჯებზე „ლე მანის“ ყოფილი გოლკიპერი **გიორგი მაკარიძე** იმყოფება. დღეისათვის, „ოსერის“ ძირითადი გოლკიპერი 32 წლის **ოლივიე სორენია**, რომელმაც მთელი კარიერა ამ გუნდში გაატარა. მისი შემცვლელი 21 წლის **დონოვან ლეონია**.

მაკარიძე სამშაბათიდან „ოსერის“ ბაზაზეა. საქმე იმაშია, რომ სორენმა ძალიან მძიმე ტრავმა მიიღო და ის კარგა ხნით ვერ ითამაშებს. მაკარიძე 5 თვეა, უკლუბოდაა. დამკვიდრდება თუ არა მაკარიძე ბურგუნდიაში, მალე შევიტყობთ.

# დინამომ გოგოლაძე გაუშვა

ბელარუსის ჩემპიონატს ერთადერთი ქართველი ლეგიონერი დაემშვიდობა - ბრესტის „დინამოს“ ოფიციალურმა საიტმა გამოაცხადა, რომ კლუბმა ორმხრივი შეთანხმებით თავდამსხმელ **უჩა გოგოლაძესთან** კონტრაქტი გაწყვიტა. ბრესტის „დინამო“ 40 ქულით მერვე ადგილზე გავიდა ჩემპიონატში. სეზონის შემდეგ გუნდმა 6 ფეხბურთელს აღარ გაუგრძელა ხელშეკრულება, ხოლო სამს (მათ შორის უჩას) კონტრაქტი შეუწყვიტა და მხოლოდ სამს გაუხანგრძლივა კონტრაქტი.

23 წლის ტანდაბალი შემტევი 2010 წლიდან თამაშობდა „დინამოში“. ოთხი სეზონის განმავლობაში მან 56 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფუტსალი. საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

# თელასი იბერიას უთამაშებლობით დაწინაურდა

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის III ტურის მატჩები გაიმართა. გალიდერდა **ავთანდილ ასათიანის** „სტუ თელასი“, რომელმაც აფენის „განთიადი“ 19:4 დაამარცხა. მესამე ტურში დაისვენა „იბერია სტარმა“. ორიდან ორი მოგება დაუგროვდა მცხეთის „არმაზს“ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მესამე ადგილისთვის რამდენიმე გუნდი იბრძოლებს. მათ შორის არიან მცხეთის „არმაზი“ და თბილისის „გრანდი“. ამ უკანასკნელმა პირველი ტურის შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და „ქვახვრელთან“ მძიმე ბრძოლაში 8:7 გაიმარჯვა.

ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა „სტუ თელასის“ თავდამსხმელი **არჩილ ბოკერია** (26 გოლი), რომელმაც ბოლო შეხვედრაში „განთიადს“ 10 გოლი გაუტანა და იბერიელ **გიორგი ტიკურიშვილს** (13 გოლი) საგრძნობლად გაუსწრო, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „იბერია სტარმა“ ერთი შეხვედრით ნაკლები ჩაატარა.

**III ტური**

| | |
|---|---|
| ქვახვრელი-გრანდი | 7:8 |
| სტუ თელასი-განთიადი | 19:4 |
| არმაზი-როდოპოლისი | 11:4 |
| დიცი-სამცხე | 8:6 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ თელასი | 3 | 3 | 0 | 0 | 53-5 | 9 |
| 2. იბერია | 2 | 2 | 0 | 0 | 51-2 | 6 |
| 3. არმაზი | 2 | 2 | 0 | 0 | 22-13 | 6 |
| 4. გრანდი | 3 | 2 | 0 | 1 | 25-24 | 6 |
| 5. როდოპოლისი | 3 | 1 | 0 | 2 | 20-19 | 3 |
| 6. ქვახვრელი | 3 | 1 | 0 | 2 | 24-25 | 3 |
| 7. დიცი | 3 | 1 | 0 | 2 | 12-43 | 3 |
| 8. აფენი | 2 | 0 | 0 | 2 | 4-40 | 0 |
| 9. სამცხე | 3 | 0 | 0 | 3 | 9-57 | 0 |

**მომდევნო ტური**

**12 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| გრანდი-არმაზი | 12:00 |
| სამცხეთი-ქვახვრელი | 14:00 |

**13 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| განთიადი-ქართლი | 12:00 |
| იბერია სტარი-სტუ თელასი | 14:00 |

მერაბ მამულაშვილი

საფრანგეთი. ლიგა 1. XVII ტური

# ნგემომ ლილს მარცხის გემო გაახსენა

## რა დაუჯდება ჟიიოს ბორდოს მოგება?



ვინსენტ ენიაემას „მშრალი სერია" დასრულდა

### საინტერესო დასაწყისი

ტური „ველოდრომზე" დაიწყო, სადაც ფორმაში შესული „მარსელისგან" გულშემატკივრები „ნანტთან" პრინციპულ მატჩში გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. „იადონებს" **ალეხანდრო ბედოიამ** მოაგებინა, ამერიკელის დარტყმა **ბენჟამინ მენდის** მოხვდა და **სტივ მანდანდა** რიკოშეტმა უშანსოდ დატოვა. მასპინძლებმა რამდენიმე მომენტი შექმნეს და შეეძლოთ თამაშის გადარჩენა, თუნდაც შეცვლაზე შემოსული **საბერ ხელიფას** მომენტი შეგვიძლია გავიხსენოთ - ტუნისელმა ახლო მანძილიდან ააცილა. ნანტელებს ქების მეტი არაფერი ეკუთვნით, **მიშელ დერ ზაქარიანის** გუნდი მე-4 ადგილზე გადავიდა.

შაბათი პარიზული შოუთი გაიხსნა. თუმცა ვისთვის შოუ და ვისთვის კოშმარი... „ევიანთან" ნაგებით გაბრაზებულმა პსჟ-მ საწყალი „სოშო" არ დაინდო და მონბელიარელებს, რომლებსაც ისედაც ყველაზე ბევრი ჰქონდათ გაშვებული, კიდევ ხუთი გოლი დაუმატა. 87-ე წუთამდე **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** გოლი არ ჰქონდა გატანილი, მაგრამ მაინც მთავარი ფიგურა იყო მინდორზე - ორი საგოლე პასითა და მშვენიერი თამაშით. ბოლოს წუთებში კი დუბლიც მოასწრო და ბომბარდირთა დავაში ორი ბურთით წინ გაიჭრა.

ბრეტონული დერბი „ლორიანმა" **იან ჟუფრეს** წყვილი გოლით მოიგო. 29 წლის ნახევარმცველს უკვე 5 ბურთი მოუგროვდა. პირველი მან მე-7 წუთზე პენალტით გაიტანა და პლუს სტუმრები 10 კაცით დარჩნენ. მიუხედავად ამისა, „რენი" რალაცას ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ გაათანაბრა და ბოლოს, ჟუფრემ მეორეც შეაგდო. „ლორიანმა" მიჯრით მეოთხე მატჩი მოიგო, თანაც გოლგაუშვებლად, თუ ამას იქამდე ნათამაშებ 0:0-ს დავუმატებთ, გამოვა რომ **კრისტიან გურკუფის** შეგირდებს ხუთი ტურია არ ნაუგიათ და თან კარს მშრალად ინახავენ.

უცნაური თამაში იყო „ოგუსტ-დელონი მეორეზე", ბურთი ძირითადად „რეიმსს" ეჭირა, მაგრამ სახიფათო მომენტებს „ნიცა" უფრო ქმნიდა. თუმცა მასპინძელთა გოლკიპერი **კოსი აგასა** ჩინებულად გამოიყურებოდა და საბოლოოდ, ნიცელებმა მაინც წააგეს. **გაეტან შაბრონიეს** გაახსენდა, რომ მისი უშუალო მოვალეობა გოლების გატანაა და 93-ე წუთზე მოაგებინა „რეიმსს". „ნიცასთვის" ეს ზედიზედ მე-7 მარცხი იყო ჩემპიონატში, რითაც გუნდმა 1960 წელს დამყარებული შიდასაკლუბო ანტირეკორდი გაიმეორა.

მალელი **ტონგო ჰამედ დუმბიას** გოლით „ვალანსიენს" ნანატრი და ძალიან საჭირო გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ „დიჟონიდან" ნათხოვარმა **იუნუსი სანხარემ** 70-ე წუთზე გაათანაბრა და „გენგამს" ქულა მოუტანა. „სენტ ეტიენისა" და „ევიანის" მატჩი კი იმიტომ გადაიდო, რომ „ჟოფრუა გიშარზე" ჰოკეის უფრო ითამაშებდა კაცი, ვიდრე ფეხბურთს, მინდორი მთლიანად მოყინული იყო. თუ როდის ჩატარდება ეს შეხვედრა ჯერ არ გადაწყვეტილა.

### არშემდგარი რეკორდი და დრამატული კვირა

რეკორდი აღარ იქნება - **ვინსენტ ენიაემამ** გოლი გაუშვა. ნიგერიელის 11-ტურიანი მშრალი სერია ზუსტად იმ გუნდთან შეწყდა, რომლის ყოფილი მეკარის მიერ 20 წლის წინ დამყარებულ რეკორდსაც უმიზნებდა ენიაემა. გრძელდება ის ტენდენციაც, რომ თუ „ლილი" გოლს უშვებს, მაშინ აგებს. **რენე ჟირარის** გუნდმა ჩემპიონატში სამჯერ გაუშვა, ხოლო თასზე ერთხელ და ოთხივე შეხვედრა დათმო. ციხე შიგნიდან ტყდებაო - ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გამართლდა, ენიაემას კარი მართლაც აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო და აფრიკელ მეკარეს ისევ თავისიანმა უმტყუნა. 27-ე წუთზე კამერუნელმა **ლანდრი ნგემომ** შორიდან დაარტყა და ოფიციალურად გოლი მას ჩაუწერეს, მაგრამ გზად ბურთი დანიელ **სიმონ კიაერს** მოხვდა და მიმართულება იცვალა. ჟირონდელები იმ წუთას **გაეტან ორდისკენ** გაიქცნენ საზეიმოდ, რომლის რეკორდის მოხსნასაც ლამობდა ენიაემა. **ფრანსის ჟიიოს** ძალიან კი გაუხარდა ეს მოგება, მაგრამ თან ძვირი დაუჯდება - მწვრთნელმა პირობა დადო, რომ თუ მისი შეგირდები „ლილს" გოლს გაუტანდნენ, მთელ გუნდს სადილად დაპატიჟებდა. ამ ხუმრობა-ხუმრობაში „ბორდო" უკვე 5-6 ადგილებს იყოფს „მარსელთან" ერთად. ჟირონდელთა ეს მოგება მით უფრო დასაფასებელია, რომ გუნდი ნახევარ საათზე მეტხანს, 10 კაცით თამაშობდა.

„არმან სეზარიზე" „ბასტიამ" პირველი ტაიმი მოუგო „ლიონს", მაგრამ ყველაფერი 2-3 წუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც სტუმართა მხრიდან ჯერ **ალექსანდრ ლაკასეტმა** გაათანაბრა, მერე კი 19 წლის **იასინ ბენზიამ** სულაც წინ გაიყვანა **რემი გარდის** კლუბი. წერტილი შეცვაზე შემოსულმა **ბაფეტიმბი გომისმა** დასვა და „ლიონი" მეოთხე ადგილს მიუახლოვდა, ხოლო „ბასტიამ" სეზონში პირველი მატჩი წააგო საკუთარ კედლებში.

დიდი ამბავი იყო ტულუზში, სადაც ადგილობრივი გუნდი **ჟან ფერნანდესის** გარეშე დარჩენილ „მონპელიეს" მასპინძლობდა. სტუმრები **სულეიმან კამარამ** დაანინაურა **რენატო კაბელიას** პასის მერე. თუმცა 51-ე წუთზე **დანიელ კონგრემ** პენალტი და წითელი ბარათი ერთად აიკიდა და „მონპელიე" რთულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ **ედენ ბენ ბასატმა** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. **ჯონათან ძებინას** მშვიდად რა მოასვენებდა, 68-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა ძებინამ ორი ყვითელი ბარათი ერთად „დაიმსახურა" და რიცხობრივი კუთხით წონასწორობა ალადგინა. მალე კი მასპინძლებმა ანგარიშიც გაათანაბრეს - თავი მრავალკლუბგამოცვლილმა კოლუმბიელმა **აბელ აგილარმა** გამოიჩინა. საბოლოოდ, „მონპელიესა" და მის დროებით მწვრთნელს **პასკალ ბაილს** ქულა შერჩა.

გიორგი პაპაბაძე

**მარსელი–ნანტი 0:1**

გოლი: 0:1 ბედოია (16)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ფანი, ნკულუ, დიავარა, მენდი - ლემინა (46. ხელიფა), რომაო, შეირუ (82. იმბულა) - ტოვენი, პაიე (75. ჯ. აიუ), ჟინიაკი

**პსჟ–სოშო 5:0**

გოლები: 1:0 ტიაგო სივა (14), 2:0 ლვეცი (47), 3:0 კავანი (62), 4:0 იბრაჰიმოვიჩი (87), 5:0 იბრაჰიმოვიჩი (90)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ჟალე, ალექსი (60. მარკინიოსი), ტიაგო სილვა, მაქსველი - მატუიდი (73. პასტორე), ტიაგო მოტა, ვერატი - ლავეცი (78. ლუკასი), კავანი, იბრაჰიმოვიჩი

**ლორიანი–რენი 2:0**

გლები: 1:0 ჟუფრე (7-პენ.), 2:0 ჟუფრე (87)

გაძევება: არმანი (6. რენი)

**რეიმსი–ნიცა 1:0**

გოლი: 1:0 შარბონიე (90)

**ვალანსიენი–გენგამი 1:1**

გოლები: 1:0 დუმბია (18), 1:1 სანხარე (70)

**ბორდო–ლილი 1:0**

გოლი: 1:0 ნგემო (27)

გაძევება: პუნდე (58. ბორდო)

**ბასტია–ლიონი 1:3**

გოლები: 1:0 რასპენტინო (34), 1:1 ლაკასეტი (54), 1:2 ბენზია (56), 1:3 გომისი (85)

**ლიონი (4-3-3):** ვერკუტრი - მიგელ ლოპეში, კონე, უმტიტი, ბედიმო - ფერი (80. ტოლისო), გონალონი, ფოფანა - გრენიე, ლაკასეტი (89. დანიკი), ბენზია (73. გომისი)

**ტულუზი–მონპელიე 1:1**

გოლები: 0:1 ს. კამარა (19), 1:1 აგილარი (72)

გაძევება: კონგრე (50. მონპელიე), ძებინა (68. ტულუზი)

**მონაკო–აიაჩო 1:0**

გოლი: რივიერი (75)

გაძევება: პიერაცი (62. აიაჩო)

სტ. ეტიენი-ევიანი — გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 17 | 12 | 4 | 1 | 39-10 | 40 |
| 2. მონაკო | 17 | 11 | 5 | 1 | 28-11 | 38 |
| 3. ლილი | 17 | 11 | 3 | 3 | 18-5 | 36 |
| 4. ნანტი | 17 | 9 | 2 | 6 | 22-13 | 29 |
| 5. მარსელი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-16 | 27 |
| 6. ბორდო | 17 | 7 | 6 | 4 | 23-18 | 27 |
| 7. რეიმსი | 17 | 6 | 7 | 4 | 18-19 | 25 |
| 8. სტ. ეტიენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 24 |
| 9. გენგამი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-17 | 23 |
| 10. ლიონი | 17 | 6 | 5 | 6 | 24-23 | 23 |
| 11. ლორიანი | 17 | 7 | 2 | 8 | 22-23 | 23 |
| 12. ბასტია | 17 | 6 | 5 | 6 | 20-24 | 23 |
| 13. რენი | 17 | 5 | 6 | 6 | 20-19 | 21 |
| 14. ტულუზი | 17 | 5 | 6 | 6 | 18-23 | 21 |
| 15. ევიანი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-27 | 19 |
| 16. ნიცა | 17 | 5 | 2 | 10 | 14-24 | 17 |
| 17. მონპელიე | 17 | 2 | 10 | 5 | 18-23 | 16 |
| 18. ვალანსიენი | 17 | 2 | 5 | 10 | 14-25 | 11 |
| 19. აიაჩო | 17 | 1 | 6 | 10 | 11-28 | 9 |
| 20. სოშო | 17 | 1 | 5 | 11 | 13-37 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 11 - ედინსონ კავანი (პსჟ); 9 - ვინსენტ აბუბაქარი (ლორიანი), რადამელ ფალკაო (მონაკო)

**მომდევნო ტური**

**13 დეკემბერი.** მონპელიე-სტ. ეტიენი;

**14 დეკემბერი.** რენი-პსჟ, აიაჩო-ლორიანი, ევიანი-რეიმსი, გენგამი-მონაკო, ნანტი-ტულუზი, ნიცა-სოშო;

**15 დეკემბერი.** ბორდო-ვალანსიენი, ლილი-ბასტია, ლიონი-მარსელი.

აშშ. MLS. ფინალი

# კანზას სიტი მეორედ

**კანზ. სიტი–სოლტ ლეიკი 1:1 პენ. 7:6**

გოლები: 0:1 ა. საბორიო (52), 1:1 კოლენი (76)

**პენალტების სერია:** 1:0 ბილერი, 1:0 ა. საბორიო (ააცილა), 2:0 ნაგამურა, 2:0 გრაბავოი (მეკარე), 2:0 ბესლერი (მეკარე), 2:1 ბეკერმანი, 3:1 ფეილჰაბერი, 3:2 პლატა, 3:2 ზუსი (ააცილა), 3:3 ხ. მორალესი, 4:3 სინოვიჩი, 4:4 შულერი, 5:4 საპონგი, 5:5 ბელტრანი, 5:5 ოლუმი (ააცილა), 5:5 ველასკესი (მეკარე), 6:5 მაიერსი, 6:6 ბორჩერსი, 7:6 კოლენი, 7:6 პალმერი (ხარიხა)

MLS-ის ფინალური მატჩი ძალიან დრამატული გამოდგა, ზუსტად ისეთი, როგორიც ასე უყვართ ამერიკელებს. კანზასში შეკრებილმა 21 ათასმა მაყურებელმა ნამდვილი „თრილერი" იხილა, რომელიც მასპინძლებისთვის „ჰეფი ენდით" დასრულდა, არადა „სპორტინგ კანზას სიტი" წაგებასთან ძალიან ახლოს იყო.

შეხვედრის გმირი „სპორტინგ კანზას სიტის" ფრანგი მცველი **ორელიენ კოლენი** გახდა, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა, პენალტების სერიაში კი გადამწყვეტი 11-მეტრიანი გაიტანა, არადა სტუმრებს გამარჯვებამდე ერთი ზუსტი პენალტი აშორებდათ, თუმცა 5:5-ზე, **ხუან სებასტიან ველასკესის** დარტყმა **ჯიმი ნილსენმა** მოიგერია. 11-მეტრიანების სერია „კანზასისთვის" „ამერიკული მთების" მსგავსი იყო - ჯერ მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, 3:2-ზე კი გრემ ზუსის „კანზასისთვის" გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ აშშ-ის ნაკრების წევრმა კარს ააცილა. ამის შემდეგ იყო ველასკესის პენალტი, ბოლოს კი კოლენმა გაიტანა, პალმერის დარტყმა ხარიხას მოხვდა და „სპორტინგ კანზას სიტი" ჩემპიონი გახდა. ამ გუნდმა ტიტული ისტორიაში მეორედ მოიგო, პირველად კანზასელები 2000 წელს გახდნენ ჩემპიონები, როდესაც გუნდს ჯერ კიდევ „კანზას სიტი უიზარდსი" ერქვა.

ტატო ბაციკაძე


# თბილისში HONDA-ს ცენტრი ოფიციალურად იხსნება



10 დეკემბერს, თბილისში, ალმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, „ჰონდას" თანამედროვე სტანდარტების ცენტრი ოფიციალურად გაიხსნება. საზეიმო ღონისძიებაზე მიწვეული არიან, როგორც მთავრობის წევრები, ასევე იაპონიისა და ამერიკის საელჩოების წარმომადგენლები, ბიზნესსექტორი და ადგილობრივი მედია. საქართველოში „ჰონდა მოტორ კორპორაციას" ოფიციალურად წარმოადგენს „სენა მოტორსი". აღსანიშნავია, რომ კომპანის სრულად აკმაყოფილებს HONDA-ს 3შ-ს მოთხოვნას, რაც გულისხმობს თვალსაჩინო შოურუმის მოწყობას, სერვისის და ტექმომსახურების უზრუნველყოფას და სერვისცენტრის ორიგინალი სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას.

თბილისში „ჰონდას" ცენტრის ოფიციალურ გახსნას დაესწრებიან სპეციალური სტუმრები „ჰონდა მოტორს კორპორაციიდან". მათ შორის არიან კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი, მანაბუ ნიშიმაე და თანამეგობრობის ქვეყნების ავტომობილების განყოფილების მენეჯერები, იასუკო მათსუიამი და იოლაინ სტანკოვი.

„ჰონდა მოტორ კორპორაცია" იაპონიაში 1948 წელს დაარსდა და მისი ძირითადი მიმართულება ავტომობილებისა და მოტოციკლების წარმოებაა. 2001 წელს ის რიგით მეორე ავტომწარმოებელი გახდა იაპონიაში, 2011 წელს კი, გაყიდვების რაოდენობით, მსოფლიოს ავტომწარმოებელთა ხუთეულში შევიდა. „ჰონდა" პირველი იაპონური ავტომწარმოებელია, რომელმაც რევოლუციური, ვიტეკ ტექნოლოგიის ძრავა შექმნა. „ჰონდა" ასევე პირველი იყო, ვინც ავტომობილებში ეკონომიური წვის რეჟიმის ღილაკი დაამონტაჟა. „ჰონდა" ასევე აწარმოებს საზღვაო ინვენტარს, საზღვაო ტრანსპორტს, გენერატორებსა და ბიზნესკლასის მცირე VIP თვითმფრინავებს. 1986 წლიდან, „ჰონდა" აწარმოებს ხელოვნური ინტელექტის რობოტებს. მისი პირველი ASIMO რობოტი 2000 წლიდან არსებობს.

კომპანია „სენა მოტორსი" საქართველოში „ჰონდა მოტორ კორპორაციას" ოფიციალური წარმომადგენელია. დაარსების დღიდან, კომპანია მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ შეისწავლოს და დანერგოს მსოფლიოში აღიარებული, „ჰონდას" მომსახურების უმაღლესი სტანდარტები, როგორც გაყიდვების, ასევე ავტოსერვისის მიმართულებით. „სენა მოტორსმა" ერთ წელში შეძლო აეშენებინა და გაეხსნა „ჰონდას" სტანდარტების 3შ ცენტრი. 3შ ცენტრი, ჰონდას ავტომობილების სამოდელო რიგი, უმაღლესი ხარისხი და თანამედროვე ოფისი — ინვესტიცია, რომელიც „სენა მოტორსმა" განახორციელა, კომპანიის წარმატების გარანტია.

2013 წელს „ჰონდა მოტორ კორპორაციას" დაარსებიდან 65 წელი შეუსრულდა, ხოლო „სენა მოტორსის" დამფუძნებელს „გაა ჰოლდინგს" კი არსებობის 20 წელი. საიუბილეო წელთან დაკავშირებით, „ჰონდას" ცენტრი თბილისში რამდენიმე ეკოლოგიური და სოციალური პროექტის განხორციელებას გეგმავს.

®



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

# ეს ბაიერნი არანორმალურად ძლიერია!

## ტრავმების ეპიდემია დორტმუნდში: მალე მოედანზე გასვლა თავად კლოპს მოუწევს



ბაიერნმა ვერდერს შვიდი გოლი გაიტანა, ფრანკ რიბერიმ კი დუბლი შეასრულა

ეს „ბაიერნი" მსოფლიოს ჩემპიონატსაც მოიგებდაო, წერდა კვირას გერმანული ტაბლოიდი „ბილდი". ამგვარი შედარებები სისულელეა, მაგრამ ლოგიკური სისულელე - თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. ლოგიკურია იმიტომ, რომ რეკორდმაისტერი ქვას ქვაზე არ ტოვებს, ყველას უშანსოდ ანადგურებს და მომდევნო მეტოქეები უკვე იმაზე ოცნებობენ, რომ მიუნხენურ გრანდთან სარეკორდო ანგარიშით არ დამარცხდნენ. მაგალითი გნებავთ? კვირას „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა **ოლივერ კროიცერმა** თქვა, მეშინია, „ბაიერნთან" 0:12 არ წავაგოთო. რეკორდმაისტერი მომდევნო ტურში სწორედ „ჰამბურგს" ხვდება.

მანამდე კი იყო 7:0 ბრემენში. „ბაიერნი" „ვერდერს" მთელი 90 წუთის მანძილზე კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა და 7:0-ით დაკმაყოფილდა. დიახ, დაკმაყოფილდა, რადგან ძალიან რომ მოენდომებინა, ბრემენელები იმდენად უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ 10 გოლსაც იოლად გაუტანდა. არადა, „ვერდერი" არ არის იმდენად სუსტი გუნდი, რომ ასე მარტივად შერცხვეს - ეს უბრალოდ შიშია. „ბაიერნის" ყველას ძალიან ეშინია და შიში კი, მოგეხსენებათ, ოხერი რამ არის - როცა გეშინია, განწირულიც ხარ იმისთვის, რაც „ვერდერს" შაბათს საკუთარი ფანების თვალწინ დაემართა.

გაჩნდა მოსაზრება და მოლოდინი იმისა, რომ ბავარიელები ერთ შეხვედრაში ათზე მეტ გოლსაც მალე გაიტანენ. „ბაიერნს" ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ მატჩში 10-ზე მეტი გოლი მხოლოდ ერთხელ აქვს გატანილი - 1971 წელს, როცა ბავარიელებმა „დორტმუნდი" 11:1 „დაარბიეს". სხვათა შორის, მაშინ გოლების ავტორთა შორის იყვნენ **გერდ მიულერი, ული ჰიონესი** და **ფრანც ბეკენბაუერი**. დღევანდელი გმირები კი მიუნხენურ გრანდში **რიბერი, მიულერი**, ლამი და სხვები არიან, რომლებსაც ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით რეკორდის დამყარება მომდევნო ტურში შეეძლებათ, როცა „ბაიერნს" „ჰამბურგი" ესტუმრება - კლუბი, რომელიც წინა სეზონში მიუნხენში 2:9 განადგურდა. ამ ტურში კი „ჰამბურგი" საკუთარ მოედანზე „აუგსბურგთან" დამარცხდა (0:1) და რა გასაკვირია, რომ კროიცერი ძალიან შეშინებულია.

„გუნდი უბრალოდ შესანიშნავ ფორმაშია!" - აღნიშნა შაბათს „ბაიერნის" პრეზიდენტმა ული ჰიონესმა და რატომაც არ უნდა იფიქრონ მიუნხენელებმა მორიგ რეკორდზე? ცნობისათვის, ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობა 1978 წელს დაფიქსირდა და ის „ბაიერნს" არ ეკუთვნის - მაშინ „გლადბახმა" „დორტმუნდი" 12:0 გაანადგურა. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს სამუდამო რეკორდი იქნებოდა, მაგრამ ამ „ბაიერნს" რომ ვუყურებთ, სამუდამო არცერთი რეკორდი აღარ გვეჩვენება.

### დორტმუნდს შეუძლია, ჩემპიონთა ლიგაზე გადაერთოს

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნია და მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზეა გადართული? ფაქტია, რომ **იურგენ კლოპის** გუნდმა „ლევერკუზენთან" ამ სეზონში ყველაზე ცუდი ფეხბურთი ითამაშა, 0:1 დამარცხდა და თუ ჯერ კიდევ არ ჩაუქნევიათ ხელი, დორტმუნდელები ახლა მაინც უნდა დანებდნენ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას და შეუძლიათ, სრულად ჩემპიონთა ლიგაზე იყვნენ კონცენტრირებულები, სადაც ბოლო ტურში გადამწყვეტი მატჩი ელით.

ჩემპიონობა იქით იყოს და „ბორუსიას" მეორე ადგილის დაკავებაც გაუჭირდება, რადგან ამ მარცხის შემდეგ „დორტმუნდი" „ლევერკუზენს" უკვე 6 ქულით ჩამორჩება. გარდა ამისა, კლოპს ახალი საკადრო პრობლემები დაემატა (!): „ლევერკუზენთან" **სვენ ბენდერი** და **ნური შაჰინიც** დაშავდნენ. შესაბამისად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კლოპს მალე თვითონ მოუწევს მოედანზე გასვლა.

„ლევერკუზენის" გმირი კი **ჰეონ-მინ სონი** გახდა. ალსანიშნავია, რომ კორეელი წინა სეზონშიც „ბორუსიას" დამაქცევარი იყო - „ჰამბურგის" ფორმით ორი მატჩის ჯამში „დორტმუნდს" 4 გოლი გაუტანა. ახლა კი, „ლევერკუზენის" ფორმით შეძლო **რომან ვაიდენფელერის** დამწუხრება და მისი გოლი ამ ტურის ტოპ-მატჩში ერთადერთი გხმოდგა. ალსანიშნავია, რომ სონმა გოლი **მანუელ ფრიდრიხის** კატასტროფული შეცდომის შემდეგ შეაგდო და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „დორტმუნდში" სამადლოდ აყვანილი ვეტერანი მცველი 2007-დან 2013 წლამდე სწორედ „ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა. ლევერკუზენელები დორტმუნდელთა ნინახაზელებს ძალიან ხშირად ზედმეტად ეუხეშებოდნენ. სწორედ ამის შედეგი იყო **სპაჰიჩის** გაძევება **ლევანდოვსკისთან** არასპორტული საქციელის შემდეგ. თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში „დორტმუნდის" მცველი **სოკრატისიც** გააძევეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ტურში კლოპმა დაცვის ცენტრში, რომელიმე გამოუცდელი ბავშვი უნდა ათამაშოს.



იურგენ კლოპს პრობლემები არ ელევა

თუმცა მანამდე „ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგაში „მარსელთან", „ველოდრომზე" ურთულესი და გადამწყვეტი მატჩი ელის. კლოპის შეგირდებს საფრანგეთიდან სამი ქულის წამოღება სჭირდებათ, რაც, თუ კლოპის საკადრო პრობლემებს გავითვალისწინებთ, ადვილი ნამდვილად არ იქნება. დაცვაში იმპროვიზირება კლოპს „მარსელთანაც" მოუწევს, რადგან **სუბოტიჩი** და **ჰუმელსი** ტრავმირებულები არიან, ფრიდრიხს კი ლიგაში თამაში არ შეუძლია. „ნაპოლისთან" კლოპმა ცენტრალურ მცველად სვენ ბენდერი ათამაშა, ახლა კი ეს უკანასკნელიც ტრავმირებულია...

### გლადბახი შალკეს გაექცა

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია „გლადბახის" გამარჯვება „შალკესთან" (2:1), რომლის მეშვეობითაც მიონხენგლადბახელები დორტმუნდელ სეხნიას წამოეწივნენ და გარდა ამისა, მეოთხე ადგილზე მყარად გამაგრდნენ. „შალკე" „გლადბახს" ამ მარცხის შემდეგ უკვე 7 ქულით ჩამორჩება და გამორიცხული არაა, რომ გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებმა **იენს კელერი** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვონ. ფაქტი ის არის, რომ „შალკეს" ბოსები მწვრთნელის შეცვლას აღარ გამორიცხავენ და როგორც ჩანს, კელერის შემცვლელს უკვე ეძებენ კიდეც. მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** თქმით, ახლა გუნდისთვის უმთავრესი „ბაზელთან" უმნიშვნელოვანესი ჯახია, რომელმაც უნდა გაარკვიოს, გადის თუ არა „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, მწვრთნელის საკითხზე კი გელზენკირხენში სერიოზულად ზამთრის არდადეგებზე დაფიქრდებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XIV ტური

**გალათასარაი-ელაზიგი 2:0**

გოლები: 1:0 სელჩუკ ინანი (2), 2:0 ბ. ილმაზი (7)

**ანთალია-ქასიმფაშა 1:1**

გოლები: 0:1 შაჰარიბ მალქი (55), 1:1 გიოქჩექ ვედერსონი (64)

**რიზე-ფენერბაჰჩე 1:2**

გოლები: 1:0 კვეუკე (11), 1:1 კრისტიან ბარონი (45), 1:2 ვებო (83)

**ახისარი-კონია 2:1**

გოლები: 0:1 ბორეკი (20), 1:1 ბრუნო მეზენგა (62), 2:1 ნიასე (80)

**ბურსა-გენჩლერბირლიგი 0:0**

**ქარაბიუქი-ქაისერი 1:0**

გოლი: 1:0 აკპალა (45)

**გაზიანთეფი-ტრაბზონი 3:2**

გოლები: 1:0 ტოსუნი (5), 2:0 ტოსუნი (32), 2:1 მალუდა (57), 3:1 ტრაორე (64), 3:2 გურალი (67)

**9 დეკემბერი**

ბეშიქთაში-სივასი 22:00
ერჩიესი-ესქიშეჰირი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 14 | 11 | 2 | 1 | 33-16 | 35 |
| 2. ქასიმფაშა | 14 | 8 | 3 | 3 | 28-16 | 27 |
| 3. გალათასარაი | 14 | 7 | 5 | 2 | 22-14 | 26 |
| 4. ბეშიქთაში | 13 | 7 | 4 | 2 | 24-14 | 25 |
| 5. ტრაბზონი | 14 | 7 | 2 | 5 | 20-16 | 23 |
| 6. სივასი | 13 | 7 | 1 | 5 | 23-18 | 22 |
| 7. ესქიშეჰირი | 13 | 6 | 2 | 5 | 16-10 | 20 |
| 8. ქარაბიუქი | 14 | 5 | 5 | 4 | 11-11 | 20 |
| 9. ახისარი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-14 | 19 |
| 10. ბურსა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-16 | 19 |
| 11. გაზიანთეფი | 14 | 5 | 2 | 7 | 20-28 | 17 |
| 12. ანთალია | 14 | 4 | 6 | 4 | 16-14 | 18 |
| 13. კონია | 14 | 5 | 1 | 8 | 16-22 | 16 |
| 14. რიზე | 14 | 4 | 3 | 7 | 17-21 | 15 |
| 15. გენჩლერბ. | 14 | 4 | 2 | 8 | 13-17 | 14 |
| 16. ერჩიესი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-18 | 12 |
| 17. ქაისერი | 14 | 2 | 4 | 8 | 11-22 | 10 |
| 18. ელაზიგი | 14 | 2 | 1 | 11 | 13-34 | 7 |

**ბომბარდირები:** 9 - ჩაპეჩოუპე (სივასი); 8 - უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), სკარიონე (ქასიმფაშა).

**ნიურნბერგი-მაინცი 1:1**

**გოლები:** 1:0 ნილსონი (5), 1:1 ოკაზაკი (75)

**ნიურნბერგი (4-1-2-2-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი (61. ფეილნერი), ნილსონი, პოგატეცი, პლატენპარტდი - ფრანტცი (69. მაკი) - ჰასები, კიოტაკე - დრმიჩი, პლუშეკი - გინჩეკი (78. პეკჰარტი).

**მაინცი (4-2-3-1):** კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, ჟუნიორ დიასი - გაიხი, პარკი - პოლტერი (29. ჩუპო-მოტინგი), ზიმლინგი (60. ზალერი), ნ. მიულერი - ოკაზაკი (78. შლიშკოვიჩი).

**გაფრთხილება:** ფრანტცი - პარკი, ზალერი

**გაძევება:** შლიშკოვიჩი (92. მაინცი)

**კუთხური:** 14-3; **ჯარიმა:** 6-11; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 16(5)-12(4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 31 084

**გლადბახი-შალკე 2:1**

**გოლები:** 0:1 ფარფანი (17-პენ), 1:1 რაფაელი (24), 2:1 მ. კრუზე (45+1-პენ)

**გლადბახი (4-2-3-1):** ტერ შტეგენი - კორბი, ჩანჩეკე, შტრანცლი, ვენდტი - კრამერი, ჯაკა - ჰერმანი (90. ნორდტვეიტი), რაფაელი (88. ბრუვერსი), არანგო - მ. კრუზე (83. ლ. დე იონგი).

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - უჩიდა, პიოვედესი, ფელიპე სანტანა, კოლასინაცი (81. ფუხსი) - მატიპი, ნოიშტედტერი (84. სალაი) - ფარფანი, მ. მაიერი, დრაქსლერი (89. კლემენსი) - კ. ბოატენგი.

**გაფრთხილება:** კორბი - უჩიდა, მ. მაიერი, ნოიშტედტერი

**გაძევება:** პიოვედესი (44. შალკე)

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19(8)-9(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 54 010

**შტუტგარტი-ჰანოვერი 4:2**

**გოლები:** 1:0 ჰარნიკი (13), 1:1 ა. ზობიეხი (28), 1:2 სანე (31), 2:2 იბიშევიჩი (33), 3:2 ტრაორე (51), 4:2 რაუში (83)

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - გ. საკაი, შვააბი, როუდიგერი, რაუში - ხედირა (79. კვისტი), ლაიტნერი - ჰარნიკი, ტრაორე (88. სარარერი) - იბიშევიჩი (90. აბდელაუ), ტი. ვერნერი.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჰ. საკაი, მარსელო, სანე, პოკონიოლი (61. პანდერი) - ანდრეასენი, ჰოფმანი (67. შლაუდრაფი) - შმიდებახი (72. ბიტენკური), ჰუსტი - ა. ზობიეხი, მ. დიუფი.

**გაფრთხილება:** როუდიგერი - მ. დიუფი, შლაუდრაფი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13(8)-14(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 47 630

**ვერდერი-ბაიერნი 0:7**

**გოლები:** 0:1 ლუკიმია (21-საკ. კარში), 0:2 ვან ბუიტენი (27), 0:3 რიბერი (38), 0:4 მანჯუკიჩი (60), 0:5 თ. მიულერი (68), 0:6 რიბერი (82), 0:7 გიოტცე (90)

**ვერდერი (4-4-2):** ვოლფი - ფრიტცი, ლუკიმია, კალდიროლა, გარსია - ელია, გებრე სელასიე, ჰანტი (69. იოზ. ილდირიმი), მაკიადი (61. ბარგფრედე) - პეტერსენი, დი სანტო (61. ეჭიჩი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია, ვან ბუიტენი, ჟ. ბოატენგი (61. დანტე), ალაბა - ტიაგო ალკანტარა (76. პისარო), ტ. კროოსი (69. კირხჰოფი) - თ. მიულერი, გიოტცე, რიბერი - მანჯუკიჩი.

**გაფრთხილება:** კალდიროლა, მაკიადი, დი სანტო, ლუკიმია - ჟ. ბოატენგი, ვან ბუიტენი

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 6(2)-17(10); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

**მაყურებელი:** 42 100

**ჰამბურგი-აუგსბურგი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბობადილია (18)

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - მანსიენი, თაა, ჯურუ, იანსენი - რინკონი (60. ილიჩევიჩი), ბადელი - ბაისტერი (79. რუდნევსი), არსლანი, ჩალჰანოღლუ - ლასოგა.

**აუგსბურგი (4-1-4-1):** ჰიტცი - ვერჰეგი, კალსენბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, ფოგტი, ჰალილ ალთინთოფი (76. ჰოლცჰოიზერი), ტო. ვერნერი (90. მ. დე იონგი) - ბობადილია (86. მიოლდერსი).

**გაფრთხილება:** ბაისტერი, არსლანი - ტო. ვერნერი

**კუთხური:** 7-11; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 8(5)-16(6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 46 213

**აინტრახტი-ჰოფენჰაიმი 1:2**

**გოლები:** 0:1 სიპლოკი (46), 1:1 ხოსელუ (48), 1:2 რობერტო ფირმინო (51)

**აინტრახტი (4-1-4-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩაკა - შვეგლერი - კადლეცი (88. შრიოკი), როდე (85. ლაკიჩი), ფლუმი, ინუი (67. როზენტალი) - ხოსელუ.

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** გრალი - ბეკი, ზიულე, ვესტერგაარდი, ტოლიანი - რუდი, პოლანსკი - ფოლანდი (79. სალიჰოვიჩი), რობერტო ფირმინო, ჰერდლინგი (73. ფ. ჯონსონი) - შიპლოკი (69. მოდესტე).

**გაფრთხილება:** ფლუმი, შვეგლერი, ხოსელუ, როდე, ანდერსონი - ფოლანდი, რობერტო ფირმინო

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 21-27; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13(7)-11(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 41 300

**დორტმუნდი-ლევერკუზენი 0:1**

**გოლი:** 0:1 სონი (18)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, მ. ფრიდრიხი, სოკრატისი, დურმი - ს. ბენდერი (63. როისი), ნ. შაჰინი (82. პიშჩეკი) - ბლაშჩიკოვსკი (67. ი. ჰოფმანი), მხითარიანი, ობამეიანგი - ლევანდოვსკი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ჩანი - როლფესი - ლ. ბენდერი, კასტრო (89. კორი) - ჰეგელერი (78. კრუსი), სონი (82. ვოლშაიდი) - კისლინგი.

**გაფრთხილება:** ჰეგელერი, ჩანი, კასტრო, ვოლშაიდი

**გაძევება:** სოკრატისი (92. დორტმუნდი) - სპაჰიჩი (80. ლევერკუზენი)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13(5)-7(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 80 645

**ფრაიბურგი-ვოლფსბურგი 0:3**

**გოლები:** 0:1 არნოლდი (8), 0:2 ოლიჩი (11), 0:3 მ. შეფერი (91)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ზორგი, ჰიონი, დიაგნე (21. კრმასი), კ. გუნტერი - გინტერი, ჰიოფლერი - ფერნანდესი (73. ჰანკე), კოკელინი (49. კერკე) - დარიდა, მეჰმედი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ოხსი, ნალდო, კნოხე, როდრიგესი - ლუის გუსტავო (74. კლოზე), მედოიევიჩი - დ. კალიჯური, არნოლდი (86. ევსეევი), პერიშიჩი - ოლიჩი (85. მ. შეფერი).

**გაფრთხილება:** ოხსი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13(2)-17(7); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 22 000

**ბრაუნშვაიგი-ჰერტა 0:2**

**გოლები:** 0:1 რამოსი (20), 0:2 ჩიგერჩი (80)

**ბრაუნშვაიგი (4-1-4-1):** დავარი - ელაბდელაუი, ბიჩაქჩიჩი (46. კორეია), დოგანი (88. პფიტცნერი), პერთელი - თოიერკაუფი - ბელარაბი, კრატცი (68. კუმბელა), ბოლანდი, იორლი - ადემი.

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი - მ. ნდიენგი, ლუსტენბერგერი, ბრუკსი, ვან დერ ბერგი - ჩიგერჩი, ჰოსოგაი (88. ნიმაიერი) - სკიელბრედი, რონი (90. მუხტარი), ნ. შულცი (75. ვაგნერი) - რამოსი.

**გაფრთხილება:** იორლი, ბელარაბი - ჰოსოგაი, მ. ნდიენგი, ნ. შულცი, ვან დერ ბერგი

**გაძევება:** პერთელი (81. ბრაუნშვაიგი)

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13(2)-16(6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 23 100

**მომდევნო ტური**

13 დეკემბერი. ჰერტა-ვერდერი

14 დეკემბერი. ბაიერნ-ჰამბურგი, ჰანოვერი-ნიურნბერგი, ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი, მაინცი-გლადბახი, აუგსბურგი-ბრაუნშვაიგი, ვოლფსბურგი-შტუტგარტი.

15 დეკემბერი. შალკე-ფრაიბურგი, ლევერკუზენი-აინტრახტი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 15 | 13 | 2 | 0 | 39-7 | 41 |
| 2. ლევერკუზენი | 15 | 12 | 1 | 2 | 32-14 | 37 |
| 3. დორტმუნდი | 15 | 10 | 1 | 4 | 35-16 | 31 |
| 4. გლადბახი | 15 | 10 | 1 | 4 | 33-17 | 31 |
| 5. ვოლფსბურგი | 15 | 8 | 2 | 5 | 23-16 | 26 |
| 6. შალკე | 15 | 7 | 3 | 5 | 30-28 | 24 |
| 7. ჰერტა | 15 | 6 | 4 | 5 | 22-17 | 22 |
| 8. მაინცი | 15 | 6 | 2 | 7 | 22-29 | 20 |
| 9. აუგსბურგი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-23 | 20 |
| 10. შტუტგარტი | 15 | 5 | 4 | 6 | 28-28 | [illegible] |
| 11. ჰოფენჰაიმი | 15 | 4 | 5 | 6 | 34-35 | 17 |
| 12. ჰანოვერი | 15 | 5 | 2 | 8 | 19-26 | 17 |
| 13. ჰამბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 30-32 | 16 |
| 14. ვერდერი | 15 | 4 | 4 | 7 | 19-34 | 16 |
| 15. აინტრახტი | 15 | 2 | 5 | 8 | 18-28 | 11 |
| 16. ფრაიბურგი | 15 | 2 | 5 | 8 | 14-28 | 11 |
| 17. ნიურნბერგი | 15 | 0 | 9 | 6 | 14-30 | 9 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 15 | 2 | 2 | 11 | 8-28 | 8 |

**ბომბარდირები:** 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 9 - ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 8 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), მაქს კრუზე (გლადბახი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), რაფაელი (გლადბახი), ადრიან რამოსი (ჰერტა), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

## II ბუნდესლიგა. XVII ტური

**აუე-ზანქტ პაული 0:2**

გოლები: 0:1 ბარტელსი (8), 0:2 გრეგორიჩი (25)

**კარლსრუე-ბოხუმი 0:0**

**არმინია-დინამო 1:1**

გოლები: 1:0 ლორენცი (60), 1:1 აუდია (92)

**კიოლნი-ფრანკფურტი 2:0**

გოლები: 1:0 უჯა (54), 2:0 რისსე (84)

**მიუნხენ 1860-უნიონი 2:1**

გოლები: 1:0 ბულოვი (64), 1:1 მატუშკა (74-პენ), დ. შტალი (86)

**კოტბუსი-ინგოლშტადტი 1:2**

გოლები: 0:1 კაიუბი (15), 1:1 ბანოვიჩი (28), 1:2 მო. ჰარტმანი (77)

**აალენი-პადერბორნი 2:4**

გოლები: 0:1 მეჰა (12), 1:1 კლაუსი (18), 1:2 სანე (39), 2:2 ლეანდრო (42), 2:3 ვურტცი (54), 2:4 მეჰა (72)

**ზანდჰაუზენი-ფიურტი 1:3**

გოლები: 1:0 ტიუტინგი (16), 1:1 ფიულკრუგი (32), 1:2 შტიბერი (56-პენ), 1:3 ტრინკსი (76)

**9 დეკემბერი**

კაიზერსლაუტ-ფორტუნა 23:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიოლნი | 17 | 9 | 6 | 2 | 26-7 | 33 |
| 2. ფიურტი | 17 | 10 | 2 | 5 | 33-18 | 32 |
| 3. კაიზერსლ. | 16 | 8 | 4 | 4 | 30-17 | 28 |
| 4. ზანქტ პაული | 17 | 8 | 4 | 5 | 24-21 | 28 |
| 5. კარლსრუე | 17 | 7 | 6 | 4 | 21-14 | 27 |
| 6. მიუნხენ 1860 | 17 | 8 | 3 | 6 | 16-17 | 27 |
| 7. უნიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-24 | 25 |
| 8. ზანდჰაუზენი | 17 | 6 | 5 | 6 | 16-17 | 23 |
| 9. პადერბორნი | 17 | 6 | 5 | 6 | 30-32 | 23 |
| 10. ბოხუმი | 17 | 6 | 4 | 7 | 18-16 | 22 |
| 11. აალენი | 17 | 6 | 4 | 7 | 18-20 | 22 |
| 12. დინამო | 17 | 4 | 8 | 5 | 19-26 | 20 |
| 13. ინგოლშტადტი | 17 | 6 | 2 | 9 | 17-24 | 20 |
| 14. აუე | 17 | 6 | 2 | 9 | 21-29 | 20 |
| 15. ფრანკფურტი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-24 | 19 |
| 16. ფორტუნა | 16 | 5 | 4 | 7 | 15-25 | 19 |
| 17. არმინია | 17 | 5 | 3 | 9 | 21-31 | 18 |
| 18. კოტბუსი | 17 | 3 | 4 | 10 | 20-28 | 13 |

**ბომბარდირები:** 9 - მაჰირ ზალიკი (პადერბორნი); 8 - მოჰამადუ იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), მარსელ რისსე (კიოლნი), სიმონ ცოლერი (კაიზერსლაუტერნი); 7 - ედმონდ კაპლანი (ფრანკფურტი), ტორსტენ მატუშკა (უნიონი), ზოლტან შტიბერი (ფიურტი).

## III ბუნდესლიგა

**შტუტგარტი II-ხემნიტცი 1:1, უნტერჰახინგი-ჰაიდენჰაიმი 0:3, ვეენ-ჰანზა 1:3, ოსნაბრიუკი-რეგენსბურგი 1:0, ელვერსბერგი-დორტმუნდი II 0:5, ჰოლშტაინ კილი-დარმშტადტი 0:2, ერფურტი-ზაარბრიუკენი 0:1, ლაიპციგი-შტუტ. კიკერსი 2:1, ბურგჰაუზენი-ჰალეშერი 1:0, პროისენ მიუნსტერი-დუისბურგი 2:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა გუნდი, სხვა შედეგი

## ლიდერმა ფორას კიდევ ერთი ქულა დაამატა

### ჩელსის დაცვა არ უვარგა

„ბრიტანიაზე" თამაშის დასრულების შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** გულწრფელად აღიარა, რომ „ჩელსის" სერიოზული პრობლემები აქვს. პორტუგალიელის კარნახი არ დაგვჭირვებია, რომ ამ დასკვნამდე დამოუკიდებლად მისულიყავით. „ლურჯებმა" პრემიერლიგის ბოლო 10 თამაშში მხოლოდ ერთხელ მოახერხეს კარის მშრალად შენახვა, უკანასკნელ 2 შეხვედრაში კი ერთბაშად 6 გოლი გაუშვეს.

სტუმართა თამაშში რამდენიმე კანონზომიერება შევნიშნეთ და გვგონია, რომ ეს სწორედაც რომ მწვრთნელის ჩანაფიქრი იყო, რომელმაც არ გაამართლა. მაგალითად ის, რომ ყველაზე აქტიური დამაგვირგვინებელ ფაზაში **რამირესი** გახლდათ, ყველაზე რეალური მომენტები **შიურლეს** ექმნებოდა ან გერმანელი თავად ქმნიდა. ამ ფონზე უცნაური იყო, რომ **აზარი**, **მატა** და **ტორესი** პასიურობდნენ. „სტოკი" კი ტრადიციულ ფეხბურთს თამაშობდა: ჩანოდებები საჯარიმოში **კრაუჩის** იმედად, ხისტი, დრო და დრო უხეში თამაში, სწრაფი კონტრშეტევები და დაუღალავი მოძრაობა უბურთოდ. „მეთიხეთა" ერთი შეხედვით მარტივ კომბინაციებს „ჩელსიმ" ორჯერ დაბნეულობით უპასუხა და ორი გოლი მიიღო. შეცვლაზე შესულმა **არნოლდიმ** თამაშს წერტილი ტექნიკური დარტყმით დაუსვა. „ჩელსის" დაცვა ამ ეპიზოდსაც მოუმზადებელი შეხვდა.

### 41 წლის შემდეგ

**დევიდ მოიესი** კიდევ დიდხანს დარჩება სერ **ალექს ფერგიუსონის** ჩრდილში და მის ყოველ ნაბიჯს შეადარებენ ლეგენდარულ თანამემამულეს. „ნიუკასლთან" „ოლდ ტრეფორდზე" მარცხი მისთვის მე-5 აღმოჩნდა ჩემპიონატში. ამაზე მეტი ნაგება „ეშმაკებს" 2009/10 წლების შემდეგ არ ჰქონიათ, ოღონდ მთლიანად 38 ტურში. სასტარტო 15 ტურის შემდეგ კი მსგავსი შედეგი ბოლოს 2001/02-ის სეზონში ჰქონდათ. 12 წლის წინ „იუნაიტედი" საბოლოოდ ჩემპიონატში მე-3 ადგილზე გავიდა. ამჟამინდელ გუნდს კი ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება.

თამაში საყურებლად უინტერესო გამოდგა. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმზე ითქმის, როცა მოედანზე ბრძოლა უფრო მეტი იყო, ვიდრე ფეხბურთი. მხოლოდ ერთი რამ იყო თვალში საცემი, რომ სტუმარი უზარმაზარ უპირატესობას ფლობდა მოედნის ცენტრში. მეორე ტაიმზე იმავეს თქმა გაგვიჭირდება. სასტარტო მონაკვეთში მასპინძელთა მონდომება მსაჯებმა წყალს გაატანეს, როცა **ევრას** თავურის შემდეგ **ანიტას** მიერ კარის ხაზიდან ხელით გამოტანილი ბურთი ვერ დაინახეს. ჰოლანდიელი აშკარად იმსახურებდა წითელ ბარათს. „კაჭკაჭები" მალე აქეთ დანინაურდნენ. კონტრშეტევაზე **სისოკოს** პასი **კაბაიმ** გამოიყენა. **ვან პერსის** მხოლოდ ამის მერე შეექმნა ერთადერთი რეალური მომენტი, მან გაიტანა კიდეც, თუმცა თამაშგარედან. საერთო ჯამში რობინი მოედანზე მყოფთაგან ყველაზე სუსტი იყო. 1972 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ „ნიუკასლმა" „ოლდ ტრეფორდზე" მოიგო.

### ქაოსი ენფილდზე

„ლივერპულმა" „ენფილდზე" ქაოსით შეზავებული მორიგი ლამაზი სანახაობა შემოგვთავაზა. ამაში დასარწმუნებლად მარტო ტექნიკური მონაცემებისთვის თვალის გადავლებაც კმარა. ინგლისელი სტატისტიკოსები თუ არ შემოგვეშველნენ ნამდვილად გაგვიჭირდება იმის თქმა, თუ როდის გავიდა უკანასკნელად სამი ავტოგოლი ერთ შეხვედრაში.

სუარესმა „ჩაქუჩებთან" კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ კლასს. 26 წლის ურუგვაელმა „წითლების" ბოლო 9 გოლიდან 8-ში უშუალო მონაწილეობა მიიღო. 5 თავად გაიტანა, 1 პასი გააკეთა და 2-ჯერ მეტოქემ მისი აქტიურობის შემდეგ დალაშქრა საკუთარი კარი. ანგარიშის მიუხედავად ვერ ვიტყვით, რომ დედაქალაქელები უშანსოდ იყვნენ. 0:0-ზე **მინიოლეს** ვაჟკაცობა რომ არა, ანგარიში რამდენჯერმე შეიძლებოდა გახსნილიყო.

### ოსვალდოს შედევრი

„საუთჰემპტონი" „სიტისთან" მატჩს 3-თამაშიანი წაგებათა სერიით შეხვდა. აქედან ორჯერ „წმინდანებმა" ჩემპიონობის პრეტენდენტებთან (არსენალი, ჩელსი) დათმეს, მესამესთან კი მაქსიმალურად მონდომეს და ალალი ქულა დაიმსახურეს. „სენტ მერიზე" ყველაზე ლამაზი რაც მოხდა, **პაბლო ოსვალდოს** გოლი იყო. იტალიელმა მოკლე მონაკვეთზე შეძლო და ჯერ **კომპანის**, **საბალეტასა** და **დემიკელისს** დაახვია თავბრუ, მერე კი 2-მეტრიან **პანტილიმონს** ბურთი შორეულ კუთხეში „ჩაუსვა". რუმინელს ეფექტურმა ნახტომმაც ვერ უშველა.

„სანდერლენდს" უკვე საკუთარი კედლებიც აღარ შველის. „შავმა კატებმა" „სტედიუმ ოფ ლაითსზე" 4 დღეში მეორე თამაში დათმეს. ამაში თავისი როლი ითამაშა არბიტრმა **ლი მეისონმა**, ვინც მეორე ტაიმში **ლორისის** კარში 100%-იანი პენალტი არ დანიშნა **სანდროს** მიერ ხელით თამაშისთვის. თავის მხრივ „ტოტენჰემმა" ზედიზედ მეორედ იმარჯვა და ევროთასების ზონას დაუბრუნდა. იმის მიუხედავად, რომ „ფულჰემი" და „სანდერლენდი" პრემიერლიგის ყველაზე სუსტი გუნდები არიან, მათთან აღებულ 6 ქულას ამით გემო არ ეკარგება.

„ნორვიჩი" ხან ალთას არის, ხან ბალთას, რაც ამ გუნდის თამაშების ყურებას ნამდვილად სახალისოს ხდის. **კრის ჰიუტონის** გუნდს ბოლო 6 მატჩში 3 მოგება და ამდენივე წაგება აქვს. 3-დან ორჯერ ის უბრალოდ კი არ დამარცხდა, განადგურდა, ჯერ „სიტისთან" 0:7, შემდეგ „ლივერპულთან" 1:5. „იადონებმა" ორივე ნოკაუტის მერე სწრაფად შეძლეს გონს მოსვლა. მათთვის არც „ბრომვიჩთან" თამაში იყო იოლი, თუმცა ელვისებური კონტრშეტევების წყალობით დამსახურებული 3 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

### მინიმალური რევანში

**რობერტო მარტინესს** „ემირეიტსზე" ბოლო თამაში ცუდად ახსოვდა. პრაქტიკულად განწირულ „უიგანს" „მეთოფეებმა" წირვა გამოუყვანეს და ჩემპიონშიპში დააქვეითეს. „ათლეტებს" რამდენიმე დღით ადრე ასოციაციის თასის მოგებით გამოწვეული ბედნიერების გააზრებაც კი არ დასცალდათ. აი, ესპანელი იმავე არენას ეწვია და მარცხთან ახლაც ერთი ნაბიჯი აშორებდა, თუმცა სხვა გუნდით მან სულ სხვა შედეგი მიიღო. პირველ ტაიმში სტუმართა უპირატესობა თვალში საცემი იყო. პირველ ოც წუთში მათ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს. ეპიზოდებში „არსენალი" საკუთარი ნახევრიდან ბურთის გატანასაც კი ვერ ახერხებდა, თუმცა... რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. ტაიმის მიწურულს სიტუაცია შეიცვალა. მარტო **ჟირუს** 2-წუთიან მონაკვეთში 3 მომენტი ჰქონდა. მეორე ტაიმში მასპინძელი გარდაისახა. რაც პირველში ინერტიულა, ორმაგად აინაზღაურა. გოლი ნელ-ნელა მწიფდებოდა. **უოლკოტი-ჟირუ-იოზილის** კომბინაცია გერმანელმა დაასრულა. „ევერტონს" დარჩენილი დროც ეყო გასათანაბრებლად. ბოლო წამებზე ისევ ჟირუს შეეძლო შორეული დარტყმით 3 ქულა დაებევებინა, მაგრამ ხარიხას გაარტყა.



„არსენალს" მესუთ იოზილის ერთი გოლი არ ეყო

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

**იუნაიტედი–ნიუკასლი 0:1**

**გოლი:** 0:1 კაბაი (61)

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - რაფაელი (76. ვალენსია), ევანსი, ვიდიჩი, ევრა - კლევერლი (69. ანდერსონი), ჯონსი, ნანი (68. ზაჰა), იანუზაი - ერნანდესი, ვან პერსი

**ნიუკასლი (4-4-2):** კრული - დებუში (83. იანგა-მბივა), უილიამსონი, კოლოჩინი, სანტონი - ტიოტე, ანიტა, კაბაი (78. შ. ამეობი), სისოკო - გუფრანი (57. ბენ არფა), რემი

**გაფრთხილება:** - კაბაი, ანიტა

**კარში დარტყმა:** 12-12 (4-3) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 11-18 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 75 233

**პალასი–კარდიფი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯერომი (6), 2:0 შამახი (57)

**პალასი (4-4-2):** სპერონი - ვორდი, გებიდონი, დელეინი, მოქსი (25. მარიაპა) - ლედინაკი, დიკგაჩიო, ბენანი (84. ოკიფი), პანჩეონი - შამახი, ჯერომი

**კარდიფი (4-2-3-1):** მარშალი - ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, ტერნერი, ჯონი - მედელი, უიტინგემი - კოუი (46. ნუნი), მატჩი, კიმი (60. ოდემვინგი) - კემბელი (68. კორნელიუსი)

**გაფრთხილება:** -

**კარში დარტყმა:** 24-12 (5-2) **კუთხური:** 8-3 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 23 705

**ლივერპული–ვესტ ჰემი 4:1**

**გოლები:** 1:0 დემელი (42-ს.კ-ში), 2:0 სახო (47), 2:1 შკრტელი (66-ს.კ-ში), 3:1 სუარესი (81), 4:1 ობრაიენი (84)

**ლივერპული (4-2-3-1):** მინიოლე - ჯონსონი, შკრტელი, სახო, ფლენაგანი (79. კელი) - ალენი, ჯერარდი (56. ლეივა) - ჰენდერსონი, კოუტინიო, სტერლინგი (72. მოზესი) - სუარესი

**ვესტ ჰემი (4-4-2):** იასკელაინენი - დემელი, კოლინსი, ტომკინსი (56. ობრაიენი), მაკარტნი - ნოუბლი, ნოლანი, დიამე, დაუნინგი (46. ჯ. კოული) - მაიგა, ჯარვისი (84. ტეილორი)

**გაფრთხილება:** - ჯ. კოული, დემელი, კოლინსი

**გაძევება:** - ნოლანი (82)

**კარში დარტყმა:** 40-9 (8-1) **კუთხური:** 8-4 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 44 781

**საუთჰემპტონი–სიტი 1:1**

**გოლები:** 0:1 აგუერო (10), 1:1 ოსვალდო (42)

**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** გასანიგა - ჩემბერსი, ფონტე, ლოვრენი, შოუ - ვორდ-პრაუსი, კორკი - ლალანა (85. რამირესი), დევისი (90. რედი), როდრიგესი - ოსვალდო (77. ლამბერტი)

**სიტი (4-4-2):** პანტილიმონი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კოლაროვი - ფერნანდინიო, ი. ტურე (79. ჯეკო), მილნერი (62. ხ. გარსია), ნასრი - ნეგრედო (62. ნავასი), აგუერო

**გაფრთხილება:** - ნასრი, აგუერო

**კარში დარტყმა:** 19-15 (4-3) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 6-2 **ჯარიმა:** 6-9 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 31 229

**სტოკი–ჩელსი 3:2**

**გოლები:** 0:1 შიურლე (9), 1:1 კრაუჩი (42), 2:1 აირლენდი (50), 2:2 შიურლე (53), 3:2 ასაიდი (90)

**სტოკი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, მუნიესა - უელანი (86. პალასიოსი), ნზონზი - ადამი (18. აირლენდი), უოლტერსი (84. ასაიდი), არნაუტოვიჩი - კრაუჩი

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა - რამირესი, მიკელი (70. ლამპარდი) - შიურლე (70. ეტოო), მატა, აზარი - ტორესი (59. ბა)

**გაფრთხილება:** კრაუჩი, უოლტერსი, ასაიდი, აირლენდი - ტერი

**კარში დარტყმა:** 12-21 (3-6) **კუთხური:** 5-2 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 14-8 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 25 154

**ვესტ ბრომვიჩი–ნორვიჩი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჰუპერი (13), 0:2 ფერი (89)

**ვესტ ბრომვიჩი (4-2-3-1):** მაიჰილი - ჯონსი, მაკაული, ლუგანო, რიჯუელი (46. ლონგი) - მულუმბუ, იაკობი - ბრანტი, სესინიონი, ამალფიტანო (46. ბერაინო) - ანიჩებე (81. ვიდრა)

**ნორვიჩი (4-4-2):** რადი - უიტეიკერი (90. მარტინი), ტერნერი, ბასონგი, ოლსონი - ჰაულსონი, ჯონსონი, რედმონდი, ფერი - ელმანდერი (76. მერფი), ჰუპერი (90. ბეკიო)

**გაფრთხილება:** ბრანტი - უიტეიკერი, რადი, მერფი,

**კარში დარტყმა:** 39-11 (12-3) **კუთხური:** 10-3 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 10-6 **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 23 675

**სანდერლ–ტოტენჰემი 1:2**

**გოლები:** 1:0 ე. ჯონსონი (37), 1:1 პაულინიო (43), 1:2 ოში (50-ს.კ-ში)

**სანდერლენდი (4-4-2):** მანონე - ჩელუსტკა (77. ჯაკერინი), ოში, ბრაუნი, ბერდსლი - კოლბეკი (67. კატერმოლი), კი, ჯონსონი (67. ბორინი), ლარსონი - ფლეტჩერი, ალტიდორი

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - უოლკერი, კაპუ, დოუსონი, ნაუტონი - პაულინიო, დემბელე (73. სანდრო) - ლენონი, ჰოლტბი (79. ტაუნსენდი), შადლი (84. სიგურდსონი) - დეფო

**გაფრთხილება:** ჩელუსტკა, ალტიდორი -

**კარში დარტყმა:** 15-27 (4-5) **კუთხური:** 4-10 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 14-9 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 37 963

**ფულჰემი–ასტონ ვილა 2:0**

**გოლები:** 1:0 სიდუელი (21), 2:0 ბერბატოვი (30)

**ფულჰემი (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - რიშერი, სენდეროსი, ჰიუზი, რიისე - კარაგუნისი (73. კასამი), პარკერი - კაჩანიკლიჩი (77. დაფი), სიდუელი, დეჟაგა - ბერბატოვი

**ასტონ ვილა (4-3-3):** გუზანი - ბაკუნა, კლარკი, ბეიკერი, ჰერდი (81. ლოუტონი) - ვესტვუდი, დელფი, ელ-აჰმადი (46. ტონევი) - ვაიმანი (81. ოლბრაიტონი), ბენტეკე, აგბონლაჰორი

**გაფრთხილება:** - დელფი ჰერდი

**კარში დარტყმა:** 30-12 (9-2) **კუთხური:** 4-7 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-13 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 288

**არსენალი–ევერტონი 1:1**

**გოლები:** 1:0 იოზილი (80), 1:1 დეულოფეუ (84)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - ჯენკინსონი, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - არტეტა, რემსი (68. როსიცკი) - იოზილი, კასორლა (68. უოლკოტი), უილშირი (68. ფლამინი) - ჟირუ

**ევერტონი (4-4-1-1):** ჰოვარდი - კოულმენი, დისტინი, იაგიელკა, ოვიედო - ბარი, მაკარტი - მირალიაში (80. დეულოფეუ), ბარკლი (90+3. ნეისმიტი), პიენაარი (71. ოსმანი) - ლუკაკუ

**გაფრთხილება:** - ბარი, მაკარტი, ჰოვარდი, დეულოფეუ

**კარში დარტყმა:** 16-16 (5-4) **კუთხური:** 3-2 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 13-11 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 60 001

**9 დეკემბერი**

სუონსი-ჰალი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 15 | 11 | 2 | 2 | 30-11 | 35 |
| 2. ლივერპული | 15 | 9 | 3 | 3 | 34-18 | 30 |
| 3. ჩელსი | 15 | 9 | 3 | 3 | 30-17 | 30 |
| 4. სიტი | 15 | 9 | 2 | 4 | 41-15 | 29 |
| 5. ევერტონი | 15 | 7 | 7 | 1 | 23-14 | 28 |
| 6. ტოტენჰემი | 15 | 8 | 3 | 4 | 15-16 | 27 |
| 7. ნიუკასლი | 15 | 8 | 2 | 5 | 20-21 | 26 |
| 8. საუთჰემპტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 19-14 | 23 |
| 9. იუნაიტედი | 15 | 6 | 4 | 5 | 22-19 | 22 |
| 10. ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 16-18 | 19 |
| 11. სუონსი | 14 | 5 | 3 | 6 | 20-19 | 18 |
| 12. სტოკი | 15 | 4 | 5 | 6 | 15-20 | 17 |
| 13. ჰალი | 14 | 5 | 2 | 7 | 12-18 | 17 |
| 14. ნორვიჩი | 15 | 5 | 2 | 8 | 14-28 | 17 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 6 | 6 | 17-21 | 15 |
| 16. კარდიფი | 15 | 3 | 5 | 7 | 11-22 | 14 |
| 17. ვესტ ჰემი | 15 | 3 | 4 | 8 | 13-19 | 13 |
| 18. ფულჰემი | 15 | 4 | 1 | 10 | 14-26 | 13 |
| 19. პალასი | 15 | 4 | 1 | 10 | 10-22 | 13 |
| 20. სანდერლენდი | 15 | 2 | 2 | 11 | 12-30 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - ლუის სუარესი (ლივერპული), 12 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 8 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), რომელუ ლუკაკუ (ევერტონი), აარონ რემსი (არსენალი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**მომდევნო ტური**

14 დეკემბერი: **მანჩესტერ სიტი-არსენალი, კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი, ჩელსი-კრისტალ პალასი, ევერტონი-ფულჰემი, ნიუკასლი-საუთჰემპტონი, ვესტ ჰემი-სანდერლენდი, ჰალ სიტი-სტოკ სიტი**

15 დეკემბერი: ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნაიტედი, ნორვიჩი-სუონსი, ტოტენჰემი-ლივერპული

**ჩემპიონშიპი. XIX ტური**

**დერბი-ბლეკპული 5:1**

**გოლები:** 0:1 ოსბორნი (3), 1:1 მარტინი (47-პენ), 2:1 მარტინი (53), 3:1 ბრაისონი (57), 4:1 მარტინი (69-პენ), 5:1 კიო (90+2)

**გაძევება:** - ბიშოპი (69), მარტინესი (87)

**ბირმინგემი-მიდლსბრო 2:2**

**გოლები:** 0:1 კარაიოლი (22), 1:1 კადისი (59-პენ), 2:1 აიალა (80), 2:2 ბარტლი (90+4)

**ბოლტონი-დონკასტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 მეისონი (33), 2:0 მორიტცი (39), 3:0 დენსი (90+3)

**ბრაიტონი-ლესტერი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბარნსი (9), 2:0 კონვეი (28), 2:1 კინგი (64), 3:1 ბარნსი (77-პენ)

**ბარნლი-ბარნსლი 1:0**

**გოლი:** 1:0 კაიტლი (65)

**იპსვიჩი-ჰადერსფილდი 2:1**

**გოლები:** 0:1 ვორდი (35), 1:1 მაკგოლდრიკი (50), 2:1 მერფი (89)

**ლიდსი-უოტფორდი 3:3**

**გოლები:** 0:1 დინი (12), 0:2 ბატოკიო (45+1), 1:2 პიუ (50), 2:2 სმიტი (56), 3:2 მაკორმაკი (78), 3:3 დინი (86)

**მილუოლი-უიგანი 2:1**

**გოლები:** 1:0 მორისონი (3), 2:0 ისტერი (83), 2:1 მაკარტური (84)

**ქუინზ პარკი-ბლეკბერნი 0:0**

**რედინგი-ბორნმუთი 1:2**

**გოლები:** 0:1 გრებანი (37), 0:2 რიტჩი (41), 1:2 ლე ფონდრე (90+1)

**შეფილდ უენს-ნოტინგემი 0:1**

**გოლი:** 0:1 კოქსი (48)

**იოვილი-ჩარლტონი 2:2**

**გოლები:** 1:0 სტიუარტი (37), 2:0 ჯექსონი (45), 2:1 მორისონი (72-ს.კ-ში), 2:2 მილერი (76-პენ)

**გაძევება:** - ჯექსონი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარნლი | 19 | 11 | 6 | 2 | 30-13 | 39 |
| 2. ქუინზ პარკი | 19 | 11 | 6 | 2 | 22-10 | 39 |
| 3. ლესტერი | 19 | 12 | 2 | 5 | 31-21 | 38 |
| 4. დერბი | 19 | 10 | 4 | 5 | 40-26 | 34 |
| 5. ნოტინგემი | 19 | 8 | 7 | 4 | 29-22 | 31 |
| 6. რედინგი | 19 | 8 | 7 | 4 | 28-22 | 31 |
| 7. ბლეკპული | 19 | 8 | 7 | 4 | 23-21 | 31 |
| 8. ლიდსი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-23 | 30 |
| 9. იპსვიჩი | 19 | 8 | 5 | 6 | 30-24 | 29 |
| 10. ბრაიტონი | 19 | 7 | 7 | 5 | 24-18 | 28 |
| 11. ჰადერსფილდი | 19 | 7 | 5 | 7 | 25-23 | 26 |
| 12. უოტფორდი | 19 | 6 | 7 | 6 | 30-27 | 25 |
| 13. ბლეკბერნი | 19 | 6 | 6 | 7 | 22-22 | 24 |
| 14. უიგანი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-20 | 22 |
| 15. ბოლტონი | 19 | 5 | 7 | 7 | 20-23 | 22 |
| 16. ბორნმუთი | 19 | 6 | 4 | 9 | 24-36 | 22 |
| 17. მილუოლი | 19 | 5 | 6 | 8 | 23-37 | 21 |
| 18. მიდლსბრო | 19 | 4 | 8 | 7 | 30-30 | 20 |
| 19. ბირმინგემი | 19 | 5 | 5 | 9 | 24-26 | 20 |
| 20. დონკასტერი | 19 | 5 | 5 | 9 | 17-31 | 20 |
| 21. ჩარლტონი | 19 | 4 | 6 | 9 | 16-23 | 18 |
| 22. იოვილი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-26 | 16 |
| 23. შეფილდ უენს. | 18 | 2 | 8 | 8 | 20-29 | 14 |
| 24. ბარნსლი | 19 | 3 | 5 | 11 | 18-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 15 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 11 - დენი ინგსი (ბარნლი), ჯორდან როუდსი (ბლექბერნი); 10 - ჯეიმს ვონი (ჰადერსფილდი), კრის მარტინი (დერბი)

**ლიგა 1. XX ტური**

**ნოთს ქაუნთი-ჯილინგემი 3:1**

**ლიგა 2. XX ტური**

**მორკემბი-ჩელტენჰემი 0:1**

## შოტლანდია

**პრემიერშიპი. XV ტური**

**მაზერველი–სელტიკი 0:5**

**გოლები:** 0:1 კომონსი (44), 0:2 ემბროუზი (54), 0:3 კომონსი (76), 0:4 სტოუკსი (78), 0:5 ატაიჩი (90+1)

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ლუსტიგი, ემბროუზი, ვან დაიკი, იზაგირე - ბრაუნი (84. ჰენდერსონი), ლედლი, კომონსი (79. ატაიჩი), მალგრიუ - სტოუკსი, პუკი (79. ბორიხტერი)

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-პართსი | 4:1 |
| ჰიბერნიანი-პატრიკი | 1:1 |
| როს ქაუნთი-კილმარნოკი | 1:2 |
| სტ. მირენი-ინვერნესი | 0:0 |
| სტ. ჯონსტონი-აბერდინი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 14 | 11 | 3 | 0 | 35-12 | 36 |
| 2. ინვერნესი | 14 | 9 | 2 | 3 | 21-11 | 29 |
| 3. დანდი იუნ. | 15 | 7 | 5 | 3 | 29-11 | 26 |
| 4. აბერდინი | 15 | 8 | 2 | 5 | 22-14 | 26 |
| 5. მოზერველი | 15 | 8 | 1 | 6 | 16-23 | 25 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-17 | 21 |
| 7. ჰიბერნიანი | 15 | 4 | 5 | 6 | 10-15 | 17 |
| 8. სტ. მირენი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-21 | 16 |
| 9. პატრიკი | 15 | 3 | 5 | 7 | 13-25 | 14 |
| 10. კილმარნოკი | 15 | 3 | 3 | 9 | 16-24 | 12 |
| 11. როს ქაუნთი | 14 | 3 | 2 | 9 | 16-29 | 11 |
| 12. პართსი | 15 | 3 | 3 | 9 | 13-25 | -3 |

* პართსს დაკლებული აქვს 15 ქულა

## ჰოლანდია. ერედივიზიე. XV ტური

**უტრეხტი–ნაიმეგენი 2:0**

**გოლები:** 1:0 მარკუ (48), 2:0 დე რიდერი (78)

**გაძევება:** - კოოლვაიკი (67)

**აიაქსი–ბრედა 4:0**

**გოლები:** 1:0 კლაასენი (34), 2:0 კლაასენი (45+1), 3:0 კლაასენი (64), 4:0 ქრკიჩი (68)

**გაძევება:** - სუკი (88)

**ალკმაარი–ტვენტე 1:2**

**გოლები:** 1:0 ბეერენსი (3), 1:1 მოხტარი (39), 2:1 მოხტარი (90+2)

**ვაალვაიკი–კამბუური 2:2**

**გოლები:** 1:0 ბრაბერი (16), 1:1 ჰემენი (33), 1:2 ჰემენი (37), 2:2 დუიტსი (54-პენ)

**გაძევება:** სხეტი (83) -

**ეინდჰოვენი–ვიტესი 2:6**

**გოლები:** 0:1 პიაზონი (38), 1:1 დეპაი (45), 1:2 ჰავენაარი (66), 1:3 ლეერდამი (75), 2:3 რეკიკი (84), 2:4 დრიომერი (85), 2:5 ვან აანჰოლტი (87), 2:6 დრიომერი (90+3)

**ჰეერენვეენი–ფეიენოორდი 1:2**

**გოლები:** 0:1 ბოეტიუსი (9), 0:2 იმერსი (16), 1:2 ვან ბეეკი (45+2)

**გრონინგენი–დენ ჰააგი 1:2**

**გოლები:** 0:1 კრამერი (32), 1:1 კაპელჰოფი (79), 1:2 ბეხელსდაიკი (83)

**იგლსი–ზვოლე 4:1**

**გოლები:** 1:0 შმიდტი (6), 2:0 ფალკენბურგი (15), 3:0 ანტონია (57), 4:0 ვან დერ ლინდენი (70-პენ), 4:1 ნაილანდი (74)

**როდა–ჰერაკლესი 1:3**

**გოლები:** 1:0 პლუიმი (18), 1:1 ცზიომერი (35), 1:2 ტანანი (79), 1:3 ტანანი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტესი | 16 | 10 | 3 | 3 | 37-20 | 33 |
| 2. აიაქსი | 16 | 9 | 4 | 3 | 37-15 | 31 |
| 3. ტვენტე | 16 | 8 | 6 | 2 | 37-16 | 30 |
| 4. ფეიენოორდი | 16 | 8 | 3 | 5 | 32-24 | 27 |
| 5. გრონინგენი | 16 | 6 | 6 | 4 | 31-29 | 24 |
| 6. ალკმაარი | 16 | 7 | 3 | 6 | 28-26 | 24 |
| 7. უტრეხტი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-27 | 24 |
| 8. ჰეერენვეენი | 16 | 6 | 5 | 5 | 35-30 | 23 |
| 9. ზვოლე | 16 | 5 | 7 | 4 | 24-19 | 22 |
| 10. ეინდჰოვენი | 16 | 5 | 5 | 6 | 28-24 | 20 |
| 11. იგლსი | 16 | 5 | 5 | 6 | 26-37 | 20 |
| 12. ბრედა | 16 | 5 | 4 | 7 | 26-29 | 19 |
| 13. ჰერაკლესი | 16 | 5 | 3 | 8 | 21-29 | 18 |
| 14. როდა | 16 | 4 | 6 | 6 | 26-35 | 18 |
| 15. დენ ჰააგი | 16 | 5 | 2 | 9 | 20-36 | 17 |
| 16. კამბუური | 16 | 4 | 4 | 8 | 15-23 | 16 |
| 17. ვაალვაიკი | 16 | 3 | 5 | 8 | 22-32 | 14 |
| 18. ნაიმეგენი | 16 | 2 | 6 | 8 | 23-41 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 12 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 10 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის სამეფო თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

# ბარსას და ატლეტიკოს გასეირნებები

## რეალმა მესამე დივიზიონის გუნდს ვერ მოუგო

**ლეიდა–ბეტისი 1:2**

**გოლები:** 0:1 ვერდუ (27-პენ), 0:2 ხორხე მოლინა (43), 1:2 პერე მილია (57)
**ბეტისი (4-2-3-1):** ანდერსენი - ხ. ფიგერასი, პაულაო, ჩიკა, ნაჩო - ნონო (88. ხავი ტორესი), ლ. რეიესი - ხუან კარლოსი (65. ჩული), ვერდუ (79. სალვა სევილია), ხუანფრანი - ხორხე მოლინა
**გაძევება:** პაუ ტორესი (5. ლეიდა)

**ვილიარეალი–ელჩე 2:2**

**გოლები:** 1:0 ჯოვანი დოს სანტოსი (23), 1:1 სერხიო პელეგრინი (61), 1:2 ბოაკი (66), 2:2 ხ. აკინო (90)
**ვილიარეალი (4-4-2):** ხუან კარლოსი - პანტიჩი, მუსაჩიო, დორადო (67. პაბლო ინიგესი), იოკიჩი - ტრიგეროსი, პინა, ხ. აკინო, კანი (58. ედუ რამოსი) - პერბე, ჯოვანი დოს სანტოსი (73. ი. უჩე)
**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო - დ. სუარესი, ბოტია (69. ედუ ალბაკარი), სერხიო პელეგრინი, სისმა - კ. სანჩესი, რივერა - კარლეს ხილი (84. რუბენ პერესი), კორომინასი, ფიდელი - ბოაკი (80. მანტეკონი)

**ალხესირასი–სოსიედადი 1:1**

**გოლები:** 0:1 გრიზმანი (59), 1:1 ალფარო (64)
**სოსიედადი (4-2-3-1):** სუბიკარაი - სალდუა, ანსოტეგი, კადამურო, დე ლა ბელია (73. მ. გონსალესი) - ელუსტონდო, ხავი როსი - სანგალი (68. ველა), ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (68. აგირეჩე) - სეფეროვიჩი

**რასინგი–სევილია 0:1**

**გოლები:** 0:1 ხაირო სამპერიო (5)
**სევილია (4-4-2):** ხავი ვარასი - კოკე, კალა, ფასიო, ა. მორენო - ხაირო სამპერიო, კრისტოფორო (64. მბია), იბორა, ბ. რაბელიო (81. ხ. რეიესი) - გამეირო, რუსესკუ (55. ფ. ნავარო)
**გაძევება:** კოკე (52. სევილია)

**კარტახენა–ბარსელონა 1:4**

**გოლები:** 1:0 ფერნანდო (16), 1:1 პედრო (36), 1:2 ფაბრეგასი (43), 1:3 პედრო (76), 1:4 დონგუ (90)
**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - ადრიანო, პუიოლი, ბარტრა, ალბა (80. მონტოია) - ბუსკეტსი, ა. სონგი, სერხი რობერტო - ა. სანჩესი (77. დონგუ), ფაბრეგასი, პედრო

**ვალიადოლიდო–ვალეკანო 0:0**

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, რუედა, პენია, ბერგდიხი (84. ა. რუბიო) - ბარახა, ფ. როსი - ებერტი, ოსორიო (69. ხავი გერა), ო. რამოსი (79. დ. ლარსონი) - მანუჩო
**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - არბილია, გალეანო, გალვესი, მოხიკა - საულ ნიგესი, ადრიანი - ლ. ბანგურა (75. ხ. ვიერა), ა. ბუენო, ა. პერეა (79. კუევა) - ნ. კასტილიო (68. ლარივეი)

**სანტ ანდრეუ–ატლეტიკო 0:4**

**გოლები:** 0:1 რაულ გარსია (13), 0:2 არდა თურანი (21), 0:3 არდა თურანი (56), 0:4 ვილია (84)
**ატლეტიკო (4-4-2):** არანსუბია - მანკილიო, ალდერვეირელდი, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე, ტიაგო, რაულ გარსია (71. დიეგო კოშტა), არდა თურანი (79. გილავოგი) - ოლივერ ტორესი (63. ვილია), ადრიანი

**ჟირონა–ხეტაფე 1:1**

**გოლები:** 1:0 ტიმორი (16), 1:1 მარიკა (36)
**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - ვალერა, ლოპო, ალექსისი, რ. ლაგო - ხუან როდრიგესი, ლასენი - ლაფიტა, პ. სარაბია (70. დიეგო კასტრო), გავილანი (81. პედრო ლეონი) - მარიკა (76. ა. კოლუნგა)

**სელტა–ბილბაო 1:0**

**გოლი:** 1:0 სანტი მინა (71)
**სელტა (4-3-3):** სერხიო ალვარესი - უგო მალიო, დავიდ კოსტასი (64. ხ. ვილა), კაბრალი, ჯ. კასტრო - ალექს ლოპესი, რაფაელ ალკანტარა (69. მადინდა), კრონ-დელი - ფ. ორელიანა (78. ბერმეხო), სანტი მინა, ნოლიტო
**ბილბაო (4-2-3-1):** იაგო - ირაოლა, სან ხოსე, გურპეგი, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო - სუსაეტა (66. იბაი გომესი), ანდერ ერერა (78. დე მარკოსი), მუნიაინი - ტოკერო (77. ადურისი)

**უელვა–ლევანტე 1:0**

**გოლი:** 1:0 რუიმანი (90)
**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პ. ლოპესი, ვინტრა, კარაბელასი, ხუანფრანი - სიმაო ჟუნიორი, კამარასა - სუმეტრა (66. ბარალი), სერჟიუ პინტუ (88. პ. დიოპი), ელ ზარი (55. პედრო რიოსი) - ნონგი

**ოლიმპიკ დე შატივა–რეალი 0:0**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - დანი კარვახალი, სერხიო რამოსი, ნაჩო, არბელოა (46. მარსელო) - ილიარამენდი, კაზემირო - დი მარია (58. ბენზემა), ისკო (74. მოდრიჩი), ხესე როდრიგესი - მორატა

**ალკორკონი–გრანადა 0:2**

**გოლები:** 0:1 იგალო (30), 0:2 იგალო (81)
**გრანადა (4-3-2-1):** კარნეზისი - ნიომი, მაინსი, მურილიო, ანგულო - იებდა, იტურა (46. რესიო), ფრან რიკო - პიტი (79. ფულკოე), ბრაჰიმი (72. მ. პერეირა) - იგალო

**ხიმნასტიკი–ვალენსია 0:0**

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რიკარდო კოშტა, მატიო, გუარდადო - დანი პარეხო (71. ბანეგა), ორიოლ რომეუ - ფეგული (77. პაკო ალკასერი), კანალესი, ბერნატი (67. პაბონი) - ჟონასი
**გაძევება:** ჟონასი (87. ვალენსია)

**ლას პალმასი–ალმერია 1:3**

**გოლები:** 0:1 ოსკარ დიასი (15), 0:2 ალექს ვიდალი (21), 0:3 ოსკარ დიასი (25-პენ), 1:3 ნაუსეტი (73)
**ალმერია (4-2-3-1):** უსტარი - რაფიტა, მ. სილვა, პელერანო, კრისტიან ფერნანდესი - ტებარი, აზიზი - ალექს ვიდალი (57. იუნგ გიუ კიმი), ელდერ ბარბოსა (82. ტრუხილიო), რაულ გარსია (62. დუბარბიერი) - ოსკარ დიასი
**გაძევება:** კრისტიან ფერნანდესი (61. ალმერია), ნაუსეტი (84. ლას პალმასი)

**ხაენი–ესპანიოლი 2:2**

**გოლები:** 0:1 დ. ლოპესი (45), 1:1 სიდნეი (67-საკ. კარში), 2:1 ხოსაბედ სანჩესი (70), 2:2 სტუანი (88)
**ესპანიოლი (4-2-3-1):** ხერმანი - მატიონი (75. რაულ როდრიგესი), სიდნეი, კოლოტო, კაპდევილა - ვ. სანჩესი, დ. ლოპესი - სტუანი, პიცი (64. ტორიე), ლანსაროტე (78. აბრაამი) - ტიევი

**მალაგა–ოსასუნა 3:3**

### საპასუხო მატჩები გაიმართება 17, 18 და 19 დეკემბერს

ესპანეთში ჩემპიონატის მატჩები არ გამართულა, სამაგიეროდ, სამეფო თასის 1/16 ფინალის პირველი შეხვედრები შედგა და რამდენიმე საინტერესო შედეგიც დაფიქსირდა.

„ბარსელონამ“ მესამე დივიზიონის (სეგუნდა B) ბინადარ „კარტახენას“ ესტუმრა და არც ისე იოლი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს და 36-ე წუთამდე წინაც იყვნენ, მაგრამ ჯერ **პედრომ**, შემდეგ კი **სესკ ფაბრეგასმა** ტაიმი კატალონიელებს მოაგებინეს. მეორე ნახევარში პედრომ დუბლი შეასრულა, მატჩის უკანასკნელ წუთზე კი თავი ცვლილებაზე შემოსულმა **ჟან მარი დონგუმ** გამოიჩინა - 18 წლის ფეხბურთელმა „ბარსელონას“ ძირითად გუნდში პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და სადებიუტო გოლიც გაიტანა.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ქალაქ შატივაში, სადაც „ოლიმპიკ დე შატივამ“ მადრიდის „რეალის“ შემოტევებს გაუძლო და ნულოვან ფრეს მიაღწია. „სამეფო კლუბმა“ მესამე ლიგის ბინადართან თითქმის ძირითადი შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ მასპინძელთა კარის აღება ვერც ახალგაზრდა (**ხესე, მორატა, კაზემირო**) და ვერც გამოცდილმა (**ბენზემა, მოდრიჩი, დი მარია**) ფეხბურთელებმა შეძლეს.

დიდი ანგარიშით მოიგო მადრიდის „ატლეტიკომ“, რომლის მეტოქეც ბარსელონის „სანტ ანდრეუ“ იყო. „როხიბლანკოს“ რიგებში დუბლი **არდა თურანმა** შეასრულა, თითო გოლი კი **რაულ გარსიამ** და **დავიდ ვილიამ** გაიტანეს.

პრიმერა დივიზიონის ბინადართა დაპირისპირებებში კი ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ ყველაფერი საპასუხო შეხვედრებში უნდა გადაწყდეს. „ვილიარეალმა“ და „ელჩემ“ სანახაობრივ მატჩში ერთმანეთს 2-2 გოლი გაუტანეს, „ვალიადოლიდის“ და „რაიო ვალეკანოს“ შეხვედრა კი ნულოვანი ფრით დასრულდა. დამარცხდა ბილბაოს „ატლეტიკი“, რომელსაც „სელტასთან“ საკმაოდ რთული საპასუხო მატჩი ელის. ვიგოში გამართული შეხვედრის ერთადერთი გოლი **სანტი მინამ** გაიტანა. მიუხედავად სტუმართა უამრავი მცდელობისა, მასპინძლებმა კარი მშრალად შეინახეს და წყვილის ფავორიტად იქცნენ.



თანაგუნდელები დონგუს (მარჯვნივ) „ბარსელონაში“ გატანილ პირველ გოლს ულოცავენ

## პორტუგალია

### პრიმეირა ლიგა. XII ტური

**ბენფიკა–აროკა 2:2**

**გოლები:** 0:1 დავიდ სიმაო (19), 1:1 როდრიგო (40), 1:2 სერჟინიო (74), 2:2 ლიმა (83-პენ)

**პ. ფერეირა–ეშტორილი 0:3**

**გოლები:** 0:1 ხავიერ ბალბოა (11), 0:2 ჟოაო პედრო გალვაო (77), 0:3 ბრუნო ლოპეში (84)

**პორტუ–ბრაგა 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯ. მარტინესი (48), 2:0 ჯ. მარტინესი (80)

**მარიტიმუ–ნასიონალი 2:2**

**გოლები:** 1:0 ელდონი (11), 1:1 დიეგო ბარსელოსი (28), 2:1 ელდონი (84-პენ), 2:2 ზაინადინ ჟუნიორი (87)

**ოლიანენსე–რიო ავე 0:1**

**გოლი:** 0:1 უკრა (79)

**ჟილ ვისენტე–სპორტინგი 0:2**

**გოლები:** 0:1 ფ. მონტერო (19), 0:2 ფ. მონტერო (74)
**გაძევება:** პეკსი (61. ჟილ ვისენტე)

**გიმარაეში–ბელენენსეში 0:0**

**9 დეკემბერი**

სეტუბალი-აკადემიკა 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-9 | 29 |
| 2. პორტუ | 12 | 8 | 3 | 1 | 22-8 | 27 |
| 3. ბენფიკა | 12 | 8 | 3 | 1 | 22-10 | 27 |
| 4. ეშტორილი | 12 | 6 | 2 | 4 | 21-16 | 20 |
| 5. ჟილ ვისენტე | 12 | 5 | 3 | 4 | 13-13 | 18 |
| 6. ნასიონალი | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| 7. გიმარაეში | 12 | 5 | 2 | 5 | 11-10 | 17 |
| 8. რიო ავე | 12 | 5 | 1 | 6 | 10-12 | 16 |
| 9. ბრაგა | 12 | 5 | 0 | 7 | 13-15 | 15 |
| 10. მარიტიმო | 12 | 4 | 2 | 6 | 20-24 | 14 |
| 11. აკადემიკა | 11 | 4 | 2 | 5 | 6-13 | 14 |
| 12. სეტუბალი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-19 | 13 |
| 13. ბელენენსეში | 12 | 2 | 5 | 5 | 9-13 | 11 |
| 14. აროკა | 12 | 2 | 3 | 7 | 8-17 | 9 |
| 15. ოლიანენსე | 12 | 2 | 3 | 7 | 6-16 | 9 |
| 16. პ. ფერეირა | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ფ. მონტერო (სპორტინგი); 10 - ჯ. მარტინესი (პორტუ); 8 - ელდონი (მარიტიმო); 7 - დერლეი (მარიტიმო)

## ესპანეთი

### სეგუნდა დივიზიონი. XVII ტური

**ბარსელონა B–საბადელი 2:0**

**გოლები:** 1:0 პატრიკი (56), 2:0 სანაბრია (72)

**ერკულესი–სპორტინგი 0:1**

**გოლი:** 0:1 სანტი ხარა (2)

**დეპორტივო–ალავესი 2:1**

**გოლები:** 1:0 ხუან კარლოსი (29), 2:0 ბორხა (48), 2:1 ვიგერა (68-პენ)

**მირანდესი–მურსია 1:1**

**გოლები:** 0:1 ტეტე (15), 1:1 სესარ კანედა (89)

**სარაგოსა–კორდობა 2:1**

**გოლები:** 1:0 დიეგო რიკო (39), 1:1 დავილა (73), 2:1 ხოსე მარი (90)

**მალიორკა–ნუმანსია 0:0**

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

მუნდიალი 2014. წილისყრა




# ყველაზე საინტერესო ჯგუფური ეტაპი

**A ჯგუფი:** ბრაზილია, ხორვატია, მექსიკა, კამერუნი
**B ჯგუფი:** ესპანეთი, ჰოლანდია, ჩილე, ავსტრალია
**C ჯგუფი:** კოლუმბია, საბერძნეთი, კოტ დივუარი, იაპონია
**D ჯგუფი:** ურუგვაი, კოსტა რიკა, ინგლისი, იტალია
**E ჯგუფი:** შვეიცარია, ეკვადორი, საფრანგეთი, ჰონდურასი
**F ჯგუფი:** არგენტინა, ბოსნია, ირანი, ნიგერია
**G ჯგუფი:** გერმანია, პორტუგალია, განა, აშშ
**H ჯგუფი:** ბელგია, ალჟირი, რუსეთი, სამხრეთ კორეა

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა ისეთი მოვლენაა, რომელსაც ფეხბურთის ყველა ქომაგი მოუთმენლად ელის. პარასკევს, ქალაქ სალვადორში გამართულმა წილისყრამ გუნდები 8 თანაბარ ჯგუფში გადაანაწილა, რაც ძალიან საინტერესო ჯგუფური ეტაპის წინაპირობაა. ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: უინტერესო მატჩები მომავალ მუნდიალზე არ იქნება.

**მოგებულები**

### არგენტინა

გრანდებიდან ყველაზე მეტად არგენტინას გაუმართლა. როგორც წესი, როდესაც გრანდი იოლ ჯგუფში ხვდება, მას პლეი ოფში ურთულესი გზა ელის, მაგრამ „ალბისელესტეს“ შემთხვევაში აქაც გამონაკლისთან გვაქვს საქმე. თავად განსაჯეთ: თუ არგენტინამ ბოსნიას, ირანს და ნიგერიას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა, 1/8 ფინალში, დიდი ალბათობით, შვეიცარიის ნაკრებს შეხვდება, ხოლო თუ ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა, 1/4 ფინალში მას ბელგია-პორტუგალიის გამარჯვებული ელის. რა თქმა უნდა, საჩუქარს არავისგან უნდა ელოდოს, მაგრამ **ალეხანდრო საბელიას** გუნდს შეიძლებოდა გაცილებით რთული ბადე შეხვედროდა, მაგალითად ისეთი, როგორიც შეხვდა ბრაზილიას.

### საფრანგეთი

წესით, კენჭისყრის წინ, ფრანგები იმ კალათში უნდა ყოფილიყვნენ, სადაც თავი აფრიკულ გუნდებს ჰქონდათ მოყრილი, ეს კი **დიდიე დეშამის** კრებულს ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვედრას უქადდა, მაგრამ ფიფას გადაწყვეტილებით, 9 ევროპული ნაკრები ერთ კალათაში მოახვედრეს, რამაც საფრანგეთი უთუოდ ახეირა. „სამფეროვნები“ ისეთ ქვეჯგუფში მოხვდნენ (შვეიცარია, ეკვადორი, ჰონდურასი) საიდანაც (თუ მინიმალური პრეტენზია მაინც აქვთ) აუცილებლად პირველი ადგილით უნდა გავიდნენ. ამ შემთხვევაში, ფრანგებს 1/8 ფინალში ბოსნია ან ნიგერია ელით.

### კოლუმბია

მართალია, **ხოსე პეკერმანის** გუნდი განთესილი იყო, მაგრამ ასეთ იოლ ჯგუფზე, ალბათ, ვერც ერთი კოლუმბიელი ვერ იოცნებებდა. იაპონია, კოტ დივუარი, საბერძნეთი - ხელწამოსაკრავი მეტოქე არცერთია, მაგრამ იყო შანსი, სამხრეთამერიკელები გაცილებით რთულ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ, მაგალითად ისეთში, როგორშიც ურუგვაი მოხვდა. აი, მერვედფინალში კი კოლუმბიელებს ურთულესი მატჩი ელით: ურუგვაი, ინგლისი, იტალია - პეკერმანის შეგირდები ერთ-ერთს დაუპირისპირდებიან.

**H ჯგუფი**

ამ ჯგუფში ოთხივე გუნდს გაუმართლა. პირველი ადგილის დაკავების საუკეთესო შანსი ბელგიას აქვს, მაგრამ ჯგუფიდან გასვლისთვის რუსეთიც, ალჟირიც და სამხრეთ კორეაც იბრძოლებენ. პრინციპში, იგივე შეგვიძლია ვთქვათ კოლუმბიის ჯგუფზეც, სადაც პირველი თუ მეორე ადგილის დაკავების შანსი ოთხივე ნაკრებს აქვს.

**წაგებულები**

### ბრაზილია

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები სიკვდილის ჯგუფში ნამდვილად არ მოხვედრილან, მაგრამ პლეი ოფში სიკვდილის ბადე კი შეხვდათ. თუ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა და „სელესაომ“ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, პლეი ოფში B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება, ეს კი ან ესპანეთი იქნება, ან ჰოლანდია, ან ჩილე. გამარჯვების შემთხვევაში, 1/4 ფინალში ბრაზილიას (დიდი ალბათობით) D ჯგუფის მეორე ადგილოსანს (ან იტალია, ან ინგლისი, ან ურუგვაი) ელის, რომელმაც C ჯგუფის გამარჯვებულს 1/8 ფინალში უნდა სძლიოს.

### სიკვდილის ჯგუფები

ასეთი ორია: **B (ესპანეთი, ჰოლანდია, ჩილე და ავსტრალია)** და **D (ურუგვაი, ინგლისი, იტალია და კოსტა რიკა).** ავსტრალია და კოსტა რიკა უშანსოდ არიან და ვინც მათთან ქულებს დაკარგავს ჯგუფშიც ჩარჩება.

B ჯგუფში ფავორიტები ესპანეთი და ჰოლანდია კი არიან, მაგრამ ჩილე ისეთი გუნდია, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. **კლაუდიო ბორგის** შეგირდებმა თავისი სიძლიერე უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრებშიც დაამტკიცეს, როდესაც ესპანეთთან ფრედ ითამაშეს (2:0-ს იგებდნენ), ინგლისს პირწმინდად მოუგეს (2:0), ხოლო ბრაზილიასთან მხოლოდ ბოლოსკენ წააგეს (1:2).

უდიდესი მნიშვნელობა ექნება პირველი ადგილის დაკავებასაც, რადგან მეორე ადგილზე გასული გუნდი, წესით, მერვედფინალში ბრაზილიას უნდა შეხვდეს.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას D ჯგუფზეც, სადაც ორი ევროპული გრანდის გარდა, ურუგვაი მოხვდა, რომელიც ბევრის აზრით, ჯგუფიდან აუცილებლად გავა. კოსტა რიკა განწირულია და არის შანსი, ჯგუფში ის გუნდი ჩარჩეს, რომელიც კონკაკაფის წარმომადგენლებს ყველაზე მცირე ანგარიშით მოუგებს. სხვა რა უნდა ვთქვათ? იტალიის, ინგლისის და ურუგვაის შესახებ ისედაც ყველაფერი ვიცით - პოტენციურად, სამივე გუნდს ჯგუფის კი არა, მუნდიალის მოგების პრეტენზიაც ექნება.

**განა და აშშ**

განა და აშშ საკმაოდ სიმპათიური და კარგი გუნდები არიან, მაგრამ ისეთ ჯგუფში მოხვდნენ, მომდევნო ეტაპზე გასვლა ძალიან უნდა გაუჭირდეთ, თუმცა მათთან თამაში არც გერმანიას გაუადვილდება და არც (მით უმეტეს) პორტუგალიას. განწირული არც აფრიკული გუნდია და არც აშშ, მაგრამ ძალიან რთული მატჩები რომ ელით, ეს ფაქტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XV ტური

# დუელში გამოიკვეთა: იუვე და რომა

**ტური „იუვენტუსმა" „ბოლონიასთან" გასვლითი მატჩით გახსნა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. შაბათს კი „მილანმა" და „ნაპოლიმ" კიდევ ერთხელ წაიფორხილეს. ცენტრალური მატჩი დედაქალაქში შედგა, სადაც „რომამ" გამარჯვების გემო გაიხსენა.**

## იუვე ჩვეულ სტილში

„იუვენტუსი" ბოლონიაში ჩავიდა და ჩვეულ სტილში გაიმარჯვა. ტურინელები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და ორი უპასუხო გოლიც გაუტანეს მეტოქეს. მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **არტურო ვიდალი** მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, დროული პასი მიიღო და უზუსტესი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე გოლი სტუმრებმა მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე გაიტანეს - კუთხურს **ჯორჯო კიელინის** თავური დარტყმა მოჰყვა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა - 0:2.

შუა კვირაში „იუვენტუსს" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის ჩემპიონთა ლიგაზე და გასაკვირი არაა, რომ **ანტონიო კონტემ** რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცა: **ლეონარდო ბონუჩის, კარლოს ტევესს** და **ფერნანდო ლორენტეს**. აღვნიშნოთ ისიც, რომ „იუვეს" ტრავმირებული **ანდრეა პირლო** აკლდა. ტევესმა და ლორენტემ შეცვლაზე ითამაშეს - ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოუწია დაშავებული **მირკო ვუჩინიჩის** შეცვლა.

მთლიანობაში, „იუვენტუსმა" აჯობა მეტოქეს და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ნამატჩევს, ანტონიო კონტემ შეგირდები შეაქო და დასძინა, რომ „გალათასარაისთან" პაექრობას მისი გუნდი ოპტიმალურ ფორმაში ხვდება.

## დაკარგული ქულები

„ლივორნოსთან" მატჩი „მილანისთვის" მიჯრით მესამე გასვლითი პაექრობა იყო და თუ წინა ორში **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებმა გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად მხოლოდ ქულას გამორჩნენ. მართალია, სტუმრები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ შედეგი ალბათ მაინც კანონზომიერი დაფიქსირდა. ლომბარდიელები აშკარად მოიკოჭლებდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში და რომ არა **მარიო ბალოტელის** ინდივიდუალური ოსტატობა, „როსონერი" სულაც მორიგ მარცხს ინვნევდა. დიახ, 83-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სუპერმარიომ დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა გაიტანა და სტუმრებს ქულა გადაურჩინა. ანგარიშიც ბალოტელიმ გახსნა, როდესაც **რიკარდო კაკას** ბრწყინვალე პასი გამოიყენა და ბურთი პრაქტიკულად დაუცველ კარში შეაგორა. ბალოტელის გოლებს შორის მასპინძლებმა ორჯერ იხეირეს - ჯერ სილიგარდიმ გაიტანა, როდესაც ერთი მეტოქე კარგად მოატყუა და ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა, შემდეგ კი **პაულინიო** გამოირჩა, რომელმაც მახვილი კუთხიდან გოლკიპერს ახლო კუთხე დაულაშქრა. მოკლედ, „მილანის" კარის დარაჯმა საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა - არა **კრისტიან აბიატიმ**, არამედ გაბრიელმა.

ამ შეხვედრაში „მილანს" **სტეფან ელ შაარავი** და **მატია დე შილიო** დაუბრუნდა - ამ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელთან ერთად, „როსონერი" წესით უკეთ უნდა ათამაშდეს.

„ნაპოლიმ" კიდევ ერთ შეხვედრაში დაკარგა ქულები და უკვე საგრძნობლად ჩამორჩა „იუვენტუსს". თუ **რაფაელ ბენიტესის** გუნდს სკუდეტოსთვის ბრძოლა სურს, სასწრაფოდ უნდა დაძლიოს ჩავარდნა და ქულების მოგროვება დაიწყოს.

ნეაპოლს კრიზისში მყოფი „უდინეზე" ესტუმრა, თანაც **ანტონიო დი ნატალესა** და **ლუის მურიელის** გარეშე - შესაბამისად, ნაკლებად წარმოსადგენი იყო თუ ფრიულელები „ნაპოლის" ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. გაუწიეს და თანაც როგორი - **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდმა ჯერ ორბურთიანი ფორა ამოუქაჩა მეტოქეს და შემდეგ კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში.

38-ე და 41-ე წუთებზე **გორან პანდევმა** ორი დაახლოებით იდენტური გოლი შეაგდო და თითქოს, „ნაპოლის" გადამწყვეტი უპირატესობა შეუქმნა. თუმცა, ტაიმის უკანასკნელ წუთზე მასპინძელთა მცველმა **ფედერიკო ფერნანდესმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, 2:1. მეორე ტაიმის შუაწელს, უდინელმა **ბრუნო ფერნანდესმა** შორეული დარტყმით გაქვითა ანგარიში, თუმცა ერთ წუთში **ბლერიმ ჯემაილიმ** კიდევ ერთხელ დაანაყირა „ნაპოლი". აქ კი თითქოს უნდა გამხდარიყო „უდინეზე", მაგრამ ასე არ მოხდა - მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე, **დუშან ბასტამ** მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი კარში შეაგორა - 3:3.

მატჩის შემდეგ რაფაელ ბენიტესმა დაცვაში დაშვებულ შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ესპანელი მწვრთნელის თქმით, მის შეგირდებს ბურთი უნდა დაეჭირათ და ამით, საბოლოოდ გაეტეხათ მეტოქე, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. იტალიელმა ჟურნალისტებმა კი შეახსენეს რაფას, რომ მას სათადარიგოთა სკამზე **პაოლო კანავარო** უზის.

## როგორც იქნა

„რომამ" მოგების გემო გაიხსენა, დაამარცხა რა საკუთარ კედლებში „ფიორენტინა". მატჩი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **დუგლას მაიკონმა** გახსნა ანგარიში და თითქმის გავსებული „სტადიო ოლიმპიკო" ექსტაზში მოიყვანა. თუმცა, დროთა განმავლობაში უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ და ტაიმის შუაწელს გაათანაბრეს კიდეც ანგარიში - თავი **ხუან მანუელ ვარგასმა** გამოიჩინა. მეორე ტაიმი დაახლოებით ათი წუთის დაწყებული იყო, როდესაც მოედანზე გამოჯანმრთელებული **მატია დესტრო** გამოჩნდა და სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი - ეს ყველაფერი 67-ე წუთზე მოხდა, დარჩენილ დროში კი გუნდებმა რამდენიმე სახიფათო, მაგრამ უშედეგო შეტევა გაცვალეს.

როგორც იქნა, „რომამ" მოიგო, რაშიც ლომის წილი ტრავმამოშუშებულ მატია დესტროს მიუძღვის - არადა, სათადარიგოთა სკამზე ასევე გამოჯანმრთელებული **ფრანჩესკო ტოტი** იჯდა - რატომღაც, **გარსიამ** ტოტის დესტრო ამჯობინა და მწვრთნელის გადაწყვეტილებამ 100%-ით გაამართლა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



რომაელები გამარჯვების შემდეგ

### ბოლონია-იუვენტუსი 0:2

**გოლები:** 0:1 ვიდალი (12), 0:2 კიელინი (89).
**ბოლონია (3-4-2-1):** კურჩი - ნატალი, ანტონსონი, მანტოვანი - გარიჩი (64. კრისტალდო), პერესი (46. ლაქსალტი), კრპინი, მორლეო - კონე, დიამანტი - ბიანკი (89. ალიბეჩი).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ოგბონა, კიელინი - ისლა, ვიდალი, მარკიზიო, პოგბა, პელუზო (67. ასამოა) - ვუჩინიჩი (38. ლორენტე), კვალიარელა (70. ტევესი).
**გაფრთხილება:** კიელინი, ისლა, მარკიზიო, პელუზო (იუვენტუსი).
**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 10-14 (4-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.
**მაყურებელი:** 36 000

### ლივორნო-მილანი 2:2

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (7), 1:1 სილიგარდი (26), 2:1 პაულინიო (58), 2:2 ბალოტელი (83).
**ლივორნო (5-3-2):** ბარდი - ჩეკერინი, კოდა, ემერსონი, მბაიე (90. ლამბურგი), სკატარელა - ბიაჯანტი, ლუჩი, დუნკანი (90. რინაუდო) - პაულინიო, სილიგარდი (76. გრეკო).
**მილანი (4-3-2-1):** გაბრიელი - პოლი (76. დე შილიო), საპატა, მექსე, ემანუელსონი - მონტოლივო, ნოჩერინო (59. ნიანგი), დე იონგი - კაკა, ბირსა (38. ელ შაარავი) - ბალოტელი.
**გაფრთხილება:** კოდა, ემერსონი, მბაიე, პაულინიო (ლივორნო).
**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 13-8 (7-5); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.
**მაყურებელი:** 20 000

### ნაპოლი-უდინეზე 3:3

**გოლები:** 1:0 პანდევი (38), 2:0 პანდევი (41), 2:1 ფ. ფერნანდესი (45-საკ. კარში), 2:2 ბ. ფერნანდესი (70), 3:2 ჯემაილი (71), 3:3 ბასტა (80).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რაფაელი - მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, რევეილიერი (81. არმერო) - ინლერი, ჯემაილი (78. ბერამი) - პანდევი (74. მერტენსი), კალეხონი, ინსინიე - იგუაინი.
**უდინეზე (3-4-2-1):** ბრკიჩი - ერუ (68. მაიკოსუელი), დანილო, დომიცი - გაბრიელ სილვა, ბასტა, ლაძარი, ალანი - პერეირა, ფერნანდესი (84. ნალდო) - ლოპესი (84. ზელინსკი).
**გაფრთხილება:** ფერნანდესი, ალბიოლი, ჯემაილი, პანდევი - დომიცი, ფერნანდესი.
**კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 9-13 (6-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 45 000

### რომა-ფიორენტინა 2:1

**გოლები:** 1:0 მაიკონი (7), 1:1 ვარგასი (74), 2:1 დესტრო (67).
**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი, ბენატია, დოდო - პიანიჩი, დე როსი, სტროტმანი - ფლორენცი (58. დესტრო - 90. ბრედლი)), ლიაიჩი (72. ტადეი), ჟერვინიო.
**ფიორენტინა (4-3-2-1):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - აკვილანი (73. პისარო), ამბროზინი (79. ხოაკინი), ბორხა ვალერო - ვარგასი (86. მატოსი), კუადრადო - როსი.
**გაფრთხილება:** დე სანქტისი, კასტანი, დესტრო - ნეტო, გონსალო, ამბროზინი, კუადრადო.
**გაძევება:** პიანიჩი (88. რომა).
**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-12 (9-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 60 000

### კალიარი-ჯენოა 2:1

**გოლები:** 0:1 ჯილარდინო (16), 1:1 საუ (76), 2:1 საუ (90).
**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - პიზანო (58. იბრაიმი), როსეტინი, ასტორი, აველარი - კონტი, ნაინგოლანი, დესენა (90. კოსუ) - ეკდალი (77. ნენე) - საუ, პინილია.
**ჯენოა (3-4-2-1):** პერინი - ანტონინი, პორტანოვა (79. დე მაიო), მანფრედინი - ვრსალკო, ბიონდინი, ლოდი, ანტონელი - ფელტფალცრიდისი (47. მარკეზე), კუჩკა (60. გამბერინი) - ჯილარდინო.
**გაფრთხილება:** ავრამოვი, კონტი, ნაინგოლანი, პინილია, საუ - კუჩკა.
**გაძევება:** მანფრედინი (43. ჯენოა).
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 21-4 (7-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.
**მაყურებელი:** 10 000

### ვერონა-ატალანტა 2:1

**გოლები:** 0:1 დენისი (42), 1:1 ტაჩები (82), 2:1 ფრელო (87).
**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - რომულო, გონსალესი, მაიეტა, აგოსტინი - ჩირილიანო (58. ტაჩები), ფრელო, ალფრედსონი - მარტინიო (72. კაჩა), იტურბე (88. მორასი), ტონი.
**ატალანტა (4-4-2):** კონსილი - კანინი, კაცოლა, ლუკინი, ბრივიო - კარმონა (90. მილიაჩო), ბრიენცა (68. ჯორჯი), ბაზელი, კონე - დე ლუკა (80. ლივაია), დენისი.
**გაფრთხილება:** მაიეტა - კარმონა, დე ლუკა, დენისი.
**გაძევება:** კაცოლა (85. ატალანტა).
**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 10-9 (6-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 20 000

### სამპდორია-კატანია 2:0

**გოლები:** 1:0 ედერი (54), 2:0 გაბიადინი (77).
**სამპდორია (4-2-3-1):** და კოსტა - მუსტაფი, გასტალდელო, კოსტა (80. რეჯინი), დე სილვესტრი - ობიანგი, პალომბო - სორიანო, ედერი (86. ვრზოლეკი), გაბიადინი - პოცი (57. კრისტიჩი).
**კატანია (5-4-1):** ფრიზონი - პერუცი (71. კეკო), გიომბერი, ლეგროტალიე, სპოლი, ბირაგი - მონძონი (59. ლოპესი), პლაშილი, კასტრო (71. ბოატენგი), გუარენტე - ლეტო.
**გაფრთხილება:** პალომბო, გაბიადინი, ედერი, კრისტიჩი - კასტრო, გუარენტე.
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 14-3 (7-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
**მაყურებელი:** 20 000

### სასუოლო-კიევო 0:1

**გოლი:** 0:1 თერეუ (50).
**სასუოლო (3-4-3):** პეგოლო - ანტეი, აჩერბი, ბიანკო - გაცოლა (58. სკელოტო), მარონე (75. მისიროლი), მანიანელი, ლონგი - ძაძა (66. მაზუჩი), ფლორო ფლორესი, ბერარდი.
**კიევო (4-3-3):** პუჯონი - ფრეი, ცეზარი, დაინელი, დრამე - რიგონი, პეტკოვი, რადოვანოვიჩი (83. ბენტივოლიო) - ესტიგარიბია (73. სარდო), სესტუ (67. აკოსტი), თერეუ.
**გაფრთხილება:** ბიანკო, ბერარდი - ცეზარი, დრამე.
**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 5-9 (2-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 15 000

### ტორინო-ლაციო 1:0

**გოლი:** 1:0 გლიკი (19).
**ტორინო (3-5-2):** პადელი - დარმიანი, გლიკი, მორეტი - დამბროზიო, ვივესი, ფარნერუდი (81. მაზიელო), ბაშა (68. ბრიგი), პასკუალე - ჩერჩი, იმობილე (53. მეჯორინი).
**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ცანა, დიასი, პერეირინია (90. კეიტა) - ბილია (62. ფლოკარი), ერნანესი (75. ედერსონი), ონაზი, კანდრევა, ლულიჩი - პერეა.
**გაფრთხილება:** გლიკი, ბაშა, ჩერჩი - ბილია, პერეა.
**კუთხური:** 1-15; **ჯარიმა:** 19-8; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 5-13 (3-3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.
**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-პარმა 3:3

**გოლები:** 0:1 სანსონე (12), 1:1 პალასიო (44), 1:2 პაროლო (45), 2:2 პალასიო (54), 3:2 გუარინი (56), 3:3 სანსონე (59).
**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, რანოკია, ჟუან ჟესუსი - ჯონათანი (77. ბელფოდილი), კოვაჩიჩი, კამბიასო, ალვარესი, ძანეტი (69. ნაგატომო) - გუარინი (88. ტაიდერი) - პალასიო.
**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, პალეტა, გობი - გარგანო (18. ასკუა), მარკიონი, პაროლო - ბიაბიანი, კასანო (83. ამაური), სანსონე (87. როზი).
**გაფრთხილება:** რანოკია, კოვაჩიჩი - პაროლო.
**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 13-13 (6-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.
**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 15 | 13 | 1 | 1 | 31-10 | 40 |
| 2. რომა | 15 | 11 | 4 | 0 | 29-5 | 37 |
| 3. ნაპოლი | 15 | 10 | 2 | 3 | 31-17 | 32 |
| 4. ინტერი | 15 | 7 | 7 | 1 | 34-17 | 28 |
| 5. ფიორენტინა | 15 | 8 | 3 | 4 | 29-19 | 27 |
| 6. ვერონა | 15 | 8 | 1 | 6 | 27-25 | 25 |
| 7. ტორინო | 15 | 4 | 7 | 4 | 24-23 | 19 |
| 8. ჯენოა | 15 | 5 | 4 | 6 | 16-18 | 19 |
| 9. მილანი | 15 | 4 | 6 | 5 | 23-23 | 18 |
| 10. პარმა | 15 | 4 | 6 | 5 | 22-24 | 18 |
| 11. კალიარი | 15 | 4 | 6 | 5 | 17-23 | 18 |
| 12. ლაციო | 15 | 4 | 5 | 6 | 19-22 | 17 |
| 13. ატალანტა | 15 | 5 | 2 | 8 | 16-20 | 17 |
| 14. უდინეზე | 15 | 5 | 2 | 8 | 15-19 | 17 |
| 15. კიევო | 15 | 4 | 3 | 8 | 12-18 | 15 |
| 16. სამპდორია | 15 | 3 | 5 | 7 | 17-24 | 14 |
| 17. სასუოლო | 15 | 3 | 5 | 7 | 17-31 | 14 |
| 18. ლივორნო | 15 | 3 | 4 | 8 | 15-25 | 13 |
| 19. ბოლონია | 15 | 2 | 6 | 7 | 16-28 | 12 |
| 20. კატანია | 15 | 2 | 3 | 10 | 10-28 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - როსი (ფიორენტინა); 9 - პალასიო (ინტერი); 8 - ჩერჩი (ტორინო).

### მომდევნო ტური

14 დეკემბერი: კატანია-ვერონა, იუვენტუს-სასუოლო;
15 დეკემბერი: კიევო-სამპდორია, ფიორენტინა-ბოლონია, ჯენოა-ატალანტა, ლაციო-ლივორნო, პარმა-კალიარი, უდინეზე-ტორინო, ნაპოლი-ინტერი;
16 დეკემბერი: მილანი-რომა.

### სერია B. XVII ტური

**ჩეზენა-პადოვა** 0:1
გოლი: 0:1 პასკუატო (55).

**ბრეშა-რეჯანა** 2:1
გოლები: 1:0 კარაჩოლო (43), 1:1 სბაფო (60), 2:1 გროსი (73).

**კარპი-ვარეზე** 1:0
გოლი: 1:0 სგრინია (4).

**ჩიტადელა-ტრაპანი** 2:2
გოლები: 0:1 რიძატო (26), 1:1 დი რობერტო (65), 1:2 მანკოზუ (68), 2:2 დი რობერტო (81-პენ.).

**კროტონე-ემპოლი** 1:1
გოლები: 0:1 მაკარონე (15), 1:1 კრისეტიგი (42-პენ.).

**იუვე სტაბია-ბარი** 1:1
გოლები: 1:0 ბერტრანდი (2), 1:1 მაროტა (78).

**ნოვარა-მოდენა** 1:0
გოლი: 1:0 რუბინო (14).

**სიენა-პესკარა** 1:3
გოლები: 0:1 რაგუზა (14), 0:2 პოლიტანო (21), 1:2 სუარესი (31), 1:3 მანიერო (55).

**ტერნანა-ლატინა** 1:0
გოლი: 1:0 მაზი (68).

**ლანჩანო-პალერმო** 1:1
გოლები: 0:1 ბელოტი (50), 1:1 ტურჩი (90).

### 9 დეკემბერი

**სპეცია-აველინო** 23:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ემპოლი | 17 | 9 | 5 | 3 | 28-14 | 32 |
| 2. პალერმო | 17 | 9 | 4 | 4 | 27-14 | 31 |
| 3. ლანჩანო | 17 | 8 | 6 | 3 | 18-12 | 30 |
| 4. კროტონე | 17 | 8 | 4 | 5 | 27-25 | 28 |
| 5. აველინო | 16 | 8 | 4 | 4 | 20-16 | 28 |
| 6. ლატინა | 17 | 6 | 8 | 3 | 14-13 | 26 |
| 7. ჩეზენა | 17 | 6 | 7 | 4 | 20-15 | 25 |
| 8. პესკარა | 17 | 6 | 7 | 4 | 28-22 | 25 |
| 9. ვარეზე | 17 | 6 | 5 | 6 | 20-19 | 23 |
| 10. სპეცია | 16 | 6 | 5 | 5 | 16-18 | 23 |
| 11. ტრაპანი | 17 | 5 | 7 | 5 | 22-21 | 22 |
| 12. სიენა | 17 | 6 | 8 | 3 | 29-22 | 21 |
| 13. მოდენა | 17 | 5 | 6 | 6 | 22-19 | 21 |
| 14. კარპი | 16 | 6 | 2 | 8 | 15-22 | 20 |
| 15. ბრეშა | 17 | 3 | 11 | 3 | 22-22 | 20 |
| 16. ბარი | 17 | 5 | 6 | 6 | 17-18 | 18 |
| 17. ტერნანა | 17 | 4 | 6 | 7 | 22-21 | 18 |
| 18. ჩიტადელა | 17 | 3 | 8 | 6 | 15-22 | 17 |
| 19. ნოვარა | 17 | 3 | 8 | 6 | 16-25 | 17 |
| 20. პადოვა | 16 | 4 | 4 | 8 | 12-21 | 16 |
| 21. რეჯინა | 17 | 3 | 4 | 10 | 13-26 | 13 |
| 22. იუვე სტაბია | 17 | 1 | 5 | 11 | 15-31 | 8 |

შენიშვნა: სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.
ბომბარდირები: 11 - ტავანო (ემპოლი), მანკოზუ (ტრაპანი); 10 - პავოლეტი (ვარეზე).

### სერია C1 A

ვიჩენცა-კრემონეზე 0:0, კარარეზე-ალბინოლეფე 1:3, ენტელა-სავონა 1:0, ფერალპიზალო-პრო პატრია 1:1, ლუმეცანე-კომო 0:1, პავია-რეჯანა 0:1, სუდტიროლი-პრო ვერჩელი 0:0, ვენეცია-სან მარინო 2:1.

### სერია C1 B

სალერნიტანა-პრატო 0:2, ბენევენტო-ასკოლი 2:0, კატანძარო-ბარლეტა 1:1, ფროზინონე-ლეჩე 3:1, გროსეტო-ვიარეჯო 2:1, გუბიო-პაგანეზე 2:0, ნოჩერინა-ლაკვილა 1:0, პონტედერა-პერუჯა 0:1.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი
### კონფერენცი
XXII ტური
ალფრეტონი-ლუტონი 0:5
ბარნეტი-დარტფორდი 1:0
ჩესტერი-ბრენტრი 0:2
ჰალიფაქსი-უოკინგი 3:4
ჰერეფორდი-ნანიტონი 0:1

## ინგლისის თასი
### II რაუნდი
როვერსი-კროული 0:0
კარლაილი-ბრენტფორდი 3:2
ჩესტერფილდი-საუთენდი 1:3
ფლიტვუდი-ბარტონი 1:1
გრიმსბი-ნორთჰემპტონი 2:0
ჰარტლპული-კოვენტრი 1:1
კიდერმინსტერი-ნიუპორტი 4:2
ლეიტონი-უოლსოლი 1:0
მაკლსფილდი-ბრაკლი 3:2
მილტონი-დუვრი 1:0
ოლდჰემი-მენსფილდი 1:1
პიტერბორო-ტრანმერი 5:0
პლიმუთი-უელინგი 3:1
როზერჰემი-როჩდეილი 1:2
სტივენიჯი-სტორბრიჯი 4:0
უიკომბი-პრესტონი 0:1
კემბრიჯი-შეფილდი 0:2
ტამვორტი-ბრისტოლი 1:2
რექსჰემი-ოქსფორდი დღეს

## გერმანია
### რეგიონალლიგა (ჩრ)
XIX ტური
ვიქტორია-აიხედი 2:1
ფლენსბურგი-ბრაუნშვაიგი II 3:1
ჰანოვერი II-ჰამბურგი II 2:2
ოლდენბურგი-ნოიმუნსტერი 0:2
ვოლფსბურგი II-გოსლარერი 0:2
კლოპენბურგი-აინტრახტი (ნ) 2:0
ვილჰელმსჰავენი-სტ. პაული II 0:3
ჰაველსე-რედენი გადაიდო

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)
XVI ტური
რატენოვი-მეუსელვიცი 0:1
კარლ ცაისი-ნოიშტრელიცი 3:1
გერმანია-ჰაკერი 1:2
უნიონი II-პლაუენი 2:2
ლოკომოტივი-ბაბელსბერგი გადაიდო

### რეგიონალლიგა (დას)
XIX ტური
ლევერკუზენი II-ვერლი 0:2
ბოხუმი II-ლოტე 2:1
ფორტუნა II-ფორტუნა (კ) 2:2
ობერჰაუზენი-ვატენშაიდი 0:1
ალემანია-შალკე II 1:2
ვიდენბრუკი-ლიპშტადტი 2:1

### რეგიონალლიგა (ს-დ)
XIX ტური
კასელი-ტრიერი 1:6
ჰომბურგი-პფულენდორფი 6:1
მაინცი II-ჰოფენჰაიმი II 0:3
ნეკარელცი-ცვაიბრუკენი 0:0
აინტრახტი II-ვორმატია 3:0
ოფენბახი-კობლენცი 4:0
ზონენჰოფი-ბაუნატალი 3:1

## საფრანგეთის თასი
### VIII რაუნდი
შარვიო-მულენი 1:2
ბულონ ბილანკური-ბოვე 1:1 პენ. 3:4
შანტილი-შამბრი 1:2
იარნაკი-ლე პუირი 0:3
შასიო-კა ბასტია 0:2
რაონი-სენტ მარი 2:0
ამიენი-ლავალი 1:0 დ.დ.
პონტარლიე-სარ უნიონი 2:0
მოლსჰაიმი-ბულონი 0:1
ლა როში-შოვინი 3:0
ბანი-ბელფორი 1:1 პენ. 5:4
სელონჟი-ბურგ პერონა 0:1
სეტი-გრენობლი 1:0
ოზორი-ლიონ ლა დუშერი 0:0 პენ. 4:2
ბალმა-ოზანი 0:1 დ.დ.
შერბური-ბრესტი 1:3
დივი-პლაბენეკი 0:1 დ.დ.
დუნკერკი-რომორანტენი 0:1
ნესლი-ლანსი 1:4
სტ. პრიესტი-კაენი 0:2 დ.დ.
სტ. დიზიე-მონ ორ აზერგი 1:3 დ.დ.
ბუჟიო-ისტრი 1:4
ბალანი-ვილფრანში 3:2 დ.დ.
კონკარნო-ლანიონი 2:1
ლუკონი-ნიორი 4:4 პენ. 3:4
ბრესუირი-მონ დე მარსანი 2:1 დ.დ.
კარკეფუ-ვიტრე 4:1
ვილნევი-ანჟერი 4:4 პენ. 3:4
ჟარვილი-პუასი 0:1
სტ. არმანი-დინშაიმი 5:2
ბრეტინი-ქურა ზუდი 1:1 პენ. 4:5
კანი-ტრუა 2:1
ფარბუში-დიჟონი 1:6
ლა კიოლი-ალესი 4:1
ლე ლილა-პრეა 0:1 დ.დ.
მენტენონი-ლა სუზი 0:2
ნოილი-მარტუა 1:2
ლე რეუ-ავრანში 0:3
სტ. მალო-ვანი 0:2
ვინიოკი-კიმპერლე 0:3 დ.დ.
ვაინალი-არა 1:0
ბულონი-როდე 0:1
ოიარი-ნანსი 3:1
კრეტეი-მეცი დღეს

## ჰოლანდია
### II დივიზიონი
XX ტური
ემენი-ჰელმონდი 2:2
დენ ბოში-ვენლო 1:0
ახილესი-ოსი 1:4
სპარტა-ექსელსიორი 1:1
აიაქსი II-პსვ II დღეს

## ბელგია
XVIII ტური
ანდერლეხტი-ვაასლანდი 2:0
ბრიუგე-მეხელენი 3:0
კორტრეიკი-შარლერუა 1:1
ლიერსი-გენტი 1:3
მონსი-ვარეგემი 1:1
ოსტენდე-სერკლი 2:0
ლევენი-სტანდარდი 0:0
გენკი-ლოკერენი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 18 | 12 | 5 | 1 | 35-9 | 41 |
| 2. ბრიუგე | 18 | 12 | 3 | 3 | 30-14 | 39 |
| 3. ანდერლეხტი | 18 | 12 | 1 | 5 | 43-20 | 37 |
| 4. ვარეგემი | 18 | 10 | 7 | 1 | 36-24 | 37 |
| 5. გენკი | 18 | 11 | 2 | 5 | 31-19 | 35 |
| 6. ლოკერენი | 18 | 9 | 2 | 7 | 31-24 | 29 |
| 7. კორტრეიკი | 18 | 8 | 4 | 6 | 24-20 | 28 |
| 8. გენტი | 18 | 7 | 6 | 5 | 23-23 | 27 |
| 9. სერკლი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-30 | 20 |
| 10. შარლერუა | 18 | 4 | 8 | 6 | 20-24 | 20 |
| 11. ოსტენდე | 18 | 5 | 3 | 10 | 17-27 | 18 |
| 12. ლიერსი | 18 | 5 | 2 | 11 | 16-35 | 17 |
| 13. მეხელენი | 18 | 4 | 4 | 10 | 21-34 | 16 |
| 14. ლევენი | 18 | 3 | 7 | 8 | 20-30 | 16 |
| 15. ვაასლანდი | 18 | 1 | 7 | 10 | 11-26 | 10 |
| 16. მონსი | 18 | 1 | 4 | 13 | 13-30 | 7 |

### II დივიზიონი
XIX ტური
ბორინაჟი-ტუბეკე 1:2; დესელი-გეელი 3:3; ანტვერპენი-ჰაისტი 3:0; ჰუგსტრატენი-აალსტი 2:0; რუზელარე-ეუპენი 2:2; ბრიუსელი-ვიზე 2:0; ვოლუვე-მუსკრონი 2:1; ვესტერლო-ლომელი 2:1.

## პორტუგალია
### II დივიზიონი
XIX ტური
მარიტიმუ B-ბრაგა B 2:1
ოლივეირენსე-ტროფენსე 1:2
ვიზეუ-პორტიმონენსე 3:0
ფარენსე-ბენფიკა B 3:1
მორეირენსე-სანტა კლარა 1:1
შავეში-პენაფიელი 3:2
ფეირენსე-ატლეტიკო 1:1
კოვილია-ავესი 2:0
ტონდელა-ლეიქსოესი 0:1
მადეირა-ბეირა მარი 2:0
პორტუ B-სპორტინგი B 2:1

## შოტლანდია
### ჩემპიონშიფი
XV ტური
კოუდენბითი-ლივინგსტონი 2:3
დამბარტონი-ქუინი 0:1
ფალკირკი-რეითი 3:1
ჰემილტონი-ალოა 0:1
მორტონი-დანდი 1:2

### I ლიგა
XV ტური
არბროთი-სტრანრაერი 1:2
დანფერმლაინი-ფორფარი 1:1
ისტ ფაიფი-სტენჰაუზმუირი 1:0
რეინჯერსი-ეირი 3:0
ბრეჩინი-ეირდრი გადაიდო

### II ლიგა
XV ტური
ალბიონი-სტირლინგი 2:1
კლაიდი-პიტერჰედი 1:3
ისტ სტირლინგი-ანენი 1:1
ელჯინი-ბერვიკი 2:0
ქუინზ პარკი-მონროუზი 0:1

## ავსტრია
XIX ტური
გრიოდიგი-რიდი 3:0
ვაკერი-შტურმი 0:1
აუსტრია-ადმირა 2:2
ვოლფსბერგი-რაპიდი 2:1
ვინერი-ზალცბურგი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 18 | 12 | 4 | 2 | 53-16 | 40 |
| 2. გრიოდიგი | 19 | 9 | 4 | 6 | 42-35 | 31 |
| 3. რაპიდი | 19 | 8 | 6 | 5 | 34-23 | 30 |
| 4. აუსტრია | 19 | 8 | 5 | 6 | 36-24 | 29 |
| 5. რიდი | 19 | 7 | 7 | 5 | 32-32 | 28 |
| 6. შტურმი | 18 | 6 | 4 | 8 | 25-28 | 22 |
| 7. ვინერი | 18 | 5 | 5 | 8 | 24-46 | 20 |
| 8. ვოლფსბერგი | 18 | 4 | 6 | 8 | 26-34 | 18 |
| 9. ტიროლი | 19 | 3 | 7 | 9 | 26-45 | 16 |
| 10. ადმირა | 19 | 5 | 4 | 10 | 25-40 | 11 |

## იაპონია
XXXIV ტური
კაშიმა-ჰიროშიმა 0:2
ურავა-სერეზო 2:5
ტოკიო-ვეგალტა 2:0
კავასაკი-იოკოჰამა 1:0
შონანი-ომია 0:1
კოფუ-ტოსუ 0:0
ნიიგატა-ნაგოია 2:0
შიმიძუ-კაშივა 1:2
ივატა-ოიტა 3:1

## კვიპროსი
XII ტური
დოქსა-აელ 0:1
ანორთოსისი-არისი 1:0
აპოლონი-ნეა სალამისი 1:2
ეთნიკოსი-აპოელ 0:2
ომონია-ერმისი 2:2
კუკლიონი-ენოსისი 2:2
ალკი-აეკ 2:5

## დანია
XVIII ტური
კოპენჰაგენი-ვესტშელანდი 1:0
რანდერსი-ესბიერგი 1:0
მიდტიულანდი-აგფ ორჰუსი 3:0
სონდერიისკი-ბრონდბიუ 1:1
ოლბორგი-ვიბორგი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიდტიულანდი | 17 | 9 | 6 | 2 | 29-16 | 33 |
| 2. ოლბორგი | 16 | 8 | 4 | 4 | 25-18 | 28 |
| 3. კოპენჰაგენი | 17 | 7 | 6 | 4 | 33-21 | 27 |
| 4. ბრონდბიუ | 17 | 6 | 6 | 5 | 22-21 | 24 |
| 5. ოდენსე | 17 | 5 | 7 | 5 | 28-24 | 22 |
| 6. აგფ ორჰუსი | 17 | 6 | 4 | 7 | 25-30 | 22 |
| 7. ვიბორგი | 17 | 5 | 6 | 6 | 28-29 | 21 |
| 8. ვესტშელანდი | 17 | 5 | 6 | 6 | 20-25 | 21 |
| 9. რანდერსი | 17 | 4 | 8 | 5 | 23-27 | 20 |
| 10. ნორდშელანდი | 17 | 5 | 5 | 7 | 18-25 | 20 |
| 11. ესბიერგი | 16 | 5 | 3 | 8 | 27-25 | 18 |
| 12. სონდერიისკი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-33 | 15 |

## საბერძნეთი
XIV ტური
ერგოტელისი-არისი 3:3
ლევადია-პლატანიასი 2:0
ოლიმპიაკოსი-ასტერასი 2:0
პაოკ-აპოლონი 0:0
ატრომიტოსი-ოფი 3:0
პანთრაკიკოსი-იანინა 2:0
ქსანთი-ვერია 3:0
კალონი-პანათინაიკოსი 0:4
პანაიტოლიკოსი-პანიონიოსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 14 | 13 | 1 | 0 | 43-4 | 40 |
| 2. პაოკ | 14 | 10 | 2 | 2 | 25-12 | 32 |
| 3. ატრომიტოსი | 14 | 7 | 4 | 3 | 22-11 | 25 |
| 4. პანათინაიკოსი | 14 | 7 | 3 | 4 | 21-13 | 24 |
| 5. ასტერასი | 14 | 5 | 6 | 3 | 21-16 | 21 |
| 6. ქსანთი | 14 | 6 | 3 | 5 | 20-19 | 21 |
| 7. ერგოტელისი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-17 | 18 |
| 8. კალონი | 14 | 6 | 0 | 8 | 15-24 | 18 |
| 9. პანთრაკიკოსი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-21 | 18 |
| 10. პანაიტოლიკოსი | 13 | 4 | 5 | 4 | 14-13 | 17 |
| 11. ლევადია | 14 | 5 | 2 | 7 | 17-25 | 17 |
| 12. იანინა | 14 | 5 | 2 | 7 | 14-19 | 17 |
| 13. პანიონიოსი | 13 | 4 | 4 | 5 | 14-17 | 16 |
| 14. ოფი | 14 | 3 | 6 | 5 | 12-18 | 15 |
| 15. პლატანიასი | 14 | 2 | 6 | 6 | 12-19 | 12 |
| 16. აპოლონი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-22 | 10 |
| 17. არისი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-24 | 10 |
| 18. ვერია | 14 | 2 | 4 | 8 | 12-26 | 10 |

## ჩრ. ირლანდია
XIX ტური
ბალინამალარდი-არდსი 1:0
კლიფტონვილი-გლენავონი 2:1
კოლრეინი-ლინფილდი 2:3
დუნგანონი-კრუზეიდერსი 0:1
გლენტორანი-უორენპოინტი 3:0
პორტადაუნი-ბალიმენა 1:0

## შვეიცარია
XVII ტური
ბაზელი-გრასჰოპერსი 1:1
ციურიხი-ლოზანა 4:0
ლუცერნი-არაუ 1:0
სტ. გალენი-სიონი 2:0
თუნი-იანგ ბოიზი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 17 | 8 | 8 | 1 | 31-16 | 32 |
| 2. ლუცერნი | 17 | 9 | 4 | 4 | 23-21 | 31 |
| 3. გრასჰოპერსი | 17 | 8 | 5 | 4 | 25-16 | 29 |
| 4. სტ. გალენი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-16 | 29 |
| 5. იანგ ბოიზი | 17 | 8 | 4 | 5 | 29-18 | 28 |
| 6. თუნი | 17 | 6 | 6 | 5 | 24-23 | 24 |
| 7. ციურიხი | 17 | 6 | 3 | 8 | 24-27 | 21 |
| 8. სიონი | 16 | 4 | 5 | 7 | 14-19 | 17 |
| 9. არაუ | 16 | 4 | 3 | 9 | 25-34 | 15 |
| 10. ლოზანა | 17 | 1 | 1 | 15 | 11-38 | 4 |

### ჩელენჯლიგა
XVII ტური
კიასო-ვინტერტური 1:0; ვოლენი-ვადუცი 1:1; ბილი-ლუგანო 1:3; შაფჰაუზენი-ვილი 2:0; ლოკარნო-სერვეტი დღეს.

## თურქეთი
### II დივიზიონი
XVI ტური
ანკარასპორი-ადანასპორი 3:1
სამსუნი-ორდუ 0:1
1461 ტრაბზონი-მანისა 1:3
ბალიკესირი-ქარსიაკა 4:1
დენიზლი-ფეთხიე 1:5
ადანა-თავშანლი 3:0
ბოლუ-ბუიუქშეჰირი 0:4
ბუკა-მერსინი დღეს
გაზიანთეფი ბბ-ქაჰრამანმარა დღეს

## ხორვატია
XIX ტური
სპლიტი-სლავენი 0:0
დრაგოვოლიაცი-ლოკომოტივა 1:3
დინამო-ოსიეკი 4:1
რიეკა-ისტრა 3:3
ზადარი-ჰაიდუკი დღეს

## ბელარუსი
### პლეი ოფი. II მატჩი
გოროდეია-დნეპრი 0:0 (1:3)

## ბულგარეთი
XXI ტური
სლავია-ლიტექსი 1:2
ჩერნო მორე-ნეფტოხიმიკი 2:1
ლუდოგორეცი-ლევსკი 0:1
ჩერნომორეცი-ლიუბიმეცი 5:0
ბეროე-ლოკომოტივი (ს) 0:1
ლოკომოტივი (პ)-ბოტევი 0:0
ცსკა-პირინი 2:0

## უნგრეთი
XVII ტური
უიპესტი-პუშკაში 3:3
კეჩკემეტი-კაპოშვარი 2:1
პეჩი-პაკში 1:1
მტკ-დიოშდიორი 2:2
ლომბარდი-ჰონვედი 1:0
ვიდეოტონი-ფერენცვაროში 2:3
დიორი-ჰალადაში 2:1

## ისრაელი
XII ტური
ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (ბ-შ) 1:3
ჰაპოელი (თ-ა)-ირონი (ქ-შ) 2:1
ჰაპოელი (რ)-ბნეი სახნინი 0:1
ირონი (რ-ა)-მაკაბი (ფ-ა) 2:0
ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) 0:2
ბეითარი-მაკაბი (თ-ა) 1:2
ჰაპოელი (თ-ა)-აშდოდი დღეს

## მაკედონია
XIX ტური
გორნო-მეტალურგი 0:0
ტურნოვო-რაბოტნიჩკი 3:0
ვარდარი-შკენდია 0:0
მაკედონია-გოსტივარი 4:0
პელისტერი-ნაპრედოკი 4:0
რენოვა-ბრეგალნიცა 3:1

## მოლდოვა
XVIII ტური
ტირასპოლი-ვერისი 0:0
დინამო-ცსკა 2:1
აკადემია-დაჩია 1:2
მილსამი-შერიფი 0:2
სპერანცა-ოლიმპია 0:2
ზიმბრუ-კოსტულენი 0:1

## ჩერნოგორია
XVII ტური
ბუდუჩნოსტი-გრბალი 0:0
სელიკი-მოგრენი 4:2
ლოვჩენი-მორნარი 1:2
მლადოსტი-დეჩიჩი 3:0
რუდარი-სუტიესკა 0:1
ზეტა-პეტროვაცი 3:2

## პოლონეთი
XX ტური
ვიძევი-შლიონსკი 0:0
პოგონი-იაგელონია 1:1
რუხი-გურნიკი 2:1
პოდბესკიძე-ზავიშა 0:0
ლეხია-ლეგია 2:0
კრაკოვია-ზაგლებე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 20 | 13 | 1 | 6 | 40-21 | 40 |
| 2. გურნიკი | 20 | 11 | 4 | 5 | 36-27 | 37 |
| 3. ვისლა | 20 | 9 | 7 | 4 | 28-18 | 34 |
| 4. ლეხი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-20 | 33 |
| 5. პოგონი | 20 | 7 | 9 | 4 | 29-27 | 30 |
| 6. რუხი | 20 | 7 | 8 | 5 | 25-28 | 29 |
| 7. ზავიშა | 20 | 7 | 7 | 6 | 32-21 | 28 |
| 8. კრაკოვია | 19 | 8 | 3 | 8 | 28-30 | 27 |
| 9. იაგელონია | 20 | 7 | 5 | 8 | 33-28 | 26 |
| 10. ლეხია | 20 | 6 | 8 | 6 | 25-28 | 26 |
| 11. პიასტი | 20 | 7 | 5 | 8 | 21-33 | 26 |
| 12. შლიონსკი | 20 | 5 | 8 | 7 | 26-27 | 23 |
| 13. კორონა | 20 | 6 | 5 | 9 | 27-32 | 23 |
| 14. ზაგლებე | 19 | 4 | 5 | 10 | 16-25 | 17 |
| 15. პოდბესკიძე | 20 | 3 | 8 | 9 | 16-29 | 17 |
| 16. ვიძევი | 20 | 4 | 3 | 13 | 19-39 | 15 |

## რუმინეთი
XVII ტური
პეტროლული-კორონა 3:0
დინამო-ბოტოშანი 1:0
პანდური-უნივერსიტატეა 3:0
ჩახლაული-ვიიტორული 0:0
ოცელული-სტიაუა 1:1
კლუჟი-სეჯეაკა დღეს
ასტრა-ვასლუი დღეს

## სერბეთი
XV ტური
ჩუკარიჩკი-პარტიზანი 0:1
დონი სრემი-ოფკ 1:1
სპარტაკი-რადი 0:0
ჰაიდუკ.-სლობოდა 0:2
ნაპრედაკი-იავორი 0:0
ნოვი პაზარი-რადნიჩკი 1:0
ცრ. ზვეზდა-ვოივოდინა 2:1
იაგოდინა-რადნიჩკი (ნ) 1:0

## სლოვენია
XX ტური
კრკა-გორიცა 0:1
დომჟალე-ტრიგლავი 4:1
რუდარი-მარიბორი 0:1
კოპერი-ოლიმპია 0:1

## რუსეთი
XIX ტური
ვოლგა-კრილია 1:2
ანჟი-ყუბანი 0:0
ლოკომოტივი-რუბინი 0:0
როსტოვი-სპარტაკი 0:1
დინამო-ამქარი 2:0
ტერეკი-ტომი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 19 | 12 | 4 | 3 | 37-16 | 40 |
| 2. ზენიტი | 19 | 12 | 4 | 3 | 40-20 | 40 |
| 3. სპარტაკი | 19 | 12 | 3 | 4 | 37-20 | 39 |
| 4. დინამო | 19 | 10 | 5 | 4 | 32-21 | 35 |
| 5. ცსკა | 19 | 10 | 4 | 5 | 24-19 | 34 |
| 6. კრასნოდარი | 19 | 10 | 3 | 6 | 30-24 | 33 |
| 7. ამქარი | 19 | 8 | 6 | 5 | 22-20 | 30 |
| 8. ყუბანი | 19 | 6 | 6 | 7 | 25-26 | 24 |
| 8. როსტოვი | 19 | 6 | 6 | 7 | 23-24 | 24 |
| 10. რუბინი | 19 | 5 | 9 | 5 | 21-14 | 24 |
| 11. კრილია | 19 | 5 | 9 | 5 | 20-23 | 24 |
| 12. ვოლგა | 19 | 5 | 3 | 11 | 17-37 | 18 |
| 13. ტომი | 19 | 4 | 3 | 12 | 13-28 | 15 |
| 14. ტერეკი | 19 | 2 | 7 | 10 | 13-23 | 13 |
| 15. ურალი | 19 | 2 | 6 | 11 | 16-37 | 12 |
| 16. ანჟი | 19 | 0 | 8 | 11 | 12-30 | 8 |

## არგენტინა
XIX ტური
ბელგრანო-ოლ ბოისი 1:0
რასინგი-გოდოი 2:0
არგ. ხუნიორსი-როსარიო 1:2
ატ. რაფაელა-არსენალი 1:1
ესტუდიანტესი-ტიგრე 0:2
ბოკა-ხიმნასია გვ. დასრულდა
კილმესი-რივერი გვ. დასრულდა
ოლიმპო-კოლონი გვ. დასრულდა

## ბრაზილია
XXXVIII ტური
ფლამენგო-კრუზეირო 1:1
ნაუტიკო-კორინთიანსი 1:0
ატ. მინეირო-ვიტორია 2:2
ატ. პარანაენსე-ვასკო და გამა 5:1
ბაია-ფლუმინენსე 1:2
ბოტაფოგო-კრისიუმა 3:0
გოიაში-სანტოსი 0:3
ინტერნასიონალი-პონტე პრეტა 0:0
პორტუგეზა-გრემიო 0:0
სან პაულუ-კორიტიბა 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 38 | 23 | 7 | 8 | 77-37 | 76 |
| 2. გრემიო | 38 | 18 | 11 | 9 | 42-35 | 65 |
| 3. ატ. პარანაენ | 38 | 18 | 10 | 10 | 65-49 | 64 |
| 4. ბოტაფოგო | 38 | 17 | 10 | 11 | 55-41 | 61 |
| 5. ვიტორია | 38 | 16 | 11 | 11 | 59-53 | 59 |
| 6. გოიაში | 38 | 16 | 11 | 11 | 48-44 | 59 |
| 7. სანტოსი | 38 | 15 | 12 | 11 | 51-38 | 57 |
| 8. ატ. მინეირო | 38 | 15 | 12 | 11 | 49-38 | 57 |
| 9. სან პაულუ | 38 | 14 | 8 | 16 | 39-40 | 50 |
| 10. კორინთიანსი | 38 | 11 | 17 | 10 | 27-22 | 50 |
| 11. ფლამენგო | 38 | 12 | 13 | 13 | 43-46 | 49 |
| 12. პორტუგეზა | 38 | 12 | 12 | 14 | 50-46 | 48 |
| 13. კორიტიბა | 38 | 12 | 12 | 14 | 42-45 | 48 |
| 14. ბაია | 38 | 12 | 12 | 14 | 37-45 | 48 |
| 15. ინტერი | 38 | 11 | 15 | 12 | 51-52 | 48 |
| 16. კრისიუმა | 38 | 13 | 7 | 18 | 49-63 | 46 |
| 17. ფლუმინენსე | 38 | 12 | 10 | 16 | 43-47 | 46 |
| 18. ვასკო და გამა | 38 | 11 | 11 | 16 | 50-61 | 44 |
| 19. პონტე პრეტა | 38 | 9 | 10 | 19 | 37-55 | 37 |
| 20. ნაუტიკო | 38 | 5 | 5 | 28 | 22-79 | 20 |

## ჩილე
XVII ტური
ევერტონი-უაჩიპატო 2:3
რეინჯერსი-ო'ჰიგინსი 3:4
ლა კალერა-უნ. კატოლიკა 0:2
ს. უონდერერსი-ანტოფაგასტა 1:1
კობრელოა-უნ. დე ჩილე გვ. დასრულდა
კოლო კოლო-ნუბლენსე გვ. დასრულდა
პალესტინო-აუდაქსი გვ. დასრულდა
ესპანიოლა-კობრესალი გვ. დასრულდა
კონსეპსიონი-დ. იკიკე გვ. დასრულდა

## კოლუმბია
### 1/2 ფინალი
V ტური
მილიონარიოსი-ონსე კალდასი 3:1
დეპ. პასტო-დეპ. კალი 3:2
ატ. ხუნიორი-იტაგუი გვ. დასრულდა
ნასიონალი-სანტა ფე გვ. დასრულდა

## ეკვადორი
XXII ტური
ინდეპენდიენტე-მანტა 1:1
დეპ. კუენკა-ელ ნასიონალი 0:0
დეპ. მაკარა-ბარსელონა 2:2
დეპ. კიტო-ლიგა დე ლოხა 2:0
ემელეკი-დეპ. კევედო 3:1
უნ. კატოლიკა-ლდუ კიტო 1:0

## პარაგვაი
XXII ტური
ხენერალ დიასი-დეპ. კაპიატა 1:0
ოლიმპია-ლუკენიო 1:1
რუბიო ნუ-დეპ. კაპიაბა 3:2
სერო პორტენიო-ნასიონალი 4:1
გუარანი-პრეზიდენტე 6:0
სოლ დე ამერიკა-ლიბერტადი 0:1

## ბოლივია
XX ტური
აურორა-ბლუმინგი 3:2
ნასიონალი-რეალ პოტოსი 0:6
სან ხოსე-ბოლივარი 0:3
სპორტ ბოისი-ორიენტე 4:0
სტრონგესტი-ხორხე ვილსტერმანი 3:1

## ურუგვაი
XIV ტური
პენიაროლი-ლივერპული 2:0
მონტევიდეო-დეფენსორი 2:1
რენტისტასი-სუდ ამერიკა 1:1
ფენიქსი-სერო 0:0
ელ ტანკე-დანუბიო 0:2
ხუვენტუდი-სერო ლარგო 1:3
მირამარი-ნასიონალი 1:4
რასინგი-რივერ პლეიტი 0:3

## აშშ
### პლეი ოფი
კანზას სიტი-სოლტ ლეიკი 1:1 პენ. 7:6

## გვატემალა
### პლეი ოფი
კომუნიკასიონესი-მარკენსე 4:0
მუნისიპალი-დეპ. ერედია 1:1

## კორეა
### პლეი ოფი
განგვონი-სანგიუ 1:0

## ინდოეთი
XII ტური
სპორტინგ გოა-დემპო 1:0
რანგდაჯიედი-ისტ ბენგალი 1:2
პუნე-მუმბაი 1:2

## აზერბაიჯანი
XVI ტური
ქაბალა-შიმურქი 2:1
აზალ-რავანი 2:1
ინტერი-ხაზარი 0:0
სუმგაიტი-ბაქუ 1:2
ყარაბაღი-ნეფთჩი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ყარაბაღი | 16 | 9 | 6 | 1 | 28-9 | 33 |
| 2. ქაბალა | 16 | 10 | 2 | 4 | 24-14 | 32 |
| 3. ნეფთჩი | 16 | 9 | 4 | 3 | 24-16 | 31 |
| 4. ინტერი | 16 | 7 | 3 | 6 | 25-19 | 24 |
| 5. ბაქუ | 16 | 7 | 3 | 6 | 27-18 | 24 |
| 6. აზალ | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 7. შიმურქი | 16 | 4 | 7 | 5 | 13-14 | 19 |
| 8. ხაზარი | 16 | 3 | 7 | 6 | 11-21 | 16 |
| 9. რავანი | 16 | 1 | 6 | 9 | 9-28 | 9 |
| 10. სუმგაიტი | 16 | 1 | 4 | 11 | 8-26 | 7 |

## ავსტრალია
IX ტური
ვ. სიდნეი-მელბურნ ვ. 1:1
სენტრალ კოუსტი-სიდნეი 1:0
მელბურნ ვ.-ნიუკასლი 1:2

## ს. აფრიკა
XIII ტური
პოლოკვანე-მპუმალანგა 2:1

## მაროკო
XII ტური
მოღრები-კენიტრა 0:0
ვიდადი (ფ)-საფი 1:0
ბერკანი-ჰასანია 1:0
შაბაბი-ვიდადი (კ) 2:0
ფარ რაბატი-დიფაა 1:0
ხურიბგა-ფუს რაბატი 1:1

## ესპანეთი
### II დივიზიონი
XVII ტური
ბარსელონა B-საბადელი 2:0
ერკულესი-სპორტინგი 0:1
დეპორტივო-ალავესი 2:1
მალიორკა-ნუმანსია 0:0
მირანდესი-მურსია 1:1
სარაგოსა-კორდობა 2:1
პონფერადინა-ეიბარი 2:1

## ესპანეთის თასი
### 1/16 ფინალი. I მატჩები
კარტახენა-ბარსელონა 1:4
ვალიადოლიდი-ვალეკანო 0:0
სანტ ანდრეუ-ატლეტიკო 0:4
ხირონა-ხეტაფე 1:1
სელტა-ბილბაო 1:0
ოლიმპიკი-რეალი 0:0
რეკრეატივო-ლევანტე 1:0
ალკორკონი-გრანადა 0:2
ხიმნასტიკი-ვალენსია 0:0
ლას პალმასი-ალმერია 1:3
რეალ ხაენ-ესპანიოლი 2:2
მალაგა-ოსასუნა 3:3

## ალბანეთი
XIV ტური
ტირანა-ელბასანი 1:1
კუკესი-სკენდერბეუ 1:1
ლაჩი-ლუშნია 3:1
ფლამურტარი-ბესა 2:0
ბილისი-პარტიზანი 1:0
ტეუტა-კასტრიოტი 1:0

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ჭიდაობა ერისიონისა და დალოცვის ფონზე

ამუქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში" საკმაოდ მშვიდ ვითარებაში და ორგანიზებულად ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. იყო გახსნის ცერემონიალიც თვით ლეგენდარული „ერისიონის" მონაწილეობით, რომელმაც რამდენიმე საცეკვაო ნომერი შეასრულა, რამაც ცერემონიალს პომპეზური იერი შესძინა, მანამ კი შეჯიბრება და მისი მონაწილენი საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა **მამა ტარიელმა** და მისმა მგალობელთა გუნდმა დალოცეს. შეპირებისამებრ, ტურნირს გერმანელი ექიმებიც ესწრებოდნენ, რომლებიც ნაკრებთან სამუშაოდ მოინვიეს, ერთი მათგანი კი მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი **ტომას ცანდერია**. გერმანელთა გარდა, ჩემპიონატს საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ ირანიდანაც – იქაური საჭიდაო ფედერაციის გენერალური მდივანი და ახალარჩეული ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი **ალირეზა რეზაეი**.

## ლიდერთა სამეული

ეროვნული ნაკრების იმ სამი ლიდერიდან, სტაბილურად რომ დამკვიდრდნენ ფავიანთ წონებში ფავორიტებად – **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60) და **დავით მარსაგიშვილი** (84), ფინალში ყველამ იოლად გაიმარჯვა. განსაკუთრებით – მარსაგიშვილმა. მან ზუსტად ისე მოუგო **ლევან გოგრიჭიანს**, როგორც ჭიდაობს [illegible]ლმე შედარებით სუსტებთან – მისვლისთანავე ჩაჰყავს ჩოქბჯენში და მერე მანამ ატრიალებს აქეთ-იქით, ვიდრე ქულებით წმინდა მოგებას არ გაინაღდებს, რითაც ზოგავს დროს, ენერგიას, ძალას და ახლაც ასე მოიქცა – 48 წამში მოიგო შეხვედრა. მას დიდი ჯაფა არც მანამდე დასდგომია, რადგან ყველა პაექრობაში ქულებით სუფთად იმარჯვა – პირველივე წრეში **რევაზ ივანიშვილს** (ამან საქართველოს თასიდან დაგვამახსოვრა თავი კარგი ჭიდაობით) 8:0, **მარადი ზოიძეს** – 7:0, **გოჩა ლომთათიძეს** კი ისევ 8:0 სძლია.

ახალგაზრდა **ბექა ბუჯიაშვილმა** სანაქებო ბრძოლა გაუმართა ევროპის ჩემპიონ ედიშერაშვილს, თუმცა კლასი მაინც კლასია და გამოცდილებამ აჯობა შემართებას –როცა შანსი მიეცა, სისწრაფისა და მოქნილობის გამო ედიშერაშვილმა უპრობლემოდ ალკვეთა მისი ფეხში შესვლა თუ სხვა სახის შეტევა და წარმატებული კონტრილეთით იქით აართვა ქულები. თუმცა ის მხოლოდ მეტოქის შეცდომებს არ დალოდებია და თავადაც უტევდა, რამაც წმინდა გამარჯვება მოუტანა. ედიშერაშვილმა მანამდეც წმინდად იმარჯვა **ნაირ ჰარუთინიანთან** და **ლაშა ტალახაძესთან**, რითაც თითი დაუქნია ახალგაზრდა კონკურენტებს, ემანდ, რიდი იქონიეთო, თუმცა ბუჯიაშვილის შემართება მაინც აღსანიშნავია.

ხინჩეგაშვილმაც წმინდად მოუგო საკმაოდ კარგად მოჭიდავე **ბექა ლომთაძეს** იმის მიუხედავად, რომ მანამ თვითონ ჩვეულებრივად დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. გადამწყვეტი აქაც გამოცდილება აღმოჩნდა, ქუთაისელმა კი


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (წინა პლანზე)

ჟინითა და შემართებით დაგვამახსოვრა თავი. პირველი ქულაც მან მოიპოვა, მერე კი 3:4-მდეც მოახერხა ანგარიშის შემცირება, თუმცა ამის შემდეგ ხინჩეგაშვილმა ჯერ ჩოქბჯენში ჩაიყვანა, მერე კი ფეხებიდან ჯვარზე წარმატებით ატრიალა წმინდა მოგებისთვის საჭირო ქულებამდე.

## დაძაბული ფინალები

ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული ფინალი 66-ში გაიმართა, სადაც **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** კი იმარჯვა, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, მოგება ქელეხსაშვილს დარჩენოდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოსთვის ნაჭიდავებმა ამ ბიჭმა კიდევ ერთხელ მოგვხიბლა შემტევი სტილით და რაც მთავარია, მებრძოლი ხასიათით. ძლიერებიდან მან **ზურაბ იაკობაშვილს** მოუგო (თუმცა საკამათო შეხვედრა იყო), ხაბალაშვილმა კი წმინდად დაამარცხა **მალხაზ ქურდიანი** და ახალი თაობის ორი გამორჩეული წარმომადგენელი – **შოთა ფარტენაძე** და **ომარ გურჯიძე**, თუმცა ისინი ჯერ ამ დონეზე საკონკურენციოდ პატარებიც არიან. ფინალში ქელეხსაშვილი იგებდა კიდეც, შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით, ქულა-ქულაში მიდიოდა და საბოლოოდ ხაბალაშვილმა 4:3 მოიგო. ორივე მეტოქე უკვე რამდენჯერმე ვნახეთ საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო ამ სურათს ახლანდელს თუ დავუმატებთ, ასეთი დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ (რაც, ცხადია, დოგმა არა) – ხაბალაშვილმა ევროპის მომავალი პირველობაც თუ ჩააგდო, საეჭვოა, ქელეხსაშვილმა მას კიდევ მისცეს შანსი. ვიმეორებთ – ამას მტკიცებითი ფორმით არ ვამბობთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გარდამავალი წონაა, სადაც ლიდერი ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა...

იგივე ითქმის 96-ზეც, თუმცა იქ **დავით ქერაშვილი** თანდათან უფრო იკვეთება. მან ახლაც ფინალში დამაჯერებლად აჯობა **ბექა ჭელიძეს** – 5:0. არადა, ფინალამდე უფრო ძნელი გზა ჭელიძემ გაიარა – **თედორე ებანოიძეს**, **ელიზბარ ოდიკაძეს** და გუსომვილს მოუგო. თან – სულ წმინდად. თუმცა ქერაშვილი წონის ღირსეული ჩემპიონია.

74-ში ტიტული შეინარჩუნა **იაკობ მაქარაშვილმა**, ვინც ფინალში **გიორგი მარსაგიშვილს** 2:5 ამოუქაჩა.

## ფინალი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს

ხმაურიანი ფინალი მხოლოდ მძიმე წონისა გამოდგა, სადაც განთესილი ფავორიტები – ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი** და ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **გენო პეტრიაშვილი** უპრობლემოდ გავიდნენ. ხანგრძლივი დაზვერვით დაწყებულ შეხვედრაში პეტრიაშვილი მეტოქის გაფრთხილების ხარჯზე მიღებული ქულით დაწინაურდა და მინიმალურ ანგარიშს მეორე პერიოდის მიწურულამდეც ინარჩუნებდა. საკამათო ეპიზოდიც მაშინ მოხდა, როცა პეტრიაშვილის მესამე მცდელობა, ხელით შესულიყო ფეხში, მოძმანაშვილმა დახურა და იქვე ჯვარიდან დატრიალებაც მოინდომა. გდება ბოლომდე არ მისულა, თუმცა როგორც მოგვიანებით ვიდეოგამეორებაზე გაირკვა, 2 ქულით შესაფასებლად საკმარისი ამპლიტუდა იყო, ოღონდაც ეპიზოდი ამით არ დასრულებულა, გენომ წამოდგომა მოახერხა და წრიდან გაყვანით იქით გადააგდო მეტოქე ილეთზე. კამათიც ამან გამოიწვია – მსაჯები 2 ქულას აძლევდნენ მოძმანაშვილს ჩოქბჯენის ზემოაღნიშნული ეპიზოდისთვის, პეტრიაშვილს კი მხოლოდ ერთ ქულას - მეტოქის წრიდან გაყვანისთვის, იმ გდებას კი არ უფასებდნენ იმ მოტივით, რომ როცა რომელიმე ფეხს გადგამს ხაზის გარეთ, იქ ეპიზოდი წყდება და მერე რა ხდება, ამას მნიშვნელობა აღარ ენიჭებაო. ცხადია, ამას პეტრიაშვილი და მისი პირადი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** არ დაეთანხმნენ, მაგრამ მსაჯებმა ეს ეპიზოდი 2:1 შეაფასეს მოძმანაშვილის სასარგებლოდ. ამით ანგარიში 2:2 გახდა, მოგება კი მოძმანაშვილს მიენიჭა იმ 2-ქულიანის გამო. პეტრიაშვილი იმდენად გაცხარდა, რომ მსაჯებს ჯერ ტაში დაუკრა პროტესტის ნიშნად, მერე კი ტრიბუნებთან ქომაგებით გარშემორტყმული ტიროდა კიდეც. თუმცა თავად მოჭიდავეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვივნენ და მათ შორის ოდნავი ინციდენტიც არ მომხდარა.

თუმცა პროტესტი ამით არ დასრულებულა და, შესაძლოა, ეს ფინალი უკვე კაბინეტებში გაგრძელდეს. სხირელი იმველიებს ახალ წესებს, რომელთა თანახმადაც, ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გაფრთხილებას და არა ტექნიკურ ქულას. ამ წესით მოგება პეტრიაშვილს ეკუთვნის. თუმცა ექსტრა-კლასის მსაჯმა **ედიშერ მაჩაიძემ** გვითხრა, რომ წესების პროექტის ის ვარიანტი, რომელიც სხირელმა წარმოადგინა, ზაფხულშია მიღებული, მას მერე კი შეიცვალა და ახლა უპირატესობა სწორედ ტექნიკურ ქულას ენიჭება. მისი თქმით, ამ წესებით ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატიც, თუმცა ფილას ჯერ საბოლოოდ არ დაუმტკიცებია.

ასეა თუ ისე, ჩემპიონი მოძმანაშვილია, სხირელი კი აპირებს, განცხადებით მიმართოს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ამ ორთაბრძოლის განხილვისა და საკონტროლო შეხვედრის თხოვნით. ის ქელეხსაშვილისა და იაკობაშვილის ზემოაღნიშნულ შეხვედრასაც იგონებს, სადაც, მისი აზრით, ანალოგიურ ვითარებაში მოგება არა იაკობაშვილს, არამედ ქელეხსაშვილს მისცეს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, დღეს კი „არენაში" სტარტს აიღებს ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი. ასპარეზობები კვლავაც 11 საათზე დაიწყება, ხალიჩაზე კი ოთხი წონის – 55, 66, 84 და 120-ის ფალავნებს ვიხილავთ.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. გორი - 70 ქულა, 2. თბილისი - 59, 3. ქუთაისი - 39.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. გიორგი ედიშერაშვილი (აჭარა); 2. ბექა ბუჯიაშვილი (გორი); 3. ოთარ გოგავა (ხონი), ლაშა ტალახაძე (ხაშური).

**60 კგ.** 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი); 2. ბექა ლომთაძე; 3. მურთაზ კვესაძე (ორივე - ქუთაისი), აკაკი მოწონელიძე (ხაშური).

**66 კგ.** 1. კონსტანტინე ხაბალაშვილი (გორი); 2. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური); 3. ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი), მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი).

**74 კგ.** 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი); 2. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი); 3. ალექსანდრე ჯაჭვაძე (გარდაბანი), ჯუმბერ ყველაშვილი (გორი).

**84 კგ.** 1. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი); 2. ლევან გოგრიჭიანი; 3. გოჩა ლომთათიძე (ორივე - თბილისი), ნოდარ ეგაძე (გორი).

**96 კგ.** 1. დავით ქერაშვილი (თბილისი); 2. ბექა ჭელიძე (აჭარა); 3. ზვიად მეტრეველი (ონი), ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი).

**120 კგ.** 1. დავით მოძმანაშვილი (გურჯაანი); 2. გენო პეტრიაშვილი (გორი); 3. ტარიელ ლაბაძე (რუსთავი), გიორგი მეშვილდიშვილი (ონი).

ფარიკაობა

# გაიხსენეს ვლადიმერ აფციაური

ამას წინათ ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ პარიზში დაარსების საუკუნოვანი იუბილე იზეიმა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა უნიკალური ილუსტრირებული წიგნი, რომელშიც ოქროს ასოებითაა შეტანილი ქართველი რაპირისტის - **ვლადიმერ აფციაურის** სახელი. გუნდურ ჩათვლაში 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 1988 წლის ვერცხლისა და სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1982, 1986, 1990), ევროპის თასის მფლობელი (1985), გუნდურ და პირად ჩათვლაში საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშებისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შარშან მაისში 50 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა. ოლიმპიური ჩემპიონის სახელის უკვდავსაყოფად ფარიკაობის ეროვნულმა ფედერაციამ თბილისის მერიის თანადგომით გასულ უქმეებზე ვლადიმერ აფციაურის პირველი მემორიალი (მთავარი მსაჯი **ლუდვიგ ლალანიძე**) ჩაატარა. რაპირაში თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და აჭარის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ოლიმპიური ჩემპიონის - ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში დაძაბული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში **არჩილ უგულავამ** (ბათუმი) **სანდრო სიხარულიძე** (თბილისი) დაამარცხა - 15:12, ხოლო თბილისელმა **ლუკა ლალანიძემ**, რომელიც ამას წინათ აშშ-ში იმყოფებოდა ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე, თანაქალაქელ **გიორგი გელაშვილს** 15:5 მოუგო. ტრადიციული მეტოქეების - ლალანიძისა და უგულავას დაპირისპირებაში თავიდან არჩილი დაწინაურდა - 7:4, მაგრამ ლუკამ შეძლო ძალების მობილიზება და 15:11 აჯობა კონკურენტს.


მარცხნიდან: გიორგი გელაშვილი, სანდრო სიხარულიძე, არჩილ უგულავა, ლუკა ლალანიძე, ირინე სხირტლაძე

გამარჯვებული და პრიზიორები მედლებითა და თასებით ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **არჩილ გოგელიამ**, ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ აფციაურის მეუღლე **ირინე სხირტლაძემ**, თბილისის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **პაპუნა პეტრიაშვილმა** და ახალგაზრდებში 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნიკოლოზ ანდრიაძემ** დააჯილდოვეს. ლუკა ლალანიძეს სპეციალური პრიზი ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **იური ოსიპოვმა** გადასცა.

- საქართველოს სახელოვანი მოფარიკავეები ჰყავდა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი სახელების უკვდავსაყოფად, - გვითხრა არჩილ გოგელიამ. - თბილისის მერიის თანადგომით, ვლადიმერ აფციაურის მემორიალით დავიწყეთ. ამას წინათ მე და ბატონი იური ოსიპოვი ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფიე) საუკუნოვან იუბილეზე ვიყავით, სადაც მსოფლიო და ევროპული ორგანიზაციების მესვეურებს, ვლადიმერ აფციაურის ნაცნობ-მეგობრებს ვესაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ნაადრევად დაღუპული ოლიმპიური ჩემპიონის მემორიალი მომავალი წლიდან საერთაშორისო გახდება და ფიე-ს კალენდარში მნიშვნელოვან ღონისძიებათა გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიოს ჩემპიონს ბატუტზე ხტომაში რუსუდან ხოფერიას მამის, ვეტერანი ფეხბურთელის გენო ხოფერიას გარდაცვალების გამო.

*პანაშვიდი: 9.XII; გამოსვენება 10.XII, 14 საათზე. მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის 20-ა, I კორპ. I სადარბ.*

ხელბურთი

# სამეული დასავლეთშიც გაირკვა

ფოთის, სამტრედიის, ზუგდიდის, ქუთაისის, წყალტუბოს და ბათუმის გუნდები მონაწილეობდნენ 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის დასავლეთის ლიგის ტურნირში, რომელსაც სენაკმა უმასპინძლა. ასპარეზობის ბოლო დღის ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ბათუმი-ზუგდიდი 15:29, სამტრედია-წყალტუბო 24:18, ბათუმი-ქუთაისი 25:34, წყალტუბო-ზუგდიდი 14:29, სამტრედია-ფოთი 20:25. ამდენად, დასავლეთის ჩემპიონი გახდა ფოთის გუნდი, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა. 14-14 ქულით მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, სამტრედიამ და ზუგდიდმა (ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობით) გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე მოდიან ქუთაისი - 8, წყალტუბო - 6 და ბათუმი - 0 ქულა. ფოთი, სამტრედია და ზუგდიდი საქართველოს პირველობის მეორე რაუნდში იასპარეზებენ.

10-14 დეკემბერს მეორე ტურის შეხვედრებს გამართავენ თბილისის ჯგუფის წარმომადგენლები: „ქარიშხალა" (9 ქულა), „პეგასი" (9), „მამული" (6), „იმედი" (4), „მევარდენი" (2) და ქარელი (0).

**ვაჟა დანელია**

თარიღები და მოვლენები

### 9-12 დეკემბერი

**09. 1932.** დაიბადა **გიორგი სხირტლაძე** - თ\ჭიდაობა

**09. 1957.** დაიბადა **ვიტალი დარასელია** - ფეხბურთი. ტრაგიკულად დაიღუპა 1982 წლის 13 დეკემბერს

**09. 1982.** დაიბადა **მაკა ჩახნაშვილი** -ჩოგბურთი

**09. 1987. თბილისის „დინამომ" უეფას თასზე განმეორებით 1\8 ფინალურ მატჩში, ბრემენის „ვერდერთან" შინ 1:1 ითამაშა, სტუმრად 1:2 და ტურნირს გამოეთიშა**

**09. 2006.** ევროპის წლის საუკეთესო მწვრთნელად **შოთა ხაბარელი** დაასახელეს

**09. 2007. თბილისის „ამერმა" რუსთავის „ოლიმპი" 4:1 დაამარცხა და საქართველოს სუპერთასს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.**

**10. 1951.** დაიბადა **შოთა ხინჩაგაშვილი** - ფეხბურთი

**10. 1977.** დაიბადა **მიხეილ აშვეთია** - ფეხბურთი

**10. 1986.** დაიბადა **ჯარჯი ზვიადაური** (ილიას ილიადისი) - ძიუდო

**10. 1986.** დაიბადა **მათე ლვინიანიძე** - ფეხბურთი

**12. 1939.** დაიბადა **ნელი სალაძე** - მხატვ. ტანმოვარჯიშე, მწვრთნელი

**12. 1973 წ.** თბილისის „დინამომ" უეფას თასზე 1\8 ფინალის განმეორებით მატჩში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 1:5 წააგო (შინ 1:1)

**12. 1979 წ.** პარიზში **შოთა ხაბარელმა** ქართველებიდან პირველმა მოიპოვა ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა 2013-14

**NBA საოცარი** თამაშებით წლეულსაც გვანებივრებს: ზოგი ვარსკვლავი ბოლო წამზე ცენტრიდან ჩაგდებით ატრიალებს თამაშის ბედს, ზოგი გუნდი კი 20-ქულიან ჩამორჩენას ისე აბათილებს, თითქოს მზესუმზირას აკნატუნებდეს. საოცარი თამაშის ხილვის საშუალება ჩვენც გვქონდა - „შსს აკადემია" „სოხუმთან" მესამე პერიოდის ბოლოს 22 ქულის სხვაობით იგებდა, მაგრამ... მანამდე, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ქუთაისელებსაც ეგონათ, რომ თამაშის სადავეები ხელთ ეპყრათ...

7 დეკემბერი, თბილისი

**მაკაბი 59**

25:29, 10:21, 13:26, 11:18

**რუსთავი 94**

**მაკაბი:** ტეტელაშვილი (1ქ, 4პ), გულმაგარაშვილი (6ქ), მეგენეიშვილი (2ქ), მ. რევაზიშვილი (6ქ), სულაბერიძე (2ქ), პატარაია, ბეშქენაძე (2ქ, 6მ), ლ. რევაზიშვილი (19ქ, 7მ), ფერიაშვილი (21ქ, 2დ), ნანიტაშვილი.

**რუსთავი:** მაჭავარიანი (11ქ), გ. არაბული (2ქ), არნივიძე (9ქ), ხმელიძე (5ქ, 8მ, 7პ), ჩაჩანიძე (15ქ), აბაიშვილი (3ქ), ალხანაიძე (11ქ), ყველაშვილი (10ქ, 6მ), გუგავა (6ქ), გაგნიძე, დ. მაისურაძე (4ქ), ათუაშვილი (18ქ, 14მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, მ. ვართანოვი.

## პირველი გამარჯვება

**გადამწყვეტი.** „მაკაბის" პირველ პერიოდში კარგი თამაში ახასიათებს, თუმცა მეორე ათწუთეულიდან ამჯერადაც მისცა მეტოქეს დაწინაურების საშუალება, „რუსთავი" არც მესამე-მეოთხე პერიოდებში შეჩერებულა და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

**სტატისტიკა არ ტყუის.** რუსთაველები სეზონის დასაწყისში ფარქვეშ მოისუსტებდნენ, **სერგო ათუაშვილის** ქუვეითიდან ჩამოსვლის შემდეგ კი სამწამიან ზონაში სიტუაცია ნელ-ნელა გამოასწორეს, ხოლო „მაკაბისთან" სერიოზული უპირატესობაც მოიპოვეს - მოხსნებში 52:27 აჯობეს.

**გამორჩეული.** ათუაშვილმა ბურთი 14-ჯერ მოხსნა, რასაც 18 ქულა მიამატა. მატჩში ყველაზე მეტი **გიორგი ფერიაშვილმა** ჩააგდო - 21.

## ქუთაისელის ხელით ძლეული ქუთაისი

**გადამწყვეტი.** სტუმარმა ქუთათურებმა მესამე პერიოდის ბოლოს 8-ქულიანი ფორა მოიპოვეს, თუმცა სწორედ ამ დროს არმიელებს სულზე მოუსწრო **ბექა ნივნივაძის** ოთხმა ქულამ, შუალედში კი ორწუთიანმა შესვენებამ. ძალოვნებმა თამაში კვლავ გაათანაბრეს და ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა: სირენამდე 1:10 წუთით ადრე **ლევან ცეკვავას** ჩაგდებული ორქულიანით „ქუთაისი" 68:67-ს იგებდა. მას მერე გუნდებმა მხოლოდ ერთი ტყორცნა გამოიყენეს - **თემურ ბაბუნაშვილმა** (რომელიც ქუთაისელია და შარშანაც ამ გუნდის ღირსებას იცავდა) 24 წამით ადრე სამქულიანით „არმიას" 70:68 მოაგებინა.

**სტატისტიკა არ ტყუის.** „არმიამ" „ქუთაისზე" 11-ით მეტი ბურთი დაკარგა (25), სამაგიეროდ მოხსნებში ათით აჯობა (48:38). სხვა ყველა კომპონენტში თითქმის თანაბარი ბალანსი იყო და შეხვედრაც ამიტომ გამოვიდა თანაბარი. პერიმეტრიდან ტყორცნების სიზუსტით გამორჩეულმა „ქუთაისმა" მხოლოდ 5 სამქულიანი ჩააგდო, რაც მარცხის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ.

**გამორჩეული.** საინტერესოა, რომ ბაბუნაშვილმა შეხვედრა 8 ქულით დაასრულა, რომელთაგან 7 ბოლო პერიოდში ჩააგდო. 17, 15, 14 შესაბამისად **შარაბიძემ, ჯგერენაიამ** და ნივნივაძემ ჩააგდეს.

მატჩს ქუთაისელი ბომბარდირი ჰყავდა: **დავით ბარბაქაძემ** 24 ქულას მოუყარა თავი.

7 დეკემბერი, თბილისი

**არმია 70**

19:17, 16:18, 13:19, 22:14

**ქუთაისი 68**

**არმია:** ბაბუნაშვილი (8ქ), ბაბიაშვილი, ბოისა (3ქ, 5მ), კვიმსაძე (4ქ, 3პ), ჯგერენაია (15ქ, 8მ), ნივნივაძე (14ქ, 3პ), შარაბიძე (17ქ, 8მ), ტუჯანი (6ქ, 9მ, 4პ), კეიდია, ჩაჩიბაია (3ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ, 7პ, 3ჩ), გრძელიძე (2ქ), დიდია, ცეკვავა (13ქ, 3პ), ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (24ქ, 6მ, 2დ), ლომინაშვილი (4ქ, 5მ), გ. ბარბაქაძე (3ქ, 8მ), ა. დვალიშვილი (17ქ, 7მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.



არმია-ქუთაისი
გიორგი ჯიქიას ფოტო

# სოხუმის დაბრუნება

## ალმოფხვრილი 22

**გადამწყვეტი.** მესამე პერიოდში შსს-ელებმა, როგორც იტყვიან, თამაში იგრძნეს: ყველაფერი გამოსდიოდათ, სწრაფ იერიშებს ან ფარქვეშიდან იოლი ტყორცნით, ან ზუსტი სამქულიანით აგვირგვინებდნენ. მათ ამ მონაკვეთში 5 სამქულიანი ჩააგდეს, ხოლო 28-ე წუთზე **რეზო როგავას** ორქულიანმა მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირა - 66:44 „შსს აკადემიას" სასარგებლოდ.

საჭირო იყო მხოლოდ მიღწეულის შენარჩუნება, თუმცა სწორედ მესამე პერიოდის ბოლოს დაემთხვა აკადემიელთა ჩავარდნა „სოხუმის" ალმავლობას. **შვანგირაძის** სამქულიან ტყორცნას **ჯექსონმა** ასევე ზუსტი შორეული სროლა მიაყოლა და ამის შემდეგ დაიწყო სოხუმელთა სპურტი, რომელიც შთამბეჭდავი გამოდგა - 17:0.

**სტატისტიკა არ ტყუის.** ამ შემთხვევაში სტანდარტს გვერდს ავუვლით და სტატისტიკის ნაცვლად ერთ საყურადღებო დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას. „შსს-აკადემია" „არმიასთან" რომ დამარცხდა, მატჩის შემდეგ აკადემიკოსთა ან უკვე ექსთავკაცმა **დრაგან პეტრიჩევიჩმა** საინტერესო რამ თქვა: როგავა და ბოქოლოშვილი ძალიან კარგი კალათბურთელები არიან, მაგრამ ისინი აქამდე სუპერლიგის ძლიერ გუნდში ლიდერები არ ყოფილან. მათ ეს სეზონი სწორედ ამის გასაცნობიერებლად და ლიდერობის შესასწავლად სჭირდებათო. მწვრთნელმა მხოლოდ ორი გვარი დაასახელა, თორემ თითქმის მთელი გუნდი იგულისხმა.

„სოხუმთან" შეხვედრაში „შსს აკადემიას" ახალგაზრდებს არ ეყოთ გამოცდილება მოგებული თამაშის ბოლომდე მისაყვანად. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შემდეგ ჯერზე მსგავს სიტუაციაში შსს-ელები ასეთ უპირატესობას აღარ გაფლანგავენ. „სოხუმში" კი აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელსაც არათუ დიდი უპირატესობის შენარჩუნების, არამედ წაგებული შეხვედრის შემოტრიალების გამოცდილებაც აქვს - ჯოშუა ჯექსონმა მესამე პერიოდში უყურა, უყურა და როცა შეატყო სხვა გამოსავალი არ იყო, თამაში საკუთარ თავზე აიღო, სიზუსტითაც გამოირჩა, თანაგუნდელებიც აიყოლია და „სოხუმი" თამაშში დააბრუნა.

**გამორჩეული.** ჯექსონმა 29 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა (9-დან 6 ორქულიანი, 8-დან 4 სამიანი), ასევე ორმაგი დუბლი შეასრულა მისმა თანაგუნდელმა **ნიკა მეტრეველმა** - 22 ქულა, 10 მოხსნა, ხოლო შსს-ელმა პლეიმეიქერმა **რევაზ როგავამ** სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა - 23 ქულა, 7 პასი.

7 დეკემბერი, თბილისი

**შსს აკადემია 79**

18:19, 23:17, 29:20, 9:33

**სოხუმი 89**

**შსს აკადემია:** ჩიკვილაძე (21ქ, 5მ), ლაფანაშვილი, ბოქოლიშვილი (19ქ, 6მ, 4პ), ლონდარიძე (7ქ, 7მ, 3პ, 4დ), ლომოური (9ქ, 5მ), უგრეხელიძე, როგავა (23ქ, 6მ, 7პ), ტომარაძე, გელაზონია.

**სოხუმი:** მეტრეველი (2ქ, 10მ), ივანიჩი (6ქ, 6პ), შვანგირაძე (6ქ, 3პ, 3ჩ), გაბისონია, ბააკაშვილი, ქადარია (13ქ, 5მ), საიმონსი (13ქ, 8მ), ბექაური, ჯექსონი (29ქ, 10მ, 4პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

## დინამო უძლეველის სტატუსს ინარჩუნებს

**გადამწყვეტი.** წინა ტურში „დინამომ" „არმიას" დიდი სხვაობით სძლია და რა გასაკვირია, წარმატებული სვლა „ოლიმპთანაც" რომ არ შეენყვიტა. პირველივე ტაიმის შემდეგ დინამოელები 47:25-ს იგებდნენ.

**სტატისტიკა არ ტყუის.** „ოლიმპმა" მხოლოდ 4 საჯარიმო სტყორცნა... მოხსნებში „დინამომ" 60:35 იმარჯვა.

**გამორჩეული.** როგორც ჩანს **ქიენ კარტერი** ფორმას ილდგენს - 22 ქულა, 12 მოხსნა. ორმაგი დუბლი კიდევ ორმა დინამოელმა მიითვალა: **გამყრელიძემ** 14 ქულა, 10 პასი და **მილოშევიჩმა** 16 ქულა, 13 მოხსნა.

| | გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 7 | 7 | 0 | 625/449 | 14 |
| 2 | არმია | 7 | 6 | 1 | 560/458 | 13 |
| 3 | ბათუმი | 7 | 5 | 2 | 626/557 | 12 |
| 4 | ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 609/478 | 12 |
| 5 | სოხუმი | 7 | 4 | 3 | 565/491 | 11 |
| 6 | შსს აკადემია | 7 | 3 | 4 | 490/529 | 10 |
| 7 | ოლიმპი | 7 | 1 | 6 | 512/614 | 8 |
| 8 | რუსთავი | 7 | 1 | 6 | 460/583 | 8 |
| 9 | მაკაბი | 8 | 0 | 8 | 556/844 | 8 |

7 დეკემბერი, თბილისი

**ოლიმპი 60**

10:22, 15:25, 28:25, 7:32

**დინამო 104**

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (15ქ, 4პ, 7ჩ), ნადირაძე (2ქ), გ. ბაქრაძე (11ქ, 5მ), მიქელაძე, თავართქილაძე (3ქ), გოგოძე (8ქ, 4პ), ხანიაშვილი (15ქ, 5მ, 3ჩ), თენიეშვილი (4ქ, 6მ), ათანელიშვილი (2ქ), ფხაკაძე, ხიზანიშვილი, ლომიძე.

**დინამო:** გამყრელიძე (14ქ, 10პ), ს. ლეჟავა (4პ), კარტერი (22ქ, 12მ, 3პ, 3ჩ), ბ. ლეჟავა (16ქ, 7მ, 4პ), ლილუაშვილი (3ქ), მილოშევიჩი (16ქ, 13მ, 2დ), პეშიჩი (7ქ, 5მ), ჭოჭუა (14ქ, 6პ), ანთაძე (10ქ), ორმოცაძე (2ქ).

**მსაჯები:** ი. ბერიშვილი, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

● ლეგენდა თბილისში

## სერგეიუს იოვაიშას სამი სავსე დღე

ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ლიტველი **სერგეიუს იოვაიშა** თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის მოწვევით საქართველოს სამდღიანი ვიზიტით სტუმრობდა. მოკლე დროში მან ბევრი რამ მოასწრო:

შეხვდა ახალგაზრდა რუსთაველ კალათბურთელებს, ეწვია „მაქაბის" სკოლას, საკალათბურთო აკადემიაში კი მასტერკლასი ჩაატარა. გარდა ამისა, მან საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას მიაგო პატივი.

სერგეიუს იოვაიშა ლიტვის სეიმის წევრია და, ცხადია, სპორტის სამინისტროსაც ესტუმრა, სადაც მინისტრის მოადგილეს, თამაზ თევზაძეს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში მან ჟურნალისტებთანაც გულახდილად ისაუბრა საკუთარი კარიერის, ლიტვისა თუ საქართველოს ნაკრებების შესახებ. უფრო ვრცლად ლეგენდარული კალათბურთელის შესახებ ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.



● ლეგიონი

## სარაგოსას მეხუთე

ესპანეთის ჩემპიონატში მეხუთე მატჩი მოიგო „სარაგოსამ", რომლის რიგებსაც **ვიქტორ სანიკიძე** და **გიორგი შერმადინი** იცავენ. არაგონელებმა „ფუენლაბრადას" უმასპინძლეს და 77:68 დაამარცხეს.

ვიქტორმა 29 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა, ხოლო შერმადინმა ამდენივე წუთში - 8 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი.

■ ■ ■

ვითიბი ლიგაზე ყუბანის „ლოკომოტივი" დაამარცხა **გიორგი ცინცაძის** „დონეცკმა" - 86:76.

ქართველმა გამთამაშებელმა 21 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა გაიფორმა.

■ ■ ■

NBA-ში **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინი" და **ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი" დაუპირისპირდნენ. გაიმარჯვეს ბრუკლინელებმა - 90:83.

ქართველებს არ უთამაშიათ. შენგელია მწვრთნელმა არ შეიყვანა განაცხადში, ხოლო ფაჩულიას ფეხის ტრავმა აქვს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

# არმიამ აკადემიური გამოცდა ჩააბარა

| აკადემია | 13 |
|---|---|
| არმია | 31 |

**აკადემია** (15-9) მაკაროვი, კალანდარიშვილი (მათიაშვილი 61), სიჭინავა, ილურიძე, ჭუაძე, (ნასიძე 56), ქოპილაშვილი, ჯ.ლამბაშიძე (ჩაბრაძე 74); (1-8) ფეიქრიშვილი (მოსეშვილი 61) წვერავა, გ.ლამბაშიძე, მაღლაკელიძე, ბერიკაშვილი (გოგლიძე 67), შუბითიძე (ოზბეთელაშვილი 74), ნიბლაძე, გოგოლაძე

**2ლ:** ჯ.ლამბაშიძე, გ.ლამბაშიძე. ს: მათიაშვილი

**სინბინი:** ნიბლაძე

**არმია** (15-9) შკინინი, ტუჩაშვილი, გაბრიაშვილი, ჯიმშელაძე (ბაირამაშვილი 53), ნუცუბიძე, აფციაური, ლვინჯილია (ჯინაშვილი 48); (1-8) ზაქაშვილი, მამუკაშვილი, გურგენაძე (ქორიძე 51), სურგულაძე (უჩავა 53), ცხადაძე, ბინაძე, დარასელია (თხილაიშვილი 49, ხარებავა 62), მაისურაძე (კალმახელიძე 49)

**5ლ:** ტუჩაშვილი (3), აფციაური, კალმახელიძე 3გ: ნუცუბიძე.

**მსაჯი:** თორნიკე გეირუბიშვილი

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის მეორე წრემ გასულ უქმეებზე აილო სტარტი და 2013 წლის ბოლომდე კიდევ ორი ტური გაიმართება. მშვენიერ ფორმაში ხვდება რეგულარული გათამაშების მეორე ნაწილს **ნიკო ჭავჭავაძის** განწრთნილი „არმია". გასულ ტურში მოქმედი ჩემპიონის „ლელოს" დამარცხების შემდეგ, არმიულმა კლუბმა ამჯერად ძალზედ დამაჯერებლად 31:13 მოუგო თანაქალაქელ „აკადემიას" და მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები საპლეიოფო ექვსეულში.

სხვადასხვა სახის ტრავმების და სამწვრთნელო შტაბის მიერ განხორციელებული როტაციის გამო „არმია" აკადემიელებს გადახალისებული შემადგენლობით დაუპირისპირდა. განაცხადში არ იყვნენ გუნდის ლიდერები: **გიორგი ელიზბარაშვილი, ბექა მეკოკიშვილი, ლაშა თავართქილაძე, დავით ჩიტიძე** და **ირაკლი ჩხიკვაძე**, თუმცა მიუხედავად ამისა, არმიელებმა მაინც იოლად გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას.

მატჩი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო და პირველსავე წუთებზე გამოიკვეთა, რომ სტუმრის სტატუსით მოასპარეზე „არმია" პრემიალური ქულით მოგებაზე აკეთებდა აქცენტს. მოპოვებულ საჯარიმოებს კარში არ ურტყამდა და ჯიუტად ცდილობდა ლელოს გატანას. თუმცა მე-7 წუთზე ლელო საკუთარ ძელებს შუა მიილო. შერკინებიდან მოულოდნელად გამოვარდნილი ბურთი დროულად აიტაცა „აკადემიის" ცხრა ნომერმა **ჯიმი ლამბაშიძემ**, 30 მეტრი დაუბრკოლებლად ირბინა და ნახტომში დაამიწა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში. მარბიელმა **საბა შუბითიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან გარდასახვა ზუსტად ვერ დაარტყა - 5:0.

არმიელებს, ცხადია, არ აწყობდათ მოვლენათა ასეთი განვითარება და გაცილებით უფრო აგრესიულად შეუტიეს მეტოქეს, რამაც შედეგი მალევე მოიტანა. მე-14 წუთზე „არმიას" მორკინლებმა ზედიზედ ორჯერ გაჭრეს მეტოქის დაცვის ხაზი, მგეზავმა **გიორგი აფციაურმა** შექმნილი რაქიდან სწრაფად გაათამაშა ბურთი გრძელ ფრთაზე, რასაც გარემარბ **ალექსანდრე ტუჩაშვილის** ლელო მოჰყვა. რთული პოზიციიდან **რატი ნუცუბიძემ** გარდასახა - 7:5.

22-ე წუთზე მსაჯთან გაუთავებელი კამათის გამო ყვითელი ბარათით დაისაჯა აკადემიელთა მარბიელი **დავით ნიბლაძე**, ისეთი მაღალი კლასის მეტოქემ კი, როგორიც „არმიაა", მეტოქეს ეს შეცდომა არ აპატია და მყისიერად დასაჯა. არმიელმა მორკინალებმა მშვენიერი მოლი ააგორეს და 25 მეტრი იარეს, რამაც მეტოქის დაცვის ხაზის არევა გამოიწვია. აფციაურმა ამჯერად პასის გაკეთებას საკუთარ თავზე თამაშის აღება ამჯობინა. ინდივიდუალური ოსტატობით იოლად აუარა გვერდი ორ მოწინააღმდეგეს და მორიგი ლელო გაუტანა მასპინძლებს, რომელიც ნუცუბიძემ ისევ იოლად გარდასახა - 14:5.

ტაიმის მიწურულს „არმიამ" სტატიკურ მდგომარეობიდან ისევ წამოშალა მეტოქის შერკინება, ბურთი აართვა და სწრაფი კონტრშეტევაც წამოიწყო, რომელიც ტუჩაშვილის მიერ კიდესთან გატანილი ლელოთი დასრულდა - 19:5.

მატჩის მეორე ნახევრის სტარტზე „აკადემია" გამოფხიზლდა. **პაატა ნარიმანაშვილის** განხორციელებულმა შეცვლებმა თავისი გავლენა იქონია მატჩზე და მასპინძლებმა თამაში დროულად დაალაგეს. მათ მეტოქის ჩათვლის მოდნიდან ხუთ მეტრში მოპოვებული საჯარიმო ორიგინალურად გაათამაშეს, რასაც „არმიამ" ალღო ვერ აუღო და **გიორგი ლამბაშიძემ** მეორე ლელო გაუტანა მეტოქეს, ხელსაყრელი პოზიციიდან ამჯერად **სოსო მათიაშვილმა** ვერ გაიტანა გარდასახვა - 10:19.

შეხვედრაში ინტრიგა დიდი დოზით დაბრუნდა და თითქოს სიტუაცია კიდევ უფრო უნდა დაძაბულიყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში საკუთარ თავზე აილო თამაში „არმიას" ფულბეკმა **გიორგი შკინინმა**, რომელმაც თავისი არაორდინალური გადაწყვეტილებებით და შეტევაში მოულოდნელი ჩართვებით ჯერ შეცვლაზე შესულ **გიორგი კალმახელიძეს** გაატანინა ლელო, ხოლო მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე კი, გადამწყვეტ მომენტში დროულად უპასა ტუჩაშვილს, რომელმაც თავის მხრივ სამი გატანილი ლელოთი ჰეთ თრიკი შეასრულა. „აკადემიამ" მეტოქეს მხოლოდ მათიაშვილის მიერ გატანილი საჯარიმო დარტყმით უპასუხა და მატჩიც ფავორიტების ლოგიკური გამარჯვებით დასრულდა - 31:13.



ჰეთ თრიკის ავტორი ალექსანდრე ტუჩაშვილი

„არმიამ" მეტოქეზე სამით მეტი ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულა დაიმსახურა და სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურამდე აღზევდა, ხოლო „აკადემია" 10 ტურში მოპოვებული 7 ქულით ცხრილის ფსკერზე ყოფნას განაგრძობს.

**გიორგი ბარბაქაძე**

# ჯიქები ავტორიტეტებს არ ცნობენ

| ლოკომოტივი | 17 |
|---|---|
| ჯიქები | 25 |

**ლოკომოტივი** (15-9) კვინიხიძე, გ. ბინაძე, ნიკლაური, კავთიძე, ჩიტიძე, გოდერძი ჭინჭარაული, ზაბახიძე. (1-8) ელოშვილი (ბალიაშვილი 63), გენებაშვილი (გასვიანი 61), ზარიძე, გეგია, ხოლუაშვილი, ახვლედიანი, ბერიშვილი, თხელიძე.

**2ლ:** თხელიძე, გ. ბინაძე. 2გ,ს: ნიკლაური.

**ჯიქები** (15-9) კუკნაძე, ნ. ბინაძე, ჯინჯიხაძე, კუპრეიშვილი, კალანდაძე, გიორგაძე, გიორგი ჭინჭარაული. (1-8) ჯინჭარაძე (ბატიაშვილი 41)ს, მამრიკიშვილი (ოქრომელიძე 19), ოქრიაშვილი (გაგნიძე 63), გოგოლიძე (ტრაპაიძე 73), მჭედლიშვილი, შენგელია, ტუჩაშვილი, კორკოტაძე.

**3ლ:** მამრიკიშვილი, ნ. ბინაძე, კალანდაძე. 2გ,2ს: გიორგაძე.

**მსაჯი:** დავით ჩიხლაძე

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე მოულოდნელი შედეგით გაიხსნა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა", რომელიც მიმდინარე გათამაშებაში მეორე ადგილზე იმყოფებოდა, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" თბილისის „ჯიქებთან" 17:25 წააგო.

„ჯიქები" საპლეიოფო ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვის და, ცხადია, შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტთან გამარჯვება მის სატურნირო მდგომარეობაზე დადებითად აისახება. თანაც, ამ მოგებით **გიორგი ამირხანაშვილის** გუნდმა სხვებსაც ერთგვარი მესიჯი გაუგზავნა. „ჯიქები" ხელწამოსაკრავი არასდროს ყოფილა და ახლაც ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი, კარგად ორგანიზებული გუნდია, რომელსაც რეალურად შესწევს ძალა, რეგულარული გათამაშების დასრულების შემდეგ მედლებისთვის ბრძოლა განაგრძოს.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რკინიგზელებმა თამაშის დალაგება მხოლოდ ეპიზოდურად შეძლეს. ვერ ვიტყვით, რომ მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს, რადგან ამ გუნდების აქამდელი მატჩები მუდმივად დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა და გამარჯვებულის ვინაობა მატჩის ბოლო წუთებზე წყდებოდა. ასე მოხდა ამჯერადაც.

იქამდე კი, თამაში „ჯიქების" აქტიურობით დაიწყო და ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა. ცნობილია, რომ ამირხანაშვილის სამწყსოს ძლიერი მხარე შერკინება და რაკში სწრაფი, სუფთა თამაშია. ნელ-ნელა ამ კომპონენტებს უკანახაზელთა შესანიშნავი გარჯაც ემატება, თუმცა „ჯიქების" პირველი ლელო მთლიანად მორკინალთა დამსახურება იყო. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოგებული დერეფნის შემდეგ, მათ მოლი შეკრეს, მძლავრად მიაწვნენ და ლელოში შეაღწიეს. ბოლოს ბურთით ხელში შერკინების კვაჭი **ბექა მამრიკიშვილი** გახლდათ, რომელიც მოგვიანებით დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. გარდასახვა მგეზავმა **ნუგზარ გიორგაძემ** ზუსტად დაარტყა - 7:0.



ლევან თხელიძის ლელო

ცხადია, „ლოკომოტივი", რომლის რიგებშიც ვეტერანი **ბობა კვინიხიძე** მისთვის უჩვეულო ფულბეკის პოზიციაზე გამოჩნდა, მოვლენების ასეთ განვითარებას არაფრით შეურიგდებოდა. უცნაური ის იყო, რომ საჯარიმოს კარში არ არტყამდნენ და მხოლოდ სალელოვე იერიშის წამოწყებას ცდილობდნენ. პირველ ტაიმში ამან მხოლოდ ერთხელ გაამართლა. მე-14 წუთზე „ჯიქები" საკუთარი ლელოს მისადგომებთან დაჯარიმდნენ. „ლოკომოტივმა" შერკინება მოითხოვა, რომელშიც მეტოქეს აშკარად აჯობა და ლელო მესამეხაზელმა **ლევან თხელიძემ** მიითვალა. შუამარბად მოთამაშე **ბექა ნიკლაურმა** გარდასახვიდან ანგარიში გაათანაბრა - 7:7.

ოთხ წუთში „ჯიქებმა" საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს და მგეზავმა გიორგაძემ თავისიანები დააწინაურა - 10:7. მიუხედავად იმისა, რომ ტაიმის დასრულებამდე 18 წუთი რჩებოდა, არაფერი შეცვლილა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივი" უფრო აქტიური ჩანდა. 52-ე წუთზე რკინიგზელებმა ბრწყინვალე იერიში წამოიწყეს, მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან შეტევის მიმართულება რამდენჯერმე შეცვალეს. მერე „ჯიქების" დაცვის ხაზი გარემარბმა **გიორგი ბინაძემ** გაჭრა და ლელოში შეაღწია, ნიკლაურმა გარდასახა - 14:10.

„ჯიქებს" პასუხი დიდხანს არ დაუყოვნებია. ოთხ წუთში მათი მორიგი შეტევა ლელოთი დასრულდა. მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მიახლოებულმა ნუგზარ გიორგაძემ ბურთი ფეხით რკინიგზელთა ზურგს უკანა ჩათვლის მოდნისკენ გადაკიდა. ყველაზე ადრე ბურთთან თითქოს „ლოკომოტივის" ერთ-ერთი უკანახაზელი გაჩნდა, თუმცა მან მისი დამორჩილება ვერ შეძლო. „ჯიქების" გარემარბმა **ნიკოლოზ ბინაძემ** შანსი ხელიდან არ გაუშვა და მეტოქე დაალელოვა, გიორგაძემ გარდასახა - 17:14.

მომდევნო 20 წუთის განმავლობაში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს - 20:17. შუალედში კი „ლოკომოტივის" დამრტყმელმა ნიკლაურმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. მატჩის მიწურულს სათამაშო უპირატესობას თითქოს რკინიგზელები ფლობდნენ, თუმცა სალელოვე შეტევა „ჯიქებმა" თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე განახორციელა. ისინი მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან მორკინალების მოკლე დარტყმებით უტევდნენ. არბიტრმა რაკში თამაშისას „ლოკომოტივის" მხრიდან თამაშის წესის დარღვევა შენიშნა და „ჯიქებს" უპირატესობა ათამაშა. რაკიდან გამოსული ბურთი მათმა მგეზავმა მარჯვენა ფრთაზე ფეხით გადაკიდა, სადაც დროულად დახვდა გარემარბი **დიმიტრი კალანდაძე** და ლელოში შეაღწია. გიორგაძემ ვერ გარდასახა - 25:17.

„ლოკომოტივს" მატჩის გადასარჩენად გარდასახული ლელო და ერთი საჯარიმო სჭირდებოდა, მაგრამ „ჯიქებმაც" არ დაანება და საამისოდ დროც აღარ დარჩათ.

| ყოჩები-ლელო | 29:27 |
|---|---|

**ყოჩები:** 4ლ - გოგიშვილი, სოხაძე, ხარშილაძე (2). 3გ - სოხაძე (2), მახარაშვილი. ს - სოხაძე.

**სინბინი:** აფციაური

**გაძევება:** აფციაური

**ლელო:** 4ლ - ლომთაძე, კოლელიშვილი, ზაალიშვილი, ბუბუტეიშვილი. 2გ,ს - ყიასაშვილი.

**სინბინი:** სურგულაძე

**გაძევება:** სურგულაძე.

| ხარები-აია | 3:15 |
|---|---|

**ხარები:** ს - ხუციშვილი.

**აია:** 2ლ - აბრამიძე (2). გ,ს - სინაურიძე.

**სინბინი:** დანგაძე.

| ბათუმი-არმაზი | გადაიდო |
|---|---|

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 10 | 8 | 0 | 2 | +86 | 36 |
| 2. ლელო | 10 | 7 | 0 | 3 | +109 | 34 |
| 3. ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | +49 | 32 |
| 4. არმია | 10 | 6 | 1 | 3 | +82 | 31 |
| 5. ჯიქები | 10 | 5 | 2 | 3 | +64 | 28 |
| 6. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | -2 | 26 |
| 7. ყოჩები | 10 | 5 | 1 | 4 | +27 | 26 |
| 8. ხარები | 10 | 1 | 0 | 9 | -122 | 7 |
| 9. აკადემია | 10 | 1 | 0 | 9 | -145 | 7 |
| 10. ბათუმი | 9 | 1 | 0 | 8 | -148 | 6 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


პოლ ჯორჯი

# ალმოსავლეთის ღირსებას ინდიანა იცავს

წლევანდელ რეგულარულში საშინელ შედეგებს აჩვენებენ ალმოსავლეთი კონფერენციის გუნდები. მათგან მხოლოდ სამს აქვს 50 პროცენტზე მეტი მოგება. სამაგიეროდ, სწორედ ამ კონფერენციის წარმომადგენელია მთლიანად ლიგის ლიდერი. ლაპარაკია "ინდიანაზე", რომელმაც გაიმყარა თავისი პირველი ადგილი დასავლეთის საუკეთესო გუნდ - „სან ანტონიოსთან" შეხვედრაში. **ფრენკ ფოგელის** შეგირდებმა პირველად 2007 წლის შემდეგ, "სპურსი" მისსავე მოედანზე დაამარცხეს (111:100) და შეწყვიტეს ტექსასში წაგებათა 12-მატჩიანი სერია.

მეორე მეოთხედის შუაში მასპინძლები 35:22-ს იგებდნენ, მაგრამ "ინდიანამ" გაანადგურა შარშანდელი ფინალისტი დიდი შესვენების შემდეგ, როცა მესამე 12-წუთეული 35:17 მოიგო. მეორე მეოთხედის ბოლო ნაწილის გათვალისწინებით, სტუმრებს ჰქონდათ შთამბეჭდავი მონაკვეთი - 67:37, რის შემდეგაც, წინააღმდეგობის გაწევა სრული უაზრობა იყო. კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა "პეისერსის" ლიდერმა **პოლ ჯორჯმა**, რომელმაც თამაშიდან 14-ჯერ ისროლა და 9 ბურთი ჩააგდო, მათ შორის, ოთხიდან ოთხი სამქულიანი. ახლა, "ინდიანას" 20 მატჩში 18 გამარჯვება აქვს! "სან ანტონიოს" კი ოთხი წაგება დაუგროვდა - იმდენივე, რამდენიც დასავლეთის ორ სხვა ლიდერს - "ოკლაჰომასა" და "პორტლენდს". ამ უკანასკნელმა ვერ ისარგებლა "სპურსის" წაფორხილებით და წააგო შინ კიდევ ერთ ტექსასურ კლუბთან - "დალასთან" (106:108). "მავერიქსს" გამარჯვება სირენასთან ერთად ჩაგდებული ტყორცნით **მონტა ელისმა** მოუტანა.

**კლივლენდი-კლიპერსი 88:82**
29:23, 21:26, 17:17, 21:16
**კლივ:** ირვინგი (20), ტომპსონი (20+13 მოხსნა), ბაინუმი (18), ჯეკი (11+9 მოხსნა), ვარეჟაო (6+17 მოხსნა).
**კლიპ:** კროუფორდი (19), პოლი (13+15 პასი), ჯორდანი (12+13 მოხსნა+4 დაფარება), გრინი (11), გრიფინი (10+10 მოხსნა).

**მილუოკი-ბრუკლინი 82:90**
18:20, 22:19, 19:26, 23:25
**მ:** მაიო (22), ჰენსონი (18), ნაითი (10).
**ბ:** ლოპესი (32), ჯონსონი (15), ანდერსონი (13), ბლეტჩი (11).

**ჩიკაგო-დეტროიტი 75:92**
24:25, 23:22, 9:24, 19:21
**ჩ:** გიბსონი (21+10 მოხსნა), დანლივი (16), ბუზერი (13), ტიგი (10).
**დ:** ჯენინგსი (33), სინგლერი (12), პარელსონი (10), მონრო (8+12 მოხსნა), დრამონდი (8+14 მოხსნა), სმიტი (7+10 მოხსნა).

**მემფისი-გ. სტეიტი 82:108**
19:29, 24:20, 17:28, 22:31
**მ:** მილერი (16), ლოური (15), რენდოლფი (15), კონლი (12), კუფოსი (10+16 მოხსნა).
**გ-ს:** ტომპსონი (30), ლი (23+11 მოხსნა), კარი (22+15 პასი), ბოგუტი (8+12 მოხსნა).

**მინესოტა-მაიამი 82:103**
25:24, 17:31, 18:21, 22:27
**მინ:** მარტინი (19+4 ჩაჭრა), პეკოვიჩი (18+12 მოხსნა), ბრიუერი (13), მბა ა მუტე (11).
**მაი:** ჯეიმსი (21+14 მოხსნა+8 პასი), უეიდი (19), ალენი (11), ლუისი (10).

**სან ანტონიო-ინდიანა 100:111**
28:20, 20:32, 17:35, 35:24
**ს-ა:** ლეონარდი (18), ჯინობილი (16), პარკერი (13), დანკანი (10), მილზი (10).
**ი:** ჯორჯი (28), უესტი (20), სტივენსონი (15), ჰიბერტი (12+10 მოხსნა), ჰილი (12), სკოლა (12+10 მოხსნა), უოტსონი (12).

**იუტა-საკრამენტო 102:112 (ო)**
24:23, 26:24, 20:27, 27:23, 5:15
**ი:** ჰეივორდი (22), ბერკი (19+10 მოხსნა+7 პასი), ბერქსი (19), ჯეფერსონი (13), კანტერი (12+4 დაფარება).
**ს:** კაზინსი (28), ტომასი (26+8 პასი+4 ჩაჭრა), მაკლემორი (15+9 მოხსნა), ტომპსონი (11).

**პორტლენდი-დალასი 106:108**
30:28, 23:27, 23:24, 30:29
**პ:** ლილარდი (32), ბატუმი (22), ოლდრიჯი (19+13 მოხსნა), ლოპესი (14+14 მოხსნა).
**დ:** ნოვიცკი (28+7 პასი), ელისი (22), ბლეირი (15), კალდერონი (15+7 პასი).

**7 დეკემბერი**

**ფილადელფია-დენვერი 92:103**
27:25, 26:24, 24:28, 15:26
**ფ:** როუტენი (20), ჰოიესი (14), იანგი (14), ტომპსონი (10+9 მოხსნა).
**დ:** რობინსონი (20), ჰემილტონი (13), ფოიე (13), ჰიქსონი (12+10 მოხსნა), ჩენდლერი (10).

# სამქულიანების დღე

ამიერიდან **კაილ კორვერი** NBA-ის რეკორდის ერთპიროვნული მფლობელია ზედიზედ ჩაგდებული სამქულიანების სერიის ხანგრძლივობის მიხედვით. "კლივლენდთან" მატჩი 90-ე იყო "ატლანტას" მცველისთვის, როცა ის მინიმუმ ერთი შორეული ტყორცნით ტოვებდა მოედანს. წინა რეკორდი - ზედიზედ 89 მატჩი - **დან ბაროსს** ეკუთვნოდა და დამყარებული იყო 1994-96 წლებში. „კლივლენდთან" შაბათის მატჩში კორვერის პირველი ცდა უშედეგო იყო, მაგრამ პირველი მეოთხედის შუაში, მაინც მიაღწია მიზანს და "ჰოქსის" გულშემატკივრებმა ზეიმი დაიწყეს. "ატლანტამ" მაშინვე ტაიმ-აუტი აიღო, რათა კორვერი ამ მომენტით დამტკბარიყო, არენის დიქტორს კი წინასწარ მომზადებული განცხადება წაეკითხა. ტაბლოზე გაუშვეს ვიდეორგოლი, რომელიც წინა 89 ჩაგდებულ სამქულიანს მოიცავდა.

■ ■ ■

პორტლენდშიც შორეული ტყორცნების ალლუმი იყო. ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, "ბლეიზერსის" მოთამაშეებმა 23-დან 17 სამქულიანი ჩააგდეს! ზუსტი შორეული ტყორცნა ექვსმა კალათბურთელმა შეასრულა, მათ შორის, ყველაზე გამორჩეული **დამიენ ლილარდი** იყო - ექვსიდან ხუთი. სამქულიანების გამოყენების პროცენტი - 73.9 NBA-ის რეკორდია იმ გუნდებისთვის, რომლებმაც მატჩში მინიმუმ 20 შორეული სროლა შეასრულეს. გარდა ამისა, ორეგონელებმა გააუმჯობესეს საკლუბო რეკორდი, რომელიც ერთ მატჩში ჩაგდებულ 16 სამქულიანს უდრიდა.

გასაკვირი არ არის, რომ ლიგის ყველაზე სუსტ გუნდ "იუტას" წინააღმდეგობის მინიმალური შანსიც არ ჰქონდა და განადგურდა - 98:130.

■ ■ ■

გამოფხიზლება ეტყობა "ნიუ იორკ ნიქსს". "ბრუკლინთან" დერბიში დიდი ანგარიშით მოგების (113:83) შემდეგ, **ვუდსონის** შეგირდებმა ბოლო ორი დღეში მეორე მატჩი მოიგეს - ამჯერად, დაამარცხეს "ორლანდო", რითაც შეწყვიტეს "მედისონ სკვერ გარდენში" სამარცხვინო შვიდმატჩიანი წაგებათა სერია. ამჯერად, **კარმელო ენტონიმ** მხოლოდ 20 ქულა დააგროვა, სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში: 11 მოხსნა, 3 ჩაჭრა და ერთი დაფარება.


კაილ კორვერი

**6 დეკემბერი**

**შარლოტი-ფილადელფია 105:88**
36:33, 26:18, 22:21, 21:16
**შ:** ტეილორი (20), უოკერი (18+10 პასი), ჰენდერსონი (18), ელ ჯეფერსონი (14+12 მოხსნა), სეშენსი (13), კ. ზელერი (10).
**ფ:** როუტენი (21+9 პასი), ე. ტერნერი (16), ტომპსონი (12), ჰოიესი (10+13 მოხსნა).

**ვაშინგტონი-მილუოკი 105:109 (ო)**
30:34, 13:22, 31:22, 28:24, 3:7
**ვ:** უოლი (30+8 პასი), არიზა (22+12 მოხსნა), გორტატი (14), ნენე (10).
**მ:** მიდლტონი (29), ნაითი (20), ჰენსონი (19+17 მოხსნა), მაიო (17).

**ატლანტა-კლივლენდი 108:89**
37:20, 26:33, 19:21, 26:25
**ა:** ჰორფორდი (22), მილსეპი (16+14 მოხსნა), ტიგი (13), მო უილიამსი (13), კარტ. მარტინი (12), კეროლი (10), კორვერი (10).
**კ:** უეიტერსი (30), ე. ბაინუმი (20), ჯეკი (12), ტ. ტომპსონი (9+11 მოხსნა).

**ბოსტონი-დენვერი 106:98**
39:15, 25:29, 23:33, 19:21
**ბ:** ჯორ. კროუფორდი (22), ჰემფრიზი (18), ბრედლი (18), ჯეფ გრინი (15), ბასი (14).
**დ:** ლოუსონი (20), ჰიქსონი (17), ფოიე (12), ნ. რობინსონი (11), ა. მილერი (10), მოზგოვი (10).

**ნიუ იორკი-ორლანდო 121:83**
28:31, 32:23, 30:15, 32:14
**ნ-ი:** კ. ენტონი (20+11 მოხსნა), ბარნიანი (17), ჯ-ა. სმიტი (17), ჰარდუეი (15), ფელტონი (14), უორლდ პისი (12), შამპერტი (10).
**ო:** აფლალო (20), ოლადიპო (17), ჯ. ნელსონი (13).

**ჰიუსტონი-გ. სტეიტი 105:83**
31:12, 30:25, 26:29, 18:17
**ჰ:** ჰარდენი (34), დ. ჰოვარდი (22+18 მოხსნა), ტ. ჯონსი (16+10 მოხსნა).
**გ-ს:** ს. კარი (22), ჰ. ბარნსი (14), ბეიზმორი (12), დ. ლი (11).

**ნ. ორლეანი-ოკლაჰომა 95:109**
26:24, 26:34, 16:22, 27:29
**ნ-ო:** რ. ანდერსონი (18), ე. გორდონი (16), [illegible]დეი (16), ტ. ევანსი (11), მოროუ (10)
**ო:** დურანტი (29), უესტბრუკი (25), იბაკა (17+13 მოხსნა), რ. ჯექსონი (15).

**ფინიქსი-ტორონტო 106:97**
27:27, 25:23, 29:24, 25:23
**ფ:** მარკიფ მორისი (25+11 მოხსნა), ტაკერი (18), ბლედსოუ (16+7 პასი), გ. დრაგიჩი (14), მარკუს მორისი (10).
**ტ:** ა. ჯონსონი (22), ლოური (21), გეი (17+10 მოხსნა), დეროზანი (13), ვალანჩუნასი (11+10 მოხსნა).

**პორტლენდი-იუტა 130:98**
39:22, 28:34, 40:13, 23:29
**პ:** მეტიუზი (24), ლილარდი (21), ოლდრიჯი (20+15 მოხსნა), ბატუმი (13), ტ. რობინსონი (13).
**ი:** ბერკსი (16), ჰეივორდი (10), ჯ. ევანსი (10), მ. ჰარისი (10), ლუკასი (10).

**საკრამენტო-ლეიკერსი 100:106**
30:28, 25:24, 32:29, 13:25
**ს:** კაზინსი (20+11 მოხსნა), მაკლემორი (20), ა. ტომასი (14), სელმონსი (13).
**ლ:** პ. გასოლი (19), მიქსი (19), ნ. იანგი (14), ბლეიკი (13+10 პასი), უ. ჯონსონი (13), საკრე (11).

ფორმულა 1

# ტოდტი ისევ პრეზიდენტია


ჟან ტოდტი

**ჟან ტოდტმა** შეინარჩუნა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი. შაბათს, ფედერაციაში გაიმართა ოფიციალური კენჭისყრა, რომელშიც ტოდტი ერთადერთი კანდიდატი იყო. მისმა კონკურენტმა **დევიდ უორდმა** არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხსნა თავისი კანდიდატურა, რადგან სათანადო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა ფედერაციის დელეგატებს შორის.

ჟან ტოდტის მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის შესახებ პარიზში ფედერაციის საერთო სხდომაზე გამოაცხადეს.

*„დიდი მადლობა ჩემი გუნდის მხრიდან ასეთი ძლიერი მხარდაჭერის გამო. ვამაყობ იმ ნდობით, რომელიც კიდევ ოთხი წლით გამომიცხადა ამ უდიდესმა ორგანიზაციამ"*, - განაცხადა ჟან ტოდტმა.

# წლის პერსონა კუბიცაა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის გარდა, პარიზში 2013 წლის სეზონის ლაურეატები დააჯილდოვეს. უკვე ვნერდით იმის შესახებ, რომ საუკეთესო პილოტად **სებასტიან ფეტელი** დაასახელეს, მისი გუნდი - „რედ ბული" კი საუკეთესო საჯინიბოდ. საუკეთესო ახალბედად გამოცხადდა „მარუსიას" წევრი **ჟიულ ბიანკი**.

დაჯილდოების ცერემონიაზე გახდა ცნობილი, რომ სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად, „წლის პერსონად" გამოცხადდა **რობერტ კუბიცა**. პოლონელმა გაუსწრო ისეთ ჩემპიონებს, როგორებიც არიან ფეტელი, **ოჟიე**, **კრისტენსენი** და **მიულერი**.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს, კუბიცამ მოიგო WRC2-ის ჩემპიონატის საერთო ჩათვლა.

დაჯილდოების ცერემონიაზე **ბერნი ექლსტოუნის** სახელობის პრიზი მიიღო გერმანიის ავტოსპორტის ფედერაციამ, პრომოუტერების თასი ერგოთ ფორმულა 1-ში ბრაზილიის გრანპრის ორგანიზატორებს, საუკეთესო ტელეკომპანიად, რომელიც გასულ სეზონში რბოლებს გადასცემდა, ბრიტანული SkySports აღიარეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



რობერტ კუბიცა

ამბები

## ჰიუსტონი აშიქს იშორებს

„ჰიუსტონ როკეტსი" უახლოეს ხანში აპირებს გააქტიუროს მუშაობა თურქი ცენტრის **ომერ აშიქის** გაცვლის ვარიანტების მოსაძებნად, - იტყობინება ESPN.

„რაკეტებს" განზრახული აქვთ გარიგება 19 დეკემბრამდე განახორციელონ. კლუბის ხელმძღვანელობის პრიორიტეტია - აშიქის ნაცვლად 2014 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლების მიღება. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, თურქმა კალათბურთელმა მცირე სათამაშო დროის გამო, „ჰიუსტონს" სხვა გუნდში გაშვება სთხოვა.

## კარმელო რონდოს ნიქსში ეპატიჟება

როგორც ვებგვერდი RealGM წერს, „ბოსტონ სელტიქსის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**, შესაძლოა, უახლოეს მომავალში „ნიუ იორკ ნიქსში" გადავიდეს სათამაშოდ.

იტყობინებიან, რომ რონდოს ამასწინ საუბარი ჰქონდა „ნიქსის" ლიდერ **კარმელო ენტონისთან**. ეს უკანასკნელი ცდილობდა დაერწმუნებინა რაჟონი „ნიუ იორკის" რიგებში გადასვლაში. შეგახსენებთ, რომ რონდო გასული წლის იანვრიდან არ თამაშობს მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო. ის უკვე შეუდგა ვარჯიშებს, მაგრამ უცნობია, როდის დაბრუნდება მოედანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# არაუძლიერესი ჩემპიონი

სამთო თხილამურებში ერთი წესი არსებობს - ჩქაროსნულ დისციპლინებში უძლიერეს სპორტსმენთა ჯგუფი 16-დან 22-ე ნომრად იღებს სტარტს, ამიტომაც, მათი დაშვების შემდეგ იწყება ხოლმე გამარჯვებულისა და პრიზიორების მილოცვები. თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა ადგილი ამერიკის კურორტ ბივერ კრიკში. სუპერგიგანტში უძლიერესთა ჯგუფის გამოსვლის შემდეგ, პირველობას იყოფდნენ იტალიელი **პეტერ ფილი** და ავსტრიელი **ჰანს რაიჰელი**. ალბათ, გულის სიღრმეში, ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ საბოლოოდ, მათ მესამე ადგილის გაყოფა მოუწიათ, რადგან ამ დუეტის გასწრება ორმა მოთხილამურემ შეძლო.

სასტარტო 28-ე ნომრის მქონე შვეიცარიელი **პატრიკ კუენგი** სწრაფდაშვების კარგ სპეციალისტად არის მიჩნეული (წინა დღეს მან ამ დისციპლინაში მეხუთე ადგილი დაიკავა), მაგრამ შაბათს მისგან სუპერგიგანტში გამარჯვებას არავინ ელოდა. მას პოდიუმზე მხარი დაუმშვენა **ოტმარ შტრიდინგერმა** (45-ე სასტარტო ნომერი), რაც კიდევ უფრო დიდი სენსაცია იყო, რადგან ამ ავსტრიელს თითქმის არავინ იცნობს.



პატრიკ კუენგი

**სწრაფდაშვება**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1.44,50; 2. **ჰანს რაიხელი** (ავსტრია) - +0,17; 3. **პეტერ ფილი** (იტა) - +0,20; 4. **მანუელ ოსბორნ-პარადი** (კან) - +0,24; 5. **პატრიკ კუენგი** (შვეიც) - +0,52; 6. **ბიტ ფოიზი** (შვეიც) - +0,66...

**სუპერგიგანტი**

1. **პატრიკ კუენგი** (შვეიც) - 1.21,73; 2. **ოტმარ შტრიდინგერი** (ავსტრია) - +0,24; 3. **პეტერ ფილი** (იტა) - +0,38; 3. **ჰანს რაიხელი** (ავსტრია) - +0,38; 5. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - +0,48; 6. **ტომას მერმილო ბლონდენი** (საფ) - +0,54...

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 336; 2. **პატრიკ კუენგი** (შვეიც) - 206; 3. **ჰანს რაიხელი** (ავსტრია) - 202; 4. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 175; 5. **პეტერ ფილი** (იტა) - 174; 6. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 169...

# ვონი ჯერ ფრთხილადაა

დიდ ინტერესს იწვევდა ქალების ეტაპი კანადის ლეიკ ლუისში, რადგან დიდხნიანი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, ტრასას დაუბრუნდა მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი **ლინდსი ვონი**.

ლეიკ ლუისში ორი დღის განმავლობაში ორი სწრაფდაშვება გაიმართა. პირველ სტარტზე ვონი ძალიან შებოჭილი ჩანდა, რისკს მოერიდა და 60 მონაწილიდან მხოლოდ მე-40 შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ, მეორე დღეს ის უფრო თამამად გამოიყურებოდა და მე-11 დრო დააფიქსირა, რაც მის გულშემატკივრებს აფიქრებინებს, რომ მალე ვონი უფრო მეტზე გამოაცხადებს პრეტენზიას.

სამაგიეროდ, ყველაფერი წესრიგში აქვს ბოლო წლებში ვონის მთავარ კონკურენტსა და მეგობარს, გერმანელ **მარია რიშს**. ის კარგად არის მზად ოლიმპიური სეზონისთვის, რაზეც ლეიკ ლუისში შესრულებული დუბლი მეტყველებს.



ლინდსი ვონი

**სწრაფდაშვება**

1. **მარია რიში** (გერ) - 1.56,03; 2. **მარიან კაუფმან-აბდერჰალდენი** (შვეიც) - +0,70; 3. **ელენა ფანკინი** (იტა) - +1,20; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - +1,27; 5. **ნადია ინგლინ-კამერი** (შვეიც) - +1,51; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +1,54...

**სწრაფდაშვება**

1. **მარია რიში** (გერ) - 1.55,09; 2. **ტინა ვაირატერი** (ლიხ) - +0,34; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - +0,47; 4. **მარიან კაუფმან-აბდერჰალდენი** (შვეიც) - +0,83; 5. **ნადია ფანკინი** (იტა) - +0,84; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +0,91...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარია რიში** (გერ) - 393; 2. **ლარა გუტი** (შვეიც) - 346; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 285; 4. **ტინა ვაირატერი** (ლიხ) - 265; 5. **მიკაელა შიფრინი** (აშშ) - 220; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 210...

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 73:114 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანტი-პავრი | 88:75 |
| **გერმანია** | |
| ბაიროიტი-ლუდვიგსბურგი | 80:95 |
| ტრირი-ვიურცბურგი | 82:77 |
| **საბერძნეთი** | |
| დრამასი-რეტიმნო | 83:82 |
| აენეა-პაოკ | 95:86 |
| პანიონიოსი-კოლოსოსი | 73:66 |
| პანელეფსინიაკ.-ოლიმპიაკ. | 63:101 |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| სოლნოკი-პარტიზანი | 76:71 |
| ციბონა-იგოკეა | 74:82 |
| ოლიმპია-მეგა ვიზურა | 88:75 |
| **იტალია** | |
| სასარი-რეჯო ემილია | 92:85 |
| აველინო-მონტეპასკი | 75:85 |
| კანტუ-კაზერტა | 84:82 |
| პისტოია-ვარეზე | 89:76 |
| სკავოლინი-რომა | 77:82 |
| მილანი-მონტეგრანარო | 101:85 |
| ბოლონია-ბრინდიზი | 84:79 |
| **ლიტვა** | |
| ლეიტკაბელისი-პიენო | 61:69 |
| ნევეჟისი-ნეპტუნასი | 68:69 |
| ალიტაუსი-ლ. რიტასი | 71:89 |
| **ესპანეთი** | |
| კახა ლაბორალი-ვალენსია | 78:79 |
| ობრადოირო-გრან კანარია | 77:83 (ო) |
| ბარსელონა-უნიკახა | 67:74 |
| მანრესა-გიპუსკოა | 72:84 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ეფესი | 59:67 |
| ბანვითი-ტრაბზონი | 94:78 |
| ალიაგა-ოლინი | 102:91 |

| ფრენბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| რავენა-პერუჯა | 1:3 |
| ჩიტა დი კასტელო-კუნეო | 0:3 |
| ლატინა-მოდენა | 1:3 |
| პიაჩენცა-მოლფეტა | 3:0 |
| ვერონა-ლუბე | 0:3 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-ლიონი | 3:2 |
| **თურქეთი** | |
| კანკაია-ანკარა | 0:3 |
| **ესპანეთი** | |
| კახასოლი-რიო დუერო | 3:0 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| კორეა-პოლანდია | 29:26 |
| კონგო-ჩერნოგორია | 9:35 |
| დომინიკა-საფრანგეთი | 10:27 |
| ჩინეთი-ბრაზილია | 21:34 |
| ალჟირი-სერბეთი | 14:34 |
| იაპონია-დანია | 25:29 |
| **გერმანია** | |
| ფლენსბურგი-აისენახი | 43:24 |
| ფუხსე-კილი | 29:33 |
| ჰანოვერი-მელსუნგენი | 28:34 |
| **შვედეთი** | |
| ონერედსი-რიმბო | 28:31 |
| ლუგი-სავეჰოფი | 28:25 |
| გუიფი-ისტადსი | 30:22 |
| ჰამარბიუ-სკოვდე | 26:26 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ადმირალი-დინამო (მნ) | 3:2 (ბ) |
| ამური-ზაგრები | 4:3 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-სპარტაკი | 2:1 (ო) |
| სიბირი-დონბასი | 2:3 |
| ლევი-ატლანტი | 1:3 |
| ცსკა-სევერსტალი | 3:2 |
| დინამო (რ)-სკა | 6:4 |
| სლოვანი-ლოკომოტივი | 5:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-გრაცი | 3:0 |
| კლაგენფიურტი-დორნბირნი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 4:2 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 1:2 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 2:3 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1:2 |
| შვენინგერი-აისბარენი | 3:5 |
| სტრაუბინგი-მიუნხენი | 1:3 |
| კრეფელდი-იზერლონი | 5:2 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ფრედრიკშავნი | 2:5 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-რუსენბორგი | 7:1 |
| სტავანგერი-ტონსბერგი | 6:1 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 2:0 |
| სტიერნენი-ლორენსკოგი | 2:3 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-ბისტრიცა | 5:4 |
| ზვოლენი-მარტინი | 5:2 |
| კოშიცე-ჟილინა | 5:0 |
| პოპრადი-ნიტრა | 1:2 (ო) |
| პიეშტანი-ტრენჩინი | 3:4 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-იოკერიტი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ზლინი | 2:1 |
| სლავია-პარდუბიცე | 5:4 (ბ) |
| კარლოვი ვარი-კრალოვე | 1:2 (ბ) |
| ბრნო-ხომუტოვი | 4:2 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 8:3 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ამბრი პიოტა | 4:6 |
| ლუგანო-სერვეტი | 2:1 (ო) |
| ციურიხი-კლოტენი | 3:1 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბროდოს 45-ე ქულა

მორიგ მიღწევას ზეიმობს ლეგენდარული კანადელი მეკარე, „ნიუ ჯერსის დევილზის" ვეტერანი **მარტინ ბროდო**. „ნიუ იორკ რეინჯერსთან" გუშინდელ შეხვედრაში (4:3 ო), მან კარიერაში 45-ე ქულა ჩაიწერა აქტივში. ახლა, 41 წლის გოლკიპერის ანგარიშზეა ორი გოლი და 43 შედეგიანი გადაცემა. ამ მაჩვენებლით ის დაენია ლეგენდარულ **პატრიკ რუას**, რომელსაც აქამდე ერთპიროვნულად ეჭირა მესამე ადგილი NHL-ის ყველაზე შედეგიანი მეკარეების სიაში.

ბროდოსა და რუაზე წინ მხოლოდ ორი მეკარეა: **გრანტ ფიური** 46 ქულით და **ტომ ბარასო** - 48 ქულით.

**6 დეკემბერი**

**ნიუ ჯერსი-დეტროიტი 1:3**

1:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ე. გრინი-4 (ელიაში-10), 1:1 დ. ანდერსონი-4 (დ. მილერი-3, ალფრედსონი-16), 1:2 ფრანცენი-9 (ნიკუისტი-3, ტატარი-7), 1:3 ტატარი-6.

**კაროლინა-სან ხოსე 5:3**

0:2, 1:0, 4:1

**გოლები:** 0:1 უინგელსი-9 (დემერსი-12), 0:2 ვლასიჩი-4 (ჯ. ტორნტონი-27, პერტლი-9), 1:2 შარისონი-2 (ბოიჩუკი-1, რაილი ნეში-4), 2:2 რაილი ნეში-3 (შარისონი-5, ლინდჰოლმი-2), 3:2 ე. სტაალი-6 (გერბე-6, ლინდჰოლმი-3), 3:3 ჯ. ბრაუნი-3 (ბარნი-15, ბოველსკი-18), 4:3 ლინდჰოლმი-3 (სეკერა-10, ჯ. სტაალი-6), 5:3 ე. სტაალი-7.

**კოლამბუსი-მინესოტა 4:0**

0:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ატკინსონი-7 (დუბინსკი-11), 2:0 ნ. ფოლინო-8 (რ. იოჰანსენი-11, უმბერგერი-9), 3:0 ჯენერი-3 (კომო-3, ანისიმოვი-5), 4:0 უმბერგერი-7 (ნ. ფოლინო-8, რ. იოჰანსენი-12).

**ჩიკაგო-ანაჰაიმი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 პერი-17 (გეტცლაფი-19, პენერი-14), 1:1 ბ. სმიტი-4 (პ. კეინი-18, ვერსტიგი-10), 1:2 გეტცლაფი-15 (ფაულერი-14, ბონინო-13), 2:2 ვერსტიგი-4 (მარიან ჰოსა-10, სიბრუკი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეივზი (ჩიკაგო), ბონინო (ანაჰაიმი), პალმიერი (ანაჰაიმი).

**კალგარი-კოლორადო 2:3**

1:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 რასელი-4 (ბაერტჩი-8, ბეკლუნდი-7), 1:1 ტელბოტი-2 (ჯ. მიტჩელი-6), 1:2 პარენტო-9 (ტელბოტი-4, ჯ. მიტჩელი-7), 1:3 მაკინონი-6 (ლანდესკოგი-13), 2:3 სტაიანი-5 (კამალერი-5, ჰუდლერი-19).

**ვანკუვერი-ფინიქსი 3:2 (ო)**

0:0, 2:0, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 გარისონი-4 (ჰამჰუისი-4, დ. სედინი-17), 2:0 ჰ. სედინი-8 (დ. სედინი-18, სტენტონი-10), 2:1 ვერმეტი-7, 2:2 მოსი-3 (ელინ კპამერი-6, რიბეირო-14), 3:2 ჰიგინსი-8.

**7 დეკემბერი**

**ბოსტონი-პიტსბურგი 3:2**

1:2, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 კუნიტცი-17 (კროსბი-27, ნისკანენი-11), 1:1 რ. სმიტი-6 (პ. ბერჟერონი-6), 1:2 ჰ. ნილი-10 (ნისკანენი-12, დუპიუი-2), 2:2 კრეიჩი-5 (ლუჩიჩი-11, იგინლა-11), 3:2 ხარა-7 (რ. სმიტი-13, მარჩანდი-9).

**მონრეალი-ბაფალო 3:2**

0:0, 3:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პრუსტი-3 (რ. უაიტი-2, მოენი-4), 1:1 ენისი-6 (ერჰოფი-6, ჰოჯსონი-10), 2:1 პლეკანეცი-11 (პრუსტი-3, მოენი-5), 3:1 გალჩენიუკი-8 (მარკოვი-17, პლეკანეცი-11), 3:2 გირგენსონსი-2 (ენისი-6, ტალინდერი-3).

**ოტავა-ტორონტო 3:4 (ბ)**

1:1, 0:2, 2:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ვან რიმსდიკი-13 (კადრი-11, ფანოფი-10), 1:1 მაკარტური-9 (ზიბანეჯადი-4, სპეცა-14), 1:2 კესელი-16 (ვან რიმსდიკი-11), 1:3 გარდინერი-1 (კესელი-13, ვან რიმსდიკი-12), 2:3 კონდრა-3 (გრინინგი-4), 3:3 ე. კარლსონი-8 (ზიბანეჯადი-5, სპეცა-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ვან რიმსდიკი (ტორონტო), რეიმონდი (ტორონტო).

**დეტროიტი-ფლორიდა 1:2**

1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ქლირი-2 (აბდელკადერი-9, ემერტონი-2), 1:1 მეიესი-3 (მატიასი-3, ოლსენი-3), 1:2 იუბერდო-7 (გილბერტი-10, მატიასი-4).

**ტამპა ბეი-ვინიპეგი 1:2 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ველერი-7 (ტროუბა-4, კლიტსომი-7), 1:1 ტომპსონი-2 (გუდასი-6, სან ლუი-15), 1:2 მაიფელი-3 (ველერი-14).

**ვაშინგტონი-ნეშვილი 5:2**

3:1, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბროუერი-6 (ფერი-7, გრაბოვსკი-15), 2:0 ოვეჩკინი-22 (ბექსტრომი-20), 3:0 ელზნერი-1 (მაიკ გრინი-13, ბექსტრომი-21), 3:1 იოსი-1 (შ. უებერი-6), 4:1 შმიდტი-1 (ერატი-8, ჯ. უორდი-8), 4:2 ნისტრომი-5 (სტალბერგი-5, იოსი-6), 5:2 ფერი-4 (გრაბოვსკი-16).



მარტინ ბროდო

**სტ ლუისი-ანაჰაიმი 2:5**

0:3, 0:1, 2:1

**გოლები:** 0:1 კოლიანო-8 (ვინიკი-9, ს. კოივუ-4), 0:2 პერი-18 (გეტცლაფი-20, ბონინო-14), 0:3 გეტცლაფი-16, 0:4 ბონინო-8 (მარუნი-3, ჯეკმენი-1), 1:4 შვარცი-7 (ოში-21, ჯეკმანი-4), 2:4 ბერგლუნდი-2 (ლაპიერი-2, შატენკირკი-19), 2:5 კოლიანო-9 (ფისტრიჩი-2).

**ლოს ანჯელესი-აილენდერსი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-8 (მარტინესი-2), 2:0 დ. ბრაუნი-6 (სტოლი-5, ჯასტინ უილიამსი-11), 3:0 ტოფოლი-7 (მ. რიჩარდსი-17, დაუტი-10).

**დალასი-ფილადელფია 5:1**

0:1, 4:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მეზაროში-1 (სიმონდსი-8, ბრიუდენი შენი-9), 1:1 სეგუინი-13 (ჯეიმი ბენი-19, ნიჩუშკინი-9), 2:1 სეგუინი-14 (გოლიგოსკი-6, ნიჩუშკინი-10), 3:1 სეგუინი-15 (ნიჩუშკინი-11), 4:1 ნიჩუშკინი-4 (სეგუინი-12, გოლიგოსკი-7), 5:1 იკინი-7 (რუსელი-6).

**ედმონტონი-კალგარი 1:2 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სტემპნიაკი-6 (სტაიანი-9), 1:1 ტ. ჰოლი-11 (პერონი-13, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-17), 1:2 ჰუდლერი-8 (რასელი-11).

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 3:4 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ბ. რიჩარდსი-9 (ცუკარელო-14, ფოლკი-1), 2:0 ცუკარელო-6 (კელეჰანი-5, ჟირარდი-5), 2:1 იანსენი-3 (სესტიტო-1, ბროდო-1), 2:2 ზეიჯაკი-5 (იაგრი-12, ზუბრუსი-9), 2:3 რაიდერი-8 (სესტიტო-2), 3:3 კრაიდერი-7 (კელეჰანი-6, მაკდონაჰი-13), 3:4 გელინასი-3 (ელიაში-11, იაგრი-13).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ბრუკლინის მეფე

- ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა გასულ უქმეებზე პროფესიულ კრივში. ბრუკლინის Barclays Center-ში თამაშდებოდა ნახევრადსაშუალო წონაში NABF-ის ვერსიით ჩემპიონის ვაკანტური ტიტული, გარდა ამისა, ეს იყო ბრძოლა ბრუკლინის


პოლ მალინიაჯი

უძლიერესი მოკრივის არაოფიციალური სტატუსის მოსაპოვებლად.

რინგზე ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ პირველ ნახევრადსაშუალო და ნახევრადსაშუალო წონებში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 32 წლის ამერიკელი **პოლ მალინიაჯი** (33-5, 7 KO) და ამავე წონით კატეგორიებში ექს-ჩემპიონი, 36 წლის ამერიკელი **ზაბ ჯუდა** (42-9, 29 KO).

ბრძოლა მხოლოდ საწყის რაუნდებში იყო საინტერესო, შემდეგ კი რინგზე „ცალკარა" ჩხუბი მიდიოდა. პირველი სამწუთეული აშკარად ჯუდამ მოიგო, მეორეში კი მეტოქის ნოკდაუნში გაგზავნაც კი მოახერხა. ასე რომ, ბრძოლა მალინიაჯის სასარგებლოდ არ მიმდინარეობდა, მაგრამ მან თანდათან შეიტანა გარდატეხა. ის კარგად დაყენებული ჯებით აგროვებდა ქულებს, თან თითქმის აღარ ხვდებოდა წინააღმდეგობა, რადგან ჯუდა შეტევაში ძალიან პასიური გახდა.

ბუნებრივია, ბრძოლისადმი ასეთი მიდგომა ჯუდას კარგს არაფერს უქადდა და, საბოლოოდ, ეს აისახა კიდეც მსაჯების ჩანაწერებში: 116:111, 117:110, 117:110 მალინიაჯის სასარგებლოდ. გამარჯვებულმა მოკრივემ მაშინვე გამოაცხადა ახალი მიზანი - შეხვედრა **ედრიენ ბრონერსა** და **მარკოს მაიდანას** შორის მოგებულთან. ამ მოკრივეთა ბრძოლა 14 დეკემბერს გაიმართება.

ჩოგბურთი


მარია და ანა

# მარია წაგებით დაბრუნდა

მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, პირველი მატჩი ჩაატარა რუსმა **მარია შარაპოვამ**. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში საჩვენებელ შეხვედრაში დაუპირისპირდა სერბ **ანა ივანოვიჩს** და სამ სეტში დამარცხდა - 1:6, 6:1, 10:12.

აღსანიშნავია, რომ მატჩი ოთხი საათის დაგვიანებით დაიწყო, რისი მიზეზიც იყო კონფლიქტი ადგილობრივ ადმინისტრაციასთან, რომელიც ორგანიზატორებისგან დამატებით ფინანსურ გარანტიებს ითხოვდა.

*"მრავალთვიანი შესვენების შემდეგ, დღეს პატარა ნაბიჯი გადავდგი წინ. ძალიან მომენატრა ჩოგბურთი. მადლობა კოლუმბიელ ფანებს თბილი მიღებისთვის. ასევე მადლობა ყველას, ვინც ჩემს დაბრუნებას ელოდა და მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემ გვერდით იდგა"*, - განაცხადა შარაპოვამ, რომელსაც აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია ოფიციალურ მატჩებში.

მარიამ და ანამ ბოგოტაში მასტერ-კლასი ჩაუტარეს ბავშვებს, გარდა ამისა, შარაპოვამ კოლუმბიაში Sugarpova-ს კანფეტების პრეზენტაცია მოაწყო.

# ავსტრალიის პირველი დანაკლისი

რუსული ჩოგბურთის მეორე ნომერი **მარია კირილენკო** ვერ შეძლებს ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს. როგორც ჩოგბურთელი ამბობს, ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა.

შეგახსენებთ, რომ კირილენკომ ვერ შეძლო ოქტომბრის ბოლოს ჩემპიონთა ტურნირის დასრულება მუხლის არეში ტკივილის გამო. ამავე მიზეზით, მარია გამოტოვებს მომავალი სეზონის სტარტს. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი კორტზე მსოფლიოს მე-19 ნომრის დაბრუნების ზუსტი თარიღის შესახებ.

შარშან, ავსტრალიის ღიაზე კირილენკომ მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც ამერიკელ **სერენა უილიამსთან** წააგო. ასე რომ, 26 წლის რუსი მელბურნში ვერ დაიცავს 280 სარეიტინგო ქულას.

2014 წლის სეზონში "დიდი სლემის" პირველი ტურნირი 13-26 იანვარს გაიმართება.

ოლიმპიზმი

# ოლიმპიური ოქრო მილიონი ღირს

ლეგენდარული შავკანიანი ამერიკელი სპრინტერის **ჯესი ოუენსის** ოქროს მედალი აუქციონზე 1 466 574 დოლარად გაიყიდა. ამერიკელმა ეს ჯილდო 1936 წელს, ბერლინის ოლიმპიადაზე მოიპოვა.

ეს არის ახალი რეკორდი სპორტული ჯილდოების ღირებულების მიხედვით. წინა რეკორდი 865 ათას დოლარს უდრიდა - სწორედ ეს თანხა გადაიხადეს შარშან, აპრილში ვერცხლის თასისთვის, რომელიც 1896 წელს, პირველ ოლიმპიურ მარათონში გამარჯვებულს გადაეცა. ოუენსის მედლის ახალი მფლობელის ვინაობა უცნობი დარჩა. ადრე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ტომაშ ბახი** მოუწოდებდა მეცენატებს გამოესყიდათ მედალი და ის ლოზანაში სპორტის მუზეუმისთვის გადაეცათ.

ოუენსმა 1936 წელს ოთხი ოლიმპიური ოქრო მოიგო - 100 და 200 მეტრზე სირბილში, 4x100 მეტრზე ესტაფეტაში და სიგრძეზე ხტომაში. მოგვიანებით, მძლეოსანმა განაცხადა, რომ დაკარგა თავისი ჯილდოები და მას მედლების ასლები გადასცეს, რომელიც ახლა ოჰაიოში ინახება.

აუქციონზე გატანილი მედალი ადრე შავკანიანი მსახიობის **ბილ რობინსონის** ქვრივს ეკუთვნოდა. რობინსონი ოუენსის მეგობარი იყო. თუმცა მედალზე არ არის არანაირი წარწერა, რომელიც ადასტურებს, რომ ის სწორედ ლეგენდარულ ათლეტს ეკუთვნოდა.




ამბები

## მსოფლიო დღეს ენდი და ნოვაკი აღნიშნავენ

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ბრიტანელი **ენდი მარეი** საჩვენებელ მატჩს ჩაატარებენ "მედისონ სკვერ გარდენში" ჩოგბურთის მსოფლიო დღის საპატივცემულოდ.

მატჩი ნიუ იორკში 3 მარტს გაიმართება. მარეისა და ჯოკოვიჩის შეხვედრის გარდა, იმავე დღეს დაგეგმილია წყვილთა მატჩი, რომელშიც **ჯონ** და **პატრიკ მაკინროები** შეხვდებიან **მაიკ** და **ბობ ბრაიანებს.**

*"მოუთმენლად ველოდები ამ შეხვედრას. ასეთი მატჩების შესახებ მხოლოდ კარგი მსმენია. გარდა ამისა, ძალიან მიყვარს ნიუ იორკში ჩოგბურთის თამაში"*, - აღნიშნა ჯოკოვიჩმა.

ჩოგბურთის მსოფლიო დღე მეშვიდედ აღინიშნება. ადრე მსგავს საგამოფენო შეხვედრებში მონაწილეობდნენ **როჯერ ფედერერი, პიტ სამპრასი, რაფაელ ნადალი, ანდრე აგასი, ენდი როდიკი, ივან ლენდლი, ხუან მარტინ დელ პოტრო** და სხვები.

## მისკინა ტარპიშჩევს შეცვლის

ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრებს დროებით უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი **ანასტასია მისკინა.** ის გუნდის კაპიტანს **შამილ ტარპიშჩევს** 2014 წლის გათამაშების პირველ წრეში ავსტრალიასთან მატჩში შეცვლის.

ამის შესახებ ინტერვიუში თავად ტარპიშჩევმა ისაუბრა:

*"ლარისა სავჩენკოს არ შეუძლია იყოს კაპიტანი, რადგან ის უცხოელად ითვლება. ლარისას, თავის დროზე, ლატვიის ნაკრებში აქვს ნათამაშები და არ ვიცით, მისცემენ თუ არა მას რუსეთის კაპიტნობის უფლებას. ამიტომაც, უფრო ახლოს ამ პოსტთან ანასტასია მისკინაა"*.

თავად ტარპიშჩევს არ შეუძლია ავსტრალიასთან მატჩზე გამგზავრება იმის გამო, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და ვალდებულია სოჭის ოლიმპიადას დაესწროს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

არ გამოგრჩეთ დეკემბრის ნომერი!




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად 03:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608